DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Tushabramishvili, D. / თუშაბრამიშვილი, დ. / Тушабрамишвили, Д.
- Title: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები ტომი VII / Археологические Експедиции государственного музея грузии том VII
- Publication Date: 1980
- Publisher: Georgian National Museum, Georgian Academy Of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_7b97499b80

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.



საქართველოს სახელმწიფო ეუნაუმის

არქეოლოგიური ექსპედიციები

VII

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ ИМ. С. Н. ДЖАНАШИА

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСПЕДИЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

VII

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1980

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები

VII

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1980

902.7 (С 41)
069.902.7 (47.922)
Ь 323

კრებულში მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1978—79 წლებში ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები

В сборнике помещены отчеты археологических экспедиций Государственного Музея Грузии за 1978—1979 гг.

რედაქტორი: ა. ჯავახიშვილი
Редактор: А. И. Джавахишвили

Ь $\frac{10602}{М\ 607\ (06)—80}$ 240—80 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980

19/81

დ. თუშაბრამიშვილი

ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1978—1979 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში

(ტაბ. I)

ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითად მიზანს 1978 წ. შეადგენდა „ბრინჯაოს მღვიმეში“ და „ორმაგ ეხში“ (ცუცხვათის მღვიმეთა კომპლექსში შემავალი ძეგლები), ჯრუჭულის მღვიმეში და მაღალმთიან ზოლში მდებარე წონის მღვიმეში გათხრების ჩატარება, სტრატიგრაფიული ჭრილების განახლება და ძეგლებთან დაკავშირებული მრავალმხრივი მეცნიერული დოკუმენტაციის მომზადება. ასეთი ფართე და მრავალმხრივი სამუშაო პროგრამის შედგენა იმით იყო გამოწვეული, რომ ჩამოთვლილი ძეგლები, სოჭიადლერისა და საქართველოს სხვა პალეოლითურ ძეგლებთან ერთად, შეტანილი იყო 1978 წლის მარშრუტში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი საველე სემინარისა თემაზე — „ბუნებრივი გარემო და წინაისტორიულ საზოგადოებათა ურთიერთობის დინამიკა“.

ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია (უფროსი დ. თუშაბრამიშვილი) მუშაობდა 3 რაზმად — ცუცხვათის (უფროსი თ. მეშველიანი), ჯრუჭულის (უფროსი ე. გოგაძე) და წონის (უფროსი ზ. ქიქოძე).

1978 წელს ცუცხვათის რაზმმა (წევრები—ქ. დვალი, ე. ქორიძე, უფრ. ლაბორანტები; ლ. ბოკერია და ლ. კალანდარიშვილი—არქიტექტორები; მ. ბერძენიშვილი ლაბორანტი (მოწვევით) „ბრინჯაოს მღვიმეში“ იმუშავა წინა წლების განივი ჭრილის 3 მონაკვეთში (საფეხურზე): I საფეხურზე, g^{10}-g^{14} კვადრატების ფარგლებში გაითხარა 1-6 ლითოლოგიური ფენები; II საფეხურზე l^{11}-l^{17} კვადრატების ფარგლებში გაითხარა 18-22 ფენები; ხოლო m^{12}-m^{17} კვადრატებში — 23-26 ფენები. ამ წელსაც ჭრილი კლდოვან იატაკამდე ვერ დავიყვანეთ.

1978 წელს „ბრინჯაოს მღვიმის“ მუსტიეს ხანის კულტურულ ფენებში მოპოვებულ იქნა 5092 ქვის ნივთი, მაგრამ ჩვენ არ შევუდგებით მათ დახასიათებას, ვინაიდან ისინი არაფერს იძლევიან ახალს წინა წლებთან[1] შედარებით. „ორმაგ ეხში“ გაკეთდა ახალი გრძივი ჭრილი ცენტრალური ღერძის მარჯვნივ

[1] ამის შესახებ იხ. Изучение пещер Колхиды, Тб., 1978; Археология и палеография раннего палеолита Крыма и Кавказа, путеводитель совместного Советско-Французского рабочего семинара по теме: «Динамика взаимодействия природной среды и доисторического общества», Москва, 1978; აგრეთვე—დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ყვირილისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების 1974—1975 წლებში სამუშაოების შედეგები, საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბ., 1977.

f-f კვადრატებზე და დავაღრმავეთ განათხარი ფართობი, თუმცა კლდოვან იატაკამდე ვერც აქ დავედით.

ჯრუჭულის რაზმმა (წევრები — გ. ჯავახიშვილი, მ. დარისპანაშვილი, აგრეთვე — ვ. უდარცევი, ე. ლიკუტოვი, ი. მაშინსკაია, პ. სურგუჩევი, გ. პიჩუგინი, ვ. სუშანოვი — სსრკ გეოგრაფიის ინსტიტუტიდან) ჯრუჭულის მღვიმე, რომელიც გაითხარა 1958—1966 წლებში, გაწმინდა ჩამოშლილი მიწისა და ლოდებისაგან, მოამზადა ის დასათვალიერებლად და გააკეთა ახალი განივი ჭრილი 13—13 და 15—15 კვადრატების გასწვრივ (ტაბ. I_1). ჭრილში წარმოდგენილია ლითოლოგიურად განსხვავებული 14 ფენა, 5,40 მ საერთო სიმძლავრით. მე-3—6 ფენები ქმნიან I მუსტიეურ ფენას, ხოლო მე-9—12 და მე-13 ფენის ზედა ჰორიზონტი — II კულტურულ ფენას; 1, 2, 7, 8, 14 ფენები სტერილურია.

1978 წ. I მუსტიეურ ფენაში აღმოჩნდა 6 სახოკი, 9 წვეტანა, 4 დანა ბუნებრივი ზურგით, 6 ლამელა, 3 ანატკეცი და ერთი კომბინირებული იარაღი, აგრეთვე — ბიზონისა და კეთილშობილი ირმის ფალანგები; II ფენაში მასალა არ აღმოჩენილა (სურ. 1).

წონის რაზმმა (წევრები-შ. კალანდარიშვილი, არქიტექტორი; ლ. საფრაზიანი, ფოტოგრაფი; მ. მესხი, აგრეთვე-ვ. უდარცევი, ვ. მურატოვი, ე. ფრიდენბერგი, ვ. უდარცევი-მოსკოვიდან) წონას მღვიმეში, რომელსაც 1958-1961, 1965 და 1968 წლებში სწავლობდა დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდის არქეოლოგიური ექსპედიცია ა. კალანდაძის ხელმძღვანელობით[2], მთელ სიგრძეზე გათხარა კვადრატები 11-11, გააკეთა A-12, j-12 კვადრატების დასაწყისის განივი ჭრილი და შესაბამისად გააგრძელა გრძივი ჭრილი ცენტრალური ღერძის მარცხნივ მდებარე ფართობის აღებით: აღნიშნულ მონაკვეთში აღებულ იქნა ენეოლითური და მეზოლითური ფენები. A-j 12-12 კვადრატების დასაწყისის განივ ჭრილში 20 ფენაა წარმოდგენილი, რომელთა თანამიმდევრობა ზევიდან ქვევით და ხასიათი ვ. მურატოვის მიხედვით ასეთია:

I დასტა

1. მუქი-მონაცრისფრო (მოშავომდე) პლასტიკური თიხა კირქვის ნატეხების ჩანართებით (ვიზიალურად 15% ნაკლები). ფენა არეულია, შეიცავს არქეოლოგიურ მასალას ენეოლითიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით. ფენის სიმძლავრე 0,65 მეტრია.

2. მოყვითალო-მოყავისფრო ღორღოვანი თიხნარი (ღორღი ვიზიალურად შეადგენს 35—40%). ღორღის დიამეტრი 2—8 სმ-ია, გვხვდება 30—35 სმ დიამეტრის მქონე ცალკეული ლოდები, შეიცავს მეზოლითური ხანის კულტურულ ნაშთებს. ფენის სიმძლავრე 0,65—1,20 მ-ია.

3. კირქვის 35—40 სმ დიამეტრის მქონე ნატეხები, შევსებული ღორღით და მონაცრისფრო-მოყავისფრო თიხნარით. სტერილურია. სიმძლავრე 1,20—1,30 მ.

---

[2] А. Каландадзе, Цонская пещера и ее культура, Actes, IV-e, 4, 5, 1969.



სურ. 1. ჯრუჭულის მღვიმის 1 მუსტიეურ ფენაში მოპოვებული ქვის მასალა.

II დასტა

4. კარბონატული ნაღვენთებიანი ფენა შედგება ორი ჰორიზონტისაგან. 1,30, 1,45 მ სიმძლავრის. სტერილური.

III დასტა

5. მოყავისფრო-მონაცრისფრო კირქვის ნამტვრევებიანი ფენა, შევსებული მკვრივი კონსისტენციის მქონე თიხნარით. კირქვის ნატეხები ვიზიალურად შეადგენენ 30—40%, მათი საშუალო დიამეტრი 4—7 სმ-ია, სიმძლავრე — 1,45—1,70 მ. შეიცავს მუსტიეური ხანის ნაშთებს.

6. მონაცრისფრო-მორუხო კირქვის ნატეხებიანი ფენა, შევსებული ცხიმოვანი თიხნარით, კირქვის ნატეხები გავრცელებულია არათანაბრად — მსგავსად მე-5 ფენისა. შეიცავს მუსტიეური ხანის ნაშთებს. ფენის სიმძლავრე 1,70—2,00 მ-ია.

7. ღია მონაცრისფრო, მსუბუქი, ერთგვაროვანი თიხნარი, 15 სმ დიამეტრის მქონე ცალკეული კირქვის ნატეხების ჩანართებით. ფენა წარმოდგენილია ლინზისებური შრეების სახით. შეიცავს მუსტიეური ხანის ნაშთებს.

8. მოყვითალო-მონაცრისფრო თიხნარი, ცალკეული კირქვის ნატეხების (10% ნაკლები) ჩანართებით, ნატეხების დიამეტრი 80 სმ; წარმოდგენილია ჭრილის მარცხენა მხარეს. შეიცავს მუსტიეური ხანის ნაშთებს. სიმძლავრე — 2,00—2,27 მ.

9. მოყვითალო-მონაცრისფრო, მოწითალო ელფერის მქონე ცხიმოვანი თიხნარი, 5 სმ დიამეტრის მქონე კირქვის მცირე ნატეხების ჩანართებით. ფენაში აქა-იქ გვხვდება უაღრესად შლადი კირქვის მცირე ნატეხები. შეიცავს მუსტიეური ხანის ნაშთებს. სიმძლავრე 2,27—2,50 მ.

IV დასტა

10. მონაცრისფრო-მოჩალისფრო მძიმე თიხნარი 4—7 სმ დიამეტრის მქონე კირქვის იშვიათი (5% ნაკლები) ნატეხების ჩანართებით. კირქვის მცირე ნატეხები დაჟანგულია. შეიცავს აშელური ხანის კულტურულ ნაშთებს — 2,50—2,85 მ სიმძლავრის.

11. ფენა მსგავსია ზემოთ აღწერილის (მე-10 ფენა), განსხვავდება მოყვითალო ფერით და უფრო მსხვილი 20 სმ დიამეტრამდე კირქვის ნატეხების ჩანართებით. შეიცავს აშელური ხანის კულტურულ ნაშთებს, ფენის სიმძლავრე 2,85—3,10 მ-ია.

12. მსგავსია მე-10 ფენის. შეიცავს აშელური ხანის კულტურულ ნაშთებს. სიმძლავრე 3,10—3,55 მ.

13. მოყვითალო, მომწვანო ელფერის მქონე მძიმე პლასტიკური თიხა, ფენა ჯიბეების სახით იჭრება მე-14 ფენაში. 4—7 სმ დიამეტრის მქონე კირქვის ნატეხები ფენის 15—20 %-ია და დაფარულია რკინის ჟანგით. შეიცავს აშელური ხანის კულტურულ ნაშთებს. სიმძლავრე 3,35—3,55 მ.

14. მოწითალო ცხიმიანი თიხა, ღორღოვანი, კირქვის იშვიათი მსხვილი ნატეხების მინარევით. ღორღი და კალციტის ნაღვენთები შეფერილია მარგა-

ნეცით. ფენა ტალღოვანია. სიმძლავრე (დაახლოებითი) 3,55—3,70 მ-ია. შეიცავს აშელური ხანის ნაშთებს.

ზემოთ აღწერილი მე-4 დასტის ყველა ფენა, გარდა მე-13 და მე-14, ვერ აღწევს მღვიმის მარჯვენა კედელს; აქ ისინი (50 სმ სიფართით) წარმოდგენილნი არიან ბრექჩიად ქცეული ღორღით, რომელიც შევსებულია მომწვანო-მონაცრისფრო თიხნარით.

V დასტა

15. მოჩალისფრო-ღია მოყავისფრო ქვიშნარი, მოთეთრო და მოწითალო ლაქებით. მოთეთრო ლაქები კირქვის წვრილი ნატეხების დაშლის შედეგია, ხოლო მოწითალო — მარგანეცის. ფენა შეიცავს 10% (ვიზუალურად) კირქვის ნატეხებს, რომელთა დიამეტრი 7—8 სმ-ია. შეიცავს აშელის ხანის მასალებს. სიმძლავრე 3,70—3,82 მ.

16. მოყავისფრო მსუბუქი თიხნარი, კირქვის ნატეხების (10% ვიზუალურად) ჩანართებით. კირქვის მცირე ნატეხები დაფარულია რკინის ჟანგით და მარგანეცით. შეიცავს აშელის ხანის ნაშთებს, სიმძლავრე 3,82—4,02 მ.

17. მოვარდისფრო მძიმე თიხნარი, მორუხო ლაქებით, მიღებული კირქვის მცირე ნატეხების დაშლის შედეგად. ფენა შეიცავს კირქვის საშუალო ზომის ნატეხებს (10%) და წვრილ (1—3 სმ დიამეტრის მქონე) ღორღს. შეიცავს აშელის ხანის კულტურულ ნაშთებს. ფენის სიმძლავრე 4,02—4,27 მ-ია.

18. მოვარდისფრო, მოწითალო, ერთგვაროვანი კარბონატული თიხნარი, ოქრის მინარევით. წარმოქმნილია ძირეული კირქვის ქანების დაშლის შედეგად. შეიცავს აშელური ხანის კულტურულ ნაშთებს. სიმძლავრე—4,27—4,32 მ.

19. ღია მოყვითალო, მოვარდისფრო ელფერის თიხნარი კირქვის ნატეხების ჩანართებით. ფენა წარმოდგენილია მხოლოდ ჭრილის მარჯვენა დაბალ კუთხეში. შეიცავს კულტურულ ნაშთებს, ფენის სიმძლავრე 4,32—4,42 მ.

20. ღია მოყვითალო სუფთა თიხნარი. შეიცავს კულტურულ ნაშთებს. 4,42—4,62 მ სიმძლავრის.

ფენების მაქსიმალური საერთო სიმძლავრე 4,70 მ აღწევს; მე-5 ფენა — I მუსტიეური ფენაა, მე-6—II მუსტიეური ფენა; მე-7—10 ფენები ქმნიან III მუსტიეურ ფენას, მე-11—15 ფენები — I აშელურ ფენას, ხოლო მე-16—20 ფენები — II აშელურ ფენას (სურ. 2).

1978 წ. I მუსტიეურ ფენაში აღმოჩნდა ქვის ორი ნივთი, ერთი — მონაცრისფრო კაჟის წვერმოტეხილი დანისებური იარაღი და მონაცრისფრო კაჟის ოდნავ ნაკლული წვეტანა. ორივე ნივთი აღმოჩნდა ერთსა და იმავე სიღრმეზე (2,20—2,30 მ). აშელურ ფენებში არც ერთი ქვის ნივთი არ აღმოჩენილა.

წონის ფაუნა საკმაოდ მდიდარია, მას სწავლობს პალეობიოლოგიის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი დოქტორი აბესალომ ვეკუა. აღნიშნული მკვლევარის აზრით, წონის ფაუნა ყალიბდებოდა ძირითადად წინა აზიის ზეგანის მშრალი სტაციის, ტყის ფორმების და ბუჩქნარის საფარის მცხოვრებ ცხოველებისაგან. წონა ფაუნა თავისი შემადგენლობით ახლოს დგას კუდაროს მღვიმეების (I და III) ფაუნასთან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წონაში საერთოდ წარმოდგენილი არ არის ველის ცხოველების ნაშთები. წონის მღვიმის ფაუნის თავისებურებაა ცივი ჰავის მოყვარულ ცხოველთა არარსებობა.



სურ. 2. წონის მღვიმე. A 12—Г 12 კვადრატების დასაწყისის განივი ჭრილი.

საანგარიშო წელს წონის მღვიმეში 12—12 კვადრატების დასაწყისის განივ ჭრილიდან აღებულ იქნა ნიმუშები პალინოლოგიური ანალიზისათვის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელ ნ. მამაცაშვილის მიერ. მტვრიანას შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მუსტიეური და აშელის ადამიანების ცხოვრების პერიოდში წონის მღვიმის მიდამოებში გავრცელებული იყო წიწვოვანი, წიწვოვან-ფართოფოთლოვანი და ფართოფოთლოვანი ტყეები, უფრო მდიდარი, ვიდრე დღესაა ამ ზონაში. ჰავაც, დღევანდელთან შედარებით, მაღალტენიანობით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით აშელის ეპოქაში.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდა 1978 წ. 8 სექტემბერს, 9 სექტემბერს კი დაიწყო საველე სემინარის მუშაობა, მიძღვნილი საქართველოს შუა და ქვედა პალეოლითური ძეგლების შესწავლისადმი. საფრანგეთის დელეგაცია წარმოდგენილი იყო 10 კაცით. დელეგაციაში შედიოდნენ: ანრი დე ლუმლეი — არქეოლოგი, დელეგაციის ხელმძღვანელი, ჟაკ ლაბერი — ფიზიკოსი, მარია ანტუანეტა დე ლუმლეი — ანთროპოლოგი, ჟან კომბიე — არქეოლოგი, ჟან შალინი — პალეონტოლოგი, ჟან კლოდ მიშკოვსკი — ლითოლოგი, ჟოზეფ რენვილ მიშკოვსკი — პანილოლოგი, ჟან პიერ სუკი — პალეობოტანიკოსი, კლოდ გურინა — პალეონტოლოგი, არლეტ ლეროუა გურინ-პალინოლოგი.

საბჭოთა დელეგაცია წარმოდგენილი იყო 50 კაცით, მას ხელმძღვანელობდა საკავშირო მეცნ. აკად. მოსკოვის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ი. გერასიმოვი. დელეგაციაში შედიოდნენ: პ. ბორისკოვსკი (არქეოლოგი), ა. ველიჩკო (გეომორფოლოგი), ვ. ლიუბინი (არქეოლოგი), ნ. პრასლოვი (არქეოლოგი), ზ. აბრამოვა (არქეოლოგი), ვ. მურატოვი (გეოლოგი) და სხვ.

დელეგაციის წევრებმა მოიხილეს ცუცხვათის მღვიმეთა კომპლექსი, ჯრუჭულა, წონა და სხვ. ყველა ძეგლზე წარმოდგენილი იყო საველე და ლაბორატორიული სამუშაოების შედეგად მიღებული დასკვნები ნახაზებისა და დიაგრამების სახით, აგრეთვე მოპოვებული არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალების მცირე ექსპოზიცია. დელეგაციის წევრებს ველზე ახსნა-განმარტებას აძლევდნენ არქეოლოგები დ. თუშაბრამიშვილი („ბრინჯაოს მღვიმე", „ორმაგი ეხი", „ჯრუჭულა") და ზ. ქიქოძე („წონა"); აგრეთვე გეომორფოლოგი — პროფ. ლ. მარუაშვილი, პალეონტოლოგი — დოქტორი ა. ვეკუა და უფრ. მეცნ. თანამშრომელი ნ. მამაცაშვილი (პალინოლოგი). ქართველ სპეციალისტთა მოხსენებებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, გამოითქვა მოსაზრებები როგორც პირველყოფილი საზოგადოების ფიზიკო-გეოგრაფიული გარემოს შესახებ, ისე კულტურული ფენების წარმოშობის, დათარიღებისა და, საერთოდ, მასალის ინტერპრეტაციის შესახებ. საბჭოთა და ფრანგმა სპეციალისტებმა როგორც ველზე, ისე შემაჯამებელ სხდომაზე მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს პალეოლითურ ძეგლებს და მათ კომპლექსურ შესწავლას. საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ი. გერასიმოვმა მეტად მაღალი შეფასება მისცა ცუცხვათის მღვიმეების კომპლექსური შესწავლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას, რომლის ავტორებიც არიან ლ. მარუაშვილი, ა. ვეკუა, ნ. მამაცაშვილი, დ. თუშაბრამიშვილი და სხვები, რომელიც დაისტამბა 1978 წ. შემაჯამებელ სხდომაზე დაისახა ლო-

ნისძიება საბჭოთა და ფრანგ მეცნიერთა თანამშრომლობის გაღრმავებაზე, ერთობლივ პუბლიკაციებზე რუსულ და ფრანგულ ენებზე, ლაბორატორიული ანალიზების შედეგების გაცვლაზე (ფრანგმა და საბჭოთა სპეციალისტებმა ცალ-ცალკე აიღეს ნიადაგის და ნახშირის ნიმუშები „ბრინჯაოს", „ჯრუჭულის" და „წონის" მღვიმეებიდან) და სხვ. ამ მხრივ უკვე გადაიდგა ნაბიჯები — მზადდება რუსულ-ფრანგულ ენებზე ერთობლივი მონოგრაფია, მიძღვნილი საფრანგეთისა და საქართველოს ქვედაპალეოლითური ძეგლებისადმი[3].

ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1979 წ. სამუშაოებს აწარმოებდა მხოლოდ ჭიათურის რაიონში. მის ძირითად მიზანს შეადგენდა სტაციონარული გათხრების განახლება „ორთვალა კლდეში" და საძიებო სამუშაოების ჩატარება ჭიათურა — საჩხერის რაიონების ტერიტორიაზე.

როგორც 1974—1975 წლების ანგარიშში გვქონდა აღნიშნული[4], „ორთვალა კლდის" მღვიმე მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. დიდი რგანის ტერიტორიაზე, მდ. ჭერულის ხეობაში (მდ. ყვირილის მარჯვენა შენაკადი), მის მარჯვენა ნაპირზე. მდინარის ზედაპირიდან 35—40 მ სიმაღლეზე. ძეგლს მივაკვლიეთ 1973 წ. ჭიათურელი არქეოლოგიის მოყვარულის გოდერძი სამხარაძის დახმარებით და უშუალო მონაწილეობით (ტაბ. I₂).

საანგარიშო წელს „ორთვალა კლდეში" გაითხარა მცირე დარბაზის Ь7-10 კვადრატები და A-A 11-16 კვადრატების წინ მდებარე ფართობი კლდოვან იატაკამდე: C-C 7-10 და A-A 11-16 კვადრატების დასაწყისის განივ ჭრილში ფიქსირებულია ცხრა ფენა, რომელთა ხასიათი და თანამიმდევრობა ზევიდან ქვევით ასეთია:

1. ჰუმუსი, ოდნავ შავი შეფერილობის, მღვიმეში — მტვრად ქცეული თიხნარის სახით. წინა ფართობისაკენ ჰუმუსი მატულობს და მასში ჩართულია ღორღი, საშუალო ზომის (5—6 სმ) კირქვის ნატეხები და დიდი ლოდები ფენაში აქა-იქ გვხვდება კაჟის მასალა და ფაუნისტური ნაშთები.

2. ღორღნარი, ღია მოყავისფრო თიხნარით შევსებული, კირქვის მსხვილი (26×35 სმ) ნატეხების ჩანართებით. I მუსტიეური (?) ფენა.

3. მოყვითალო თიხნარი, ღორღისა და კირქვის საშუალო ზომის ნატეხების ჩანართებით, ღორღი და საშუალო ზომის კირქვის ნატეხები მღვიმის კედელთან მატულობს (დაახლოებით 60%). II მუსტიეური ფენა.

4. ღია მოყავისფრო-მოწითალო თიხნარი, ღორღის (2—3 სმ დიამეტრის), კირქვის მსხვილი ნატეხების და დიდი ლოდების ჩანართებით. III მუსტიეური ფენა.

5. მუქი მოყავისფრო თიხნარი ღორღის ჩანართებით, ბრეჭჩიად ქცეული, აქა-იქ კირქვის ბრტყელი ნატეხების ჩანართებით. IV მუსტიეური ფენა.

6. ნაკერალი, შავად შეფერილი ფენა, წვრილი ღორღისა და კირქვის საშუალო ზომის ნატეხების ჩანართებით. V მუსტიეური ფენა.

7. ღორღნარი, საშუალო ზომის ნატეხებით, სუსტად შევსებული მოყავისფრო თიხნარით. VI (?) მუსტიეური ფენა.

---

[3] ანგარიშის შედგენისას ვსარგებლობთ ცუცხვათის, ჯრუჭულის და წონის რაზმების ხელმძღვანელების — თ. მეშველიანის, ე. გოგაძისა და ზ. ქიქოძის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით.

[4] იხ. დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ყვირილისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების 1974—1975 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. V, თბ., 1977.

8. განიადაგებული, მოშავო ფერის თიხნარი, საშუალო ზომის კირქვის ნატეხების ჩანართებით, ზედა ჰორიზონტში შეიცავს კულტურულ ნაშთებს. VI (?) მუსტიეური ფენა.

9. ღია მოყავისფრო-მოყვითალო თიხნარი, წვრილი და საშუალო ზომის ღორღის ჩანართებით. წარმოდგენილია მხოლოდ მე-7—8 კვადრატების ფარგლებში. სტერილურია (სურ. 3).



სურ. 3. „ორთვალა კლდე", CC 7—10 და AA 11—15 კვადრატების დასაწყისის განივი ჭრილი.

ფენების საერთო სიმძლავრე 2.68 მ-ია; მე-7, მე-8 ფენებში ქვის მასალა და ფაუნის ნაშთები მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. გამორიცხული არ არის, რომ იგი ზედა ფენიდანაა აქ მოხვედრილი.

1979 წ. „ორთვალა კლდეში" წარმოებული გათხრების შედეგად ყველა ფენაში ნაპოვნია 7288 ქვის ნივთი, რომელთა განაწილება ფენების მიხედვით ნათლად ჩანს ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

ფენების დასახელება	ნუკლეუსები	ანატვლეფლეები	ანატვლეფლეები არ ლეფლეზე.	ანატვლეფლეები ლეფლეზე	ანატვლეფლეები წვრილი და ძვრილსტბური	ლუნელები	სფენოლიები	სხლიები	წვეტანები	საფრანსები	შალაშინ.	საალელოები	რეტუშორები	სანტერეტები	მიკროლიანელები	დანები	დაგეგლეული ანატვლეფ.	ორიენტირებულ დამეტალებ-ული ანატვლეფ.	დანატრეფილი	ს ე ნ
I მუსტ. ფ.	2		16		156	1	1	3							9					1881
II მუსტ. ფ.	9	6	117	17	113	27	6	26	3	1	1	1	1		1	7	1	1		388
III მუსტ. ფ.	25	15	270	16	328	49	1	29	3	1		1			2	24				764
IV მუსტ. ფ.	168	265	1466	83	2000	198	8	266	69	9	1	1		1		31	3	5	7	4582
V მუსტ. ფ.	61	78	550	57	378	98	4	100	14	1	1					13			25	1379
VI მუსტ. ფ.	2	—	17		12	5		1												37

„ორთვალა კლდის“ მღვიმის მუსტიეური ფენებიდან მომდინარე მასალის ქვის გაპობის ზოგიერთი ტექნიკური მაჩვენებელი და იარაღების ტიპოლოგიური შედგენილობა გამოხატული პროცენტებში, წინასწარული გამოთვლით, შემდეგ სურათს იძლევა.

I მუსტიეურ ფენაში წარმოების გადანაყარი (ნუკლეუსები, ანამტვრევები, ქერცლისებური და წვრილი ანატკეცები — 158 ც.) 84,5 %-ია, ლევალუას ინდექსი /IL/ 3,3 შეადგენს. იარაღები მთელი მასალის (მასალის საერთო რაოდენობაში არ შედის ნუკლეუსები, ანამტვრევები და ქერცლისებური ანატკეცები) 13,3 %-ია, ხოლო იარაღები წარმოდგენილია მხოლოდ სახოკებით (სულ 4 იარაღი).

II მუსტიეურ ფენაში სულ 338 ქვის ნივთია აღმოჩენილი (სურ. 4), წარმოების გადანაყარი 39 % შეადგენს, ლევალუას ინდექსი /IL/ 16,7. იარაღები მთელი მასალის 30,6 %-ია, წამყვანი ადგილი იარაღებს შორის სახოკებს და საფხეკებს (32 ც.) უკავიათ 50 %. წვეტანები 3 ც. (4,4 %), ლევალუაზური ანატკეცები 17 ც. (26,5%).

III მუსტიეურ ფენაში 764 ნივთია აღმოჩენილი (სურ. 5), აქედან 328 ც. (43,06%) წარმოების გადანაყარია. ლევალუას ინდექსი 14,4% შეადგენს. იარაღები მთელი მასალის 18,9%-ია. (75 ც.), წამყვანი ადგილი საფხეკ-სახოკებს (30 ც. 40%) უკავიათ. წვეტანა 3 ც. (4,0%), ლევალუაზური ანატკეცი 16 ც. (21,3%).

IV ფენაში ყველაზე მრავალრიცხოვანი მასალაა აღმოჩენილი (4582 ერთეული), წარმოების გადანაყარი 55 %-ზე მეტია (2533 ც). ლევალუას ინდექსი /IL/ 10,4 უდრის, ყველა სახის იარაღები (484 ც.) მთელი მასალის (2049 ც.) 23,6 % შეადგენს (სურ. 6). სახოკ-საფხეკები (274 ც.) ყველა სახის იარაღის 56,9 %-ია, წვეტანები (69 ც.)-14,1 %, ხოლო ლევალუაზური ანატკეცები 17,1%-ია (83 ც.).

V მუსტიეური ფენიდან სულ 1379 ქვის ნივთია, მათ შორის — 517 ც. (37,8%) წარმოების გადანაყარია, ლევალუას ინდექსი 11,7 შეადგენს, იარაღები (214 ც.) მთელი მასალის 25,0%-ია. საფხეკ-სახოკებს წამყვანი ადგილი უკავიათ, 104 ცალია და ყველა სახის იარაღების 48,6% შეადგენს. წვეტანა 14 ცალია (6,5%), ხოლო ლევალუაზური ანატკეცი 57 ც. (26,6%).

რაც შეხება VI მუსტიეურ ფენას, აქ მასალა იმდენად მცირეა, რომ რამის გამოთვლა და შეფარდებების გამოყვანა შეუძლებელია.

ამგვარად, ზემოთ მოტანილი პროცენტული შეფარდებებიდან ნათლად ჩანს, რომ „ორთვალა კლდის“ მღვიმეში ქვის დამუშავება, როგორც პირველადი, ისე მეორადი, მღვიმეშივე ხდებოდა, რაზეც მიუთითებს წარმოების გადანაყარის (ნუკლეუსების, ანამტვრევების, ქერცლისებური ანატკეცების) სიუხვე და კაჭრისკანიანი ანატკეცების დიდი რაოდენობა. ორთვალა კლდის მღვიმის ქვის გაპობაში გაბატონებულია არალევალუაზური ტექნიკა (ლევალუას ინდექსი მერყეობს 3,3 და 16,7 შორის). იარაღებს შორის წამყვანი ადგილი სხვადასხვა ტიპის საფხეკ-სახოკებს უკავიათ, უპირველეს ყოვლისა — მარტივ, ამოზნექილ (გრძივი ვარიანტი) სახოკებს. წვეტანები (მუსტიეური, ლევალუაზური) მცირერიცხოვანია. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი დანები ბუნებრივი ზურგით. იარაღების ტიპოლოგიური შედგენილობიდან და



სურ. 4. „ორთვალა კლდე". II მუსტიეურ ფენაში მოპოვებული ქვის მასალა.



სურ. 5. „ორთვალა კლდე". III მესტიეურ ფენაში მოპოვებული ქვის მასალა.



სურ. 6. „ორთველა ქალი“. IV მუსტიერულ ფენაში მოპოვებული ქვის მასალა.

მათი დამუშავების ტექნიკიდან ნათლად ჩანს, რომ „ორთვალა კლდის“ ქვის ინვენტარი ტიპიურ მუსტიეს განეკუთვნება.

რაც შეეხება ძეგლის ასაკს, დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება ნაადრევია, ძეგლის გათხრა ახლა იწყება; წინასწარულად კი II—III ფენების მასალები გვიანი მუსტიეს ფარგლებში ექცევა (ვიურმ II—III ინტერსტადიალის დასასრული?), ხოლო IV—VI ფენები, ჩვენი აზრით, განვითარებული მუსტიეს ეპოქით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება I ფენას, მისი რაობა მასალის სიმცირის გამო ჯერჯერობით გაურკვეველია — შესაძლებელია იგი ზედაპალეოლითურიც აღმოჩნდეს.

1979 წ. ექსპედიციამ ჩაატარა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოებიც. მდ. ჭერულის მარჯვენა ნაპირზე მივაკვლიეთ ძეგლს, რომელსაც პირობით „ჭერულის ეხი“ ვუწოდეთ და სადაც საძიებო თხრილმა დაადასტურა ნეოლით-ენეოლითური ხანის კულტურული ფენის არსებობა. ფენაში ნაპოვნია გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღები, ორმხრივდამუშავებული ისრისპირები და შუბისპირები კაჟისა, ხელსაფქვავების ფრაგმენტები, თიხის ჭურჭლის ნატეხები და სხვა. საძიებო თხრილი გავლებულ იქნა ე. წ. „ჭერულის ფარდულში“, მაგრამ იგი კლდოვან იატაკამდის ვერ დავიყვანეთ და არც მასალა არ მოუცია.

ექსპედიციამ მოიპოვა ახალი მასალები წინა წლებში მიკვლეულ აშელურ-მუსტიეური ხანის ნამოსახლარ-სახელოსნოებზე სოფ. სკინდორში (ადგილი ბეხნარი) და სოფ. კაცხში (ადგილი თებლოვანები).

Д. М. ТУШАБРАМИШВИЛИ

ОТЧЕТ РАБОТ КВИРИЛЬСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1978—1979 ГГ.

Табл. I

(Резюме)

В 1978 г. Квирильская экспедиция проводила раскопки в пещерах «Бринджаос Мгвиме» и «Ормаги эхи» (Цуцхватский пещерный комплекс), в Джручула и высокогорной Цонской пещере. Целью этих работ была всесторонняя подготовка документации названных памятников для совместного советско-французского полевого семинара по теме — «Динамика взаимодействия природной среды и доисторического общества».

В 1979 г. экспедиция проводила стационарные раскопки в пещере «Ортвала клде» и разведочные работы в Чиатурском и Сачхерском районах. В этом году в «Ортвала-клде» была раскопана часть «малого зала», где в поперечном разрезе зафиксировано 9 литологических слоев, 7 из которых принадлежит развитому и позднему мустье. Общая мощность всех слоев 2,68 м. В 1979 г. в «Ортвала-клде» было найдено 7288 каменных предметов.

На правом берегу речки Черула экспедицией был обнаружен грот, названный «Черулис эхи» (Черульский грот), где был заложен разведочный раскоп. В гроте был зафиксирован неолит-энеолитический культурный слой. Здесь обнаружены полированные каменные орудия, кремневые двусторонне обработанные наконечники стрел и дротиков, зернотерки, фрагменты глиняной посуды и др.

მ. მენაბდე, თ. კილურაძე, კ. გოცაძე

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1978—1979 წლების მუშაობის შედეგები

(ტაბ. II—VI)

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია საანგარიშო წლებში მუშაობდა მარნეულის რაიონში[1], აგრძელებდა გათხრებს ს. სიონში და ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარ ხრამის დიდ გორაზე[2].

ხრამის დიდ გორაზე ექსპედიციის მუშაობის მიზანია ძეგლის ქვედა საამშენებლო ჰორიზონტების შესწავლა შედარებით ვრცელ ფართობზე, რის შესაბამისადაც გრძელდებოდა ადრესამიწათმოქმედო ფენის გათხრა HC კვადრატის მთელ ფართობზე, სადაც წინა წლებში გამოვლენილი იყო ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარის ზედა საამშენებლო ჰორიზონტები[3]. საანგარიშო წლებში ადრესამიწათმოქმედო ფენის ფაქტიურად დაურღვეველ დონეებს ვთხრიდით. მხოლოდ ერთი სამარხი შეიძლება ჩაითვალოს უფრო ზედა ფენიდან ჩაშვებულად. სამარხი მდებარეობდა HC-95,96 კვადრატების მიჯნაზე, № 31||36 და № 35 ნაგებობებს შორის მდებარე მცირე ფართობზე, —3,25 მ დონეზე. სამარხი, რომელიც ჩვილ ბავშვს ეკუთვნოდა (შესაძლოა ახალშობილსაც), უინვენტარო იყო. არ არის გამორიცხული, რომ ეს სამარხი (№ 42) ძირითად, ადრესამიწათმოქმედო ფენას ეკუთვნოდეს.

გათხრების სიღრმეში გასაგრძელებლად მთლიანად ან ნაწილობრივ ავიღეთ ადრე გათხრილი რამდენიმე ნაგებობა. მთლიანად ავიღეთ № 33 შენობა (რომელიც № 49 ნაგებობის თავზე გადადიოდა), მისი ძირი—3,45 მ დონეზე

---

[1] ექსპედიცია 1978 წელს ველზე მუშაობდა 9 აგვისტოდან 1 ნოემბრამდე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: თ. კილურაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), მ. მენაბდე (რაზმის უფროსი), მ. ქორიძე (უფრ. ლაბორანტი), ი. ავდალოვი (მოწვეული არქიტექტორი), გ. გამყრელიძე (მოწვეული ლაბორანტი). 1979 წელს ექსპედიცია ველზე მუშაობდა 3 აგვისტოდან 21 ოქტომბრამდე; მონაწილეობდნენ: თ. კილურაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), მ. მენაბდე (უფრ. მეცნ. თანამშრომელი), რ. რამიშვილი, კ. გოცაძე (უმცრ. მეცნ. თანამშრომლები), მ. ქორიძე (უფრ. ლაბორანტი), თ. დარახველიძე (მოწვეული არქიტექტორი). ექსპედიციას მომსახურებას უწევდა მარნეულის აკ—2664-ის მანქანა (მძღოლი ვ. შამილოვი).

[2] წინა წლებში ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, IV—VI.

[3] მ. მ ე ნ ა ბ დ ე, თ. კ ი ლ უ რ ა ძ ე, ზ. ქ ი ქ ო ძ ე, ქვემო ქართლის..., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბ., 1978, გვ. 28—38.

მდებარეობდა და ქვებით იყო „მოგებული“. ავიღეთ აგრეთვე № 50 ნაგებობაც. მისი ძირი მოდიოდა — 3,85 მ დონეზე, რომლის ქვეშაც სქელი ნაცრიანი შრე მდებარეობდა. ასევე მთლიანად დავანგრიეთ № 42 ნაგებობის ის ნაწილი, რომელიც გასათხრელ ფართობში ექცეოდა. მისი ძირი ჩადიოდა —3,75 მ დონემდე.

ავიღეთ აგრეთვე ნაგებობა № 35, რომლის ძირი — 3,40 მ დონემდე ჩავიდა. მხოლოდ დასავლეთი ნაწილი ექცეოდა ჩვენს მიერ გათხრილ ფართობში. კედლები ძირითადად გადაბმული წყობით იყო ამოყვანილი, ჩრდილო-დასავლეთი კუთხე კი გადაუბმელი წყობით იყო მიღებული და გარედან და შიგნიდან თიხის სქელი ხსნარით შელესილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამავე ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს კედელი მორკალულია (სურ. 1, ტაბ. II_1).

ავიღეთ № 51 ნაგებობა და მასთან დაკავშირებული ეზოს მომზღუდავი კედლები № 54 და № 55. ნაგებობა № 51-ის ქვეშ, თითქმის იმავე ადგილზე გამოიკვეთა მასავით პატარა ზომის წრიული ნაგებობა № 51_1, პატარა ზომის წრიული მინაშენით (სურ. 1). შენობის ზედა ნაწილი შერჩენილი იყო — 4,10 მ დონეზე, ხოლო ძირი ჩადიოდა — 4,60 მ დონემდე. გაწმენდის დროს მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოჩნდა № 62 კედლის პირი. ამ უკანასკნელი კედლის გაწმენდის დროს საჭირო გახდა № 51_1 ნაგებობისა და მისი მინაშენის მოხსნაც.

თითქმის მთლიანად დავანგრიეთ № 28 ნაგებობა. მისი ძირი ჩადიოდა —3,40 მ დონეზე. უფრო ქვევით იხაზება მისი წინამორბედი ნაგებობის კვალი.

ნაწილობრივი მონგრევა მოგვიწია № 31/36 ნაგებობის კედლების ზედა ნაწილისა, რადგანაც ამავე ადგილას მდგარი უფრო ადრეული ჰორიზონტის თითქმის იგივე გეგმარების ნაგებობის კედლები ოდნავ იყო დაცდენილი ზედა ჰორიზონტებში განახლებულ ამ ნაგებობის კედლებს (სურ. 1, 2).

HC კვადრატის ცენტრალურ ნაწილში მდებარე № 27_1 შენობა ხელუხლებლად იქნა დატოვებული. 1977 წელს დაფიქსირებული იატაკის (3,80 მ დონეზე) ქვეშ აქ კიდევ რამდენიმე ქვებით მოგებული იატაკის დონე გამოვლინდა. დადგინდა, რომ № 27_1 ნაგებობის ქვეშ თითქმის ზუსტად იმავე ადგილას და იმავე გეგმარების უფრო ადრეული ჰორიზონტის მისი „წინამორბედი“ შენობა მდებარეობს, რომლის ძირიც ჩადის—4,55 მ დონემდე. ამ ქვედა ნაგებობასაც გასასვლელი აღმოსავლეთი მხრიდან ჰქონია. მის აღმოსავლეთით მდებარე ეზოში საშუალოდ—3,90 მ დონეზე აღმოჩნდა ქვებით მოგებული სტაციონარული ღია კერა, კედლის ძირში კი იდგა მასიური ქვის როდინი. აღსანიშნავია, რომ იატაკის ამ დონეზე, ეზოს დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში ამოიწმინდა დაახლოებით 25 სმ დიამეტრის ბოძის ორმო. ორმოს კვალი შეიმჩნეოდა № 42 ნაგებობის კედლის ძირშიც.

№ 42 შენობის ნაშთის აღების შემდეგ გამოჩნდა, რომ მის ქვეშ და საერთოდ ეზოს მთელ ფართობზე მძლავრი ნაცრიანი ფენა მდებარეობდა, რომელშიც მრავლად იყო შერეული ალიზის ნანგრევები. ამ ეზოს ფართობზე — 4,12 მ დონეზე გამოიკვეთა მცირე ზომის ალიზის წრიული სათავსო — ნაგებობა № 65, რომლის ძირიც ჩავიდა — 4,85 მ დონემდე (სურ. 2).

№ 27_1 ნაგებობა მოკლე ტიხრით უკავშირდება № 45 ნაგებობას, რომელსაც დასავლეთი მხრიდან ებჯინება მოზრდილი ეზოს მომზღუდავი კედელი,

ხრამის დიდი გორა



სურ. 1. ხრამის დიდი გორა. გათხრილი ფართობის გეგმა და ჭრილები; 1978 წელი.



სურ. 2. ხრამის დიდი გორა. გათხრილი ფართობის გეგმა და ჭრილები; 1979 წელი.

რომელიც თავისი მოყვანილობითა და მიმართულებით სავარაუდოა, რომ № 41 კედლის ერთ-ერთი ქვედა დონის გაგრძელება იყოს (სურ. 2).

№ 41 კედლის ეზოში შედარებით ნაკლებად დავღრმავდით (საშუალოდ —4,20 მ დონემდე). აქ საანგარიშო წლებში 8 ე. წ. კერა გამოვლინდა[4].

HC კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს № 47 ნაგებობა, მისგან დასავლეთით მდებარეობს № 49 ნაგებობა, რომლის ზედა ნაწილი—3,33 მ დონეზე იყო გადარჩენილი, ძირი კი ჩადიოდა საშუალოდ—4,50 მ დონეზე—ე. ი. ამ შენობის კედლები თითქმის 1,20 მ სიმაღლეზე იყო შერჩენილი. აღსანიშნავია, რომ ამ ნაგებობაში იატაკის ქვედა ორ დონეზე ჭილობის ანაბეჭდია დადასტურებული. ამ ნაგებობის მთელი აღმოსავლეთი ფართობი წმინდა ნაცრით იყო დაფარული, რომელიც ზემოდან თიხის თხელი ფენით იყო მოლესილი. ამ ნაგებობაში კედელთან, ნაცრიან ფენაში აღმოჩნდა გამოუწვავი თიხისაგან ნაძერწი დაბალი, განიერი (დაახლოებით 10 სმ დიამეტრის) კონუსი—ქალის მკერდის მოდელი.

აღნიშნული ორი ნაგებობა და აგრეთვე № 38 და მის ქვეშ მდებარე № 56 ნაგებობანი და მათი დამაკავშირებელი № 52 და № 60 კედლები ზღუდავს გათხრილი ფართობის NO ნაწილში მდებარე მოზრდილ ეზოს. ეზოში რამდენიმე ფენად იწმინდებოდა იატაკზე „მოგებული" ლელისა თუ ფიჩხის ფენა. ეზოში დადასტურებულია ბოძის ნაალაგევი ორმოები, მათგან ორი, კედლის პილონების პირდაპირ იყო „ამოღებული" (სურ. 1, ტაბ. II_1).

დასახელებული ეზოს ფართობზე, სილრმეში, HC—17,18,27,28 კვადრატებში შემოიხაზა № 64 ნაგებობის კონტური, რომელიც ნაწილობრივ შედის № 47 ნაგებობის ქვეშ. № 64 ნაგებობის შერჩენილი ზედა ნაწილი—4,40 მდებარეობს და ჩადის სილრმეში (ძირი ჯერ გაწმენდილი არ არის). ამ ნაგებობის ფართობზე, უფრო ზუსტად მის W კედელთან ორის კერა გამოვლინდა—№ 82 და № 83. კერები ნაცრით ამოვსებული და მცირე ინვენტარიანი იყო (სურ. 1,2).

№ 49 ნაგებობის დასავლეთით, HC-14,15,24,25,34,35 კვადრატებში მდებარეობდა საკმაოდ მოზრდილი № 63 ნაგებობა, რომლის ზედა ნაწილი ძირითადად შერჩენილი იყო—4,25 მ დონეზე, ზოგან კი უფრო მაღლაც. ამ ნაგებობის კედელი თითქმის—5,60 მ-მდეა გაწმენდილი, მაგრამ ძირამდე დასული არა ვართ. ამ ნაგებობის პრეპარაციის დროს ორი საინტერესო ფაქტი დადგინდა. პირველი—შენობის კედლის ნაწილი თავის დროზე (როცა ნაგებობის ძირითადი ნაწილი დაანგრიეს) არ მოუშლიათ და ე. წ. „№ 45 და № 51 ნაგებობის ეზოს" ჩრდილოეთ კედლის (კედელი № 54) ამოყვანის დროს გამოუყენებიათ—№63 ნაგებობის კედლის ფრაგმენტი პირდაპირაა ჩასმული მოგვიანო ჰორიზონტის №54 კედელში. მეორე—თვით № 63 ნაგებობას ორი აშკარა გადაკეთების კვალი ეტყობა. ერთი გადატეხა კედელში, ე.ი. გადაშენების კვალი შეინიშნება—4,90 მ დონეზე (სადაც კედელში ხელსაფქვავიცაა გარდიგარდმო გაჩხერილი), ხოლო მეორე—უფრო ზედა დონეზე.

№ 63 ნაგებობა მისგან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე № 62 კედლით უკავშირდება № 45 ნაგებობის ქვეშ მდებარე № 61 ნაგებობას. № 62 კედელს,

---

[4] აღსანიშნავია, რომ ამ კედლის ძირში, სწორედ—4,20 მ დონეზე აღებული ხის ნახშირი მივეცით განსასაზღვრავად თბილისის უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიას. ნიმუშის ასაკია (C_{14}-ის 5730 წლიანი ნახევრად დაშლის პერიოდით) 6630±50 წელი, ე. ი. თარიღდება ძვ. წ. 4680±50 წლით (ТБ—301).

რომელიც შიდა ეზოს მომზღუდავი ჩანს, შუა ნაწილში კარგად გამოყვანილი პილონი აქვს (სურ. 2, ტაბ. IV). ეზოს ფართობზე, პილონის მოპირდაპირედ, კედლიდან დაახლოებით 1,5 მ-ში შეინიშნებოდა 15—20 სმ დიამეტრის ბოძის ორმოს კვალი. № 62 კედელი, ხრამის გორაზე გათხრილი კედლებისაგან განსხვავებით, გარეთა მხარესაა გადახრილი. რისგან უნდა იყოს გამოწვეული ეს გარემოება ძნელი ასახსნელია. № 62 კედლის შერჩენილი ზედა დონეა — 4,30 მ, ძირი კი ჩადის — 5,45 მ დონეზე.

№ 62 კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან, შიგა მხარეს გამოიკვეთა მორკალული კედლის (№ 69) ფრაგმენტი (სურ. 2, ტაბ. IV). ეს კედელი ან № 62 კედლის აგების დროსაა გადაჭრილი (რადგანაც № 62 კედლის გარეთ არცერთი მხრიდან ის აღარ გრძელდება), ან მის მინაშენს წარმოადგენს (თუმცა დონეებს შორის მკვეთრი სხვაობა ამ ვარაუდსაც ეჭვის ქვეშ აყენებს). № 69 კედელი მდებარეობს — 4,95—5,57 მ დონეებზე.

№ 63 ნაგებობის SO-ით გადის ტიხარი (კედელი-№ 77, დონეები — 4,70 — 5,05 მ), რომელიც თითქოს აკავშირებს ამ ნაგებობას № 78 მორკალულ კედელთან თუ ნაგებობასთან. ამ უკანასკნელის მხოლოდ დასავლეთი კედელია გამოჩენილი, დანარჩენი ნაწილი ჯერჯერობით გაუთხრელია. № 78 კედელი გაწმენდილია — —4,65 — 5,50 მ დონეზე. იგი, ისევე. როგორც № 63 ნაგებობის ქვედა დონე, შესაძლოა რომ უფრო ღრმადაც მიდიოდეს (სურ. 2, ტაბ. IV).

ზემოაღნიშნულ კედლებს შორის ფართობზე HC — 33,34,35,44,45 კვადრატებში გამოიკვეთა უფრო ქვედა დონის № 70 ნაგებობა, რომელიც ნაწილობრივ შედის №61 ნაგებობის ქვეშ. იგი მოზრდილი შენობაა. მისი ზედა შერჩენილი დონეა — 5,05 — 5,08 მ (ზოგან კი უფრო დაბალზეა გადაჭრილი), ძირი კი ჯერჯერობით გაწმენდილია — 5,53 — 5,60 მ დონეზე. როგორც ჩანს, იგი ბევრად ღრმად მიდის (ტაბ. IV, სურ. 2).

№ 62 კედლის NW-ით გაიწმინდა № 75 კედლის ფრაგმენტი (4,23, 5,27 მ დონეებზე), რომელიც დასავლეთი მხრიდან ადრევე ყოფილა გადაჭრილი. ამ კედლის დასავლეთით HC — 11,12,21,22 კვადრატებში გამოჩნდა რაღაც წრიული ნაგებობის (ნაგებობა № 79) კონტური, რომლის ზედაპირიც — 5,05 მ ნიშნულზე მდებარეობს. კედლები და ძირი ჯერჯერობით არ არის გათხრილი. ამ ნაგებობისაგან სამხრეთ-დასავლეთით გამოიკვეთა № 76 ნაგებობის კედლის ფრაგმენტი, რომლის მხოლოდ აღმოსავლეთი სეგმენტი ექცევა HC კვადრატში, უმეტესი ნაწილი კი გაუთხრელ ფართობში გადის. მისი პირი მოდის 4,70 მ დონეზე, ძირი კი 5,17 მ ნიშნულზე ჩადის (სურ. 1, 2; ტაბ. IV).

როგორც აღნიშნული გვქონდა, №31/36 ნაგებობის თითქმის იგივე გეგმის, ოღონდ უფრო „შემცირებული“ ზომის შენობა დგას. ამ ქვედა ნაგებობის ძირი ჩავიდა-4,30 მ დონემდე (სურ. 1,2).

საანგარიშო წლებში, უფრო ზუსტად 1979 წელს, განსაკუთრებით ინტენსიურად ითხრებოდა HC კვადრატის SW კუთხე. აქ, № 43 კედლის აღების შემდეგ ორი სხვადასხვა კედელი გამოჩნდა. ერთი მცირე ზომის წრიული შენობისა ჩანს (ნაგებობა № 66), მეორე კი თითქოს ტიხარია (კედელი № 67). ორივე კედელი გაიწმინდა მხოლოდ SO მხრიდან, ე. ი. გარედან, № 66 ნაგებობის ზედაპირი არათანაბარია, ყველაზე ზედა დონე გადარჩენილია 4,02 ნიშნულზე, ძირი ჩადის — 4,85 მ დონეზე. მისგან NO-ით მდებარე და მასთან დაკავშირებული № 67

კედელი შერჩენილია 4,15 მ დონეზე, ძირი კი ჩადის—5,27 მ ნიშნულზე. ამ ორი კედლის ქვეშ შედის და ნაწილობრივ აღმოსავლეთით გამოდის № 71 ნაგებობა. მისი „პირი“ გადარჩენილია—5,00 მ დონეზე, ძირი კი ჩადის—5,93 მ დონეზე (სურ. 1,2,). ....

ვინაიდან ჩვენ გრუნტს ვვარაუდობდით დაახლოებით — 5,8 მ დონეზე (1972 წელს გათხრილი საძიებო შურფის მაგალითზე[5]), ამ უკანასკნელი კედლის გაწმენდის მიზნით და მოსალოდნელი გრუნტის სიახლოვის გამო № 31/36 ნაგებობის დასავლეთით და ზემოაღნიშნულ სამ კედელს შორის ნაგებობებისაგან თავისუფალი ფართობი ჩავბარეთ, რამაც მოულოდნელი და მეტად საინტერესო სურათი მოგვცა. ამ ფართობზე ნაცარ-ნახშირიანი ფენები ჩავბარეთ — 7,90—8,00 მ დონემდე, მაგრამ გრუნტი ჯერჯერობით არ გამოჩენილა. აღსანიშნავია, რომ კულტურულ ფენებს ძლიერი დახრა აქვს ცენტრისაკენ და არა ბორცვის ნაპირისაკენ; დახრის სიმკვეთრე ფენების სიღრმეში ქვედა ფენებში მდებარეობასთან დაკავშირებით უფრო საგრძნობი ხდება (სურ. 2).

№ 67 კედლის NO-ით მდებარეობს № 72 კედელი, რომლის ზედა ნაწილი გადარჩენილია —4,80 მ დონეზე, ძირი კი ჩადის 6,05 მ ნიშნულამდე და შესაძლოა უფრო ქვევითაც მიდიოდეს.

HC—04,05 კვადრატებში გაიწმინდა № 68 კედელი (ზედაპირი—4,85 მ, ძირი —5,20 მ დონეზე). ამ კედლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტია გამოჩენილი, რადგანაც ის შედის № 31/36 ნაგებობის ქვეშ. № 68 კედლის ქვეშ, მისგან ოღნავ დასავლეთით გაიწმინდა იგივე მიმართულების № 73 კედლის ფრაგმენტი (5,7C—6,80 მ. დონეებზე), რომლის ქვეშაც ანალოგიური მიმართულების უფრო ადრეული კედელია სავარაუდებელი (სურ. 2).

განცალკევებით მდგარი № 40 ნაგებობის ძირი ჩადის — 3,95 მ დონემდე. აღსანიშნავია, რომ ამ შენობას სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან გამოეკვეთა შესასვლელი „სარკმელი“ კუთხეებმომრგვალებული ტრაპეციის მოყვანილობისა, რომელიც შემდეგში ამოშენებული და ამოქოლილი ყოფილა. შესასვლელი „კარის“ სიმაღლეა 52 სმ, სიგანე ზედა ნაწილში 24 სმ, ქვედა ნაწილში 45 სმ (ტაბ. III).

საანგარიშო წლებში ხრამის დიდ გორაზე 17 ე. წ. კერა გავთხარეთ; რვა კერა მდებარეობდა «№ 41 კედლის ეზოში», ორი —№ 64 ნაგებობაში, ერთი—HC—81—82 კვადრატების მიჯნაზე (№ 43 კედლის დასავლეთით), ერთი—HC—74,75 კვადრატების მიჯნაზე, №40 ნაგებობის SW-ით, ერთი—HC—44 კვადრატში, № 27 და № 45 ნაგებობების შესაერთებელი ტიხარის ძირში, ოთხი კერა კი მდებარეობდა თხრილის აღმოსავლეთ კედელში, რომელიც მავზოლეუმს ებჯინება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელთაგან ორ კერას თავი ზემოდან თიხის თხელი ფენით ჰქონდა გადალესილი.

ერთ-ერთ კერასთან (№ 75-თან) არის დაკავშირებული გამოუწვავი თიხის ორიგინალური ქანდაკება, მეტად სქემატური—სეკირისებური მოყვანილობის, ზედა ნაწილში გამჭოლი ნახვრეტით. ეს კერა თითქმის მთლიანად წმინდა ნაცრით

---

[5] ლ. ღლონტი, ა. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე, ქვემო ქართლის... საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, IV, გვ. 25.

იყო ამოვსებული. მხოლოდ ერთ ნაწილში, SW მხარეს, იყო ჩაყრილი თიხის კოშტები. კერა 60 სმ სიღრმისა იყო, 50 სმ დიამეტრით. იგი ძირისაკენ ვიწროვდებოდა. მასში ჩაწყობილი იყო სამეურნეო ქვები, ობსიდიანისა და კაჟის ლამელა-ანატკეცები, ცხოველის ძვლები, ირმის რქის იარაღები (ცული, კვერთხისთავები, თოხი, იარაღის ნამზადი), ძვლის იარაღები (ლულოვან თუ ბეჭის ძვალზე ნაკეთები თოხები, სადგისები). აქვე იყო ჩადებული მსხვილფეხა საქონლის მეტაპოდია დამუშავების კვალით. «გაბნეული» იყო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. კერის ძირზე იდო ქვის ცულის ნამზადი. ეს კერა მდებარეობდა 3,94—4,54 მ დონეებზე.

HC—56,57 კვადრატების მიჯნაზე, თხრილის აღმოსავლეთ კედელში მდებარე № 81 კერაში აღმოჩნდა გამოუწვავი თიხის რეალისტურად შესრულებული მუხლებშეტყუპებული მჯდომარე ქალის თითქმის მთელი ქანდაკება.

გამოუწვავი თიხის ორი ფიგურაა ნაპოვნი № 62 კედლის პილასტრთან. შიდა მხარეს — 5,05 მ დონეზე: ერთი ძლიერ ფრაგმენტირებული და ნაკლულია, იგი ეკუთვნის ხრამის დიდი გორისათვის იშვიათ, წინ გაჭიმულ და გაშლილფეხებიანი მჯდომარე ქალის ფიგურათა ტიპს. პილასტრის მეორე მხარეს აღმოჩნდა კონუსური მოყვანილობის, მასიური, უხეშად ნაძერწი, მეტად სქემატური თიხის ქანდაკება.

საანგარიშო წლებში მეტად მრავალრიცხოვანი მასალაა აღმოჩენილი. ჩვენ მხოლოდ ისეთ მონაპოვარს შევეხებით, რომელიც იშვიათია და სიახლეს წარმოადგენს.

მასალაში ყველაზე მრავალრიცხოვანია კერამიკა, რომელიც ჩვეულებრივ წვრილი ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. კერამიკაში აღსანიშნავია ძაბრისებურყელიანი ჭურჭლის ზედა ნაწილისა (ნაპოვნია № 47 ნაგებობის დასავლეთ კედელთან) და ანთროპომორფული რელიეფით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტის (HC კვადრატის SW სექტორში, —5,60—6,30 მ დონეებზე) აღმოჩენა უნდა შევნიშნოთ, რომ წითლადშეღებილი და გაპრიალებულზედაპირიანი კერამიკა მეტად იშვიათად გვხვდება ქვედა ჰორიზონტების მონაპოვარში.

ნაპოვნია ქვის მცირე ზომის ჭურჭლები და მათი ფრაგმენტები, რომელთა უმეტესობაც უხეშადაა დამუშავებული. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ერთი ქვის ჭურჭლის ფრაგმენტი, რომლის რელიეფური სალტით შემკული კონუსური მოყვანილობის „ტარი“ და კორპუსის შერჩენილი ნაწილი მთლიანადაა გახეხილი და მოგლუვებული.

დიდი რაოდენობით გვხვდებოდა ძვლისა (სადგისები, საპრიალებლები, თოხები და სხვ.) და ირმის რქის (თოხები, ცულები, კვერთხისთავები და სხვ.) ნაწარმი. ძვლის ნივთებიდან გამოიყოფა № 27, ნაგებობაში ნაპოვნი საქონლის ბეჭის ძვალზე ნაკეთები ნივთი — „საბეჭავი“ და № 62 კედლის ეზოში აღმოჩენილი ბრწყინვალედ ნაკეთები სავარცხელი. აღსანიშნავია, რომ ქვედა ჰორიზონტებში გვხვდება თხელფირფიტოვან ძვალზე ნაკეთები დანისებური და კოვზისებური ნივთები. საინტერესოა ერთი გარემოება — თუ ზედა ჰორიზონტებში ჭარბობდა მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვალზე ნაკეთები თოხები, ხოლო ლულოვან ძვალზე და მეტაპოდიაზე ნაკეთები შედარებით ნაკლები იყო, ქვედა ჰორიზონტებში საწინააღმდეგო სურათი ჩანს — ჭარბობს

ლულოვან ძვალსა და მეტაპოდიაზე ნაკეთები თოხები, ბეჭის ძვალზე ნაკეთები კი იშვიათად გვხვდება.

ნატკეცი ქვის მასალაში ვხვდებით ნუკლეუსებს, ანატკეც-ანამტვრევებს, ლამელებს თუ მათზე ნაკეთებ იარაღებს (საჭრისებს, საფხეკებს, სახოკებს, ბურღებს, ნამგლის ჩასართებს და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ ქვედა ჰორიზონტებში ჯერჯერობით მეტად იშვიათია გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღი.

საანგარიშო წლებში რამდენიმე ადგილას აღმოჩნდა სარდიონის ცრემლისებური ფორმის მოზრდილი საკიდები და ძვლის მძივის ფრაგმენტი.

ხრამის დიდ გორაზე საანგარიშო წლების ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს სპილენძის ნივთის პოვნა № 63 ნაგებობის სამხრეთ კედელთან, გარედან, დამწვარ ფენაში — 5,09 მ დონეზე. ის წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან ნახევარ რკალს, რომელსაც ბოლოები ისე აქვს წაწვეტებული, რომ ნაკლული არ უნდა იყოს. ნივთი ძლიერ პატინირებულია, გატეხილია ორად. გადანატეხში ჩანს, რომ ღრუ ყოფილა.

ს. სიონში ვმუშაობდით ორ უბანზე. ადგილ ფარეხებზე, ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარზე მცირე მასშტაბის სამუშაოებით შემოვიფარგლეთ. გავწმინდეთ № 1 ქვის „წრიული" ნაგებობის კედელი, რომელიც მშრალი წყობითაა ნაშენები, საკმაოდ დიდი ზომის ქვებით. მასალა აქ წინა წლებში მოპოვებულის იდენტურია: გვხვდება პირდაჭდეული და სხვა ჭურჭლების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, ობსიდიანისა და კაჟის ნაწარმი (საფხეკები, საჭრისები, ხოწები და სხვ.), სადაფის საკიდები და ა. შ.

ფარეხების ტერიტორიაზე ერთი ორმოსამარხის ნაშთი გავთხარეთ, რომელშიც აღმოჩნდა გვერდწიბოიანი ჯამისა და ნაცრისფერი და მოყავისფრო ჭურჭლების ფრაგმენტები ზოომორფული ყურებით. აქვეა ნაპოვნი ბრინჯაოს დეფორმირებული სამაჯური. ჩონჩხის კვალიც კი არ ყოფილა.

1978—79 წწ. ს. სიონში მუშაობა დავიწყეთ, აგრეთვე, სოფლის ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე ფერდზე. ახალი უბნის გახსნა ობიექტური მიზეზით იყო განპირობებული — სოფლის ეკლესიის ეზოში მდებარე თანამედროვე სასაფლაოსკენ გზის გაყვანის დროს ბულდოზერმა, როგორც ჩანს, აქ სამარხი ქვაყუთები დააზიანა. დროთა განმავლობაში, ეზოს ჩამორეცხვის შედეგად, რამდენიმე ადგილას გამოჩნდა სამარხების მანიშნებელი ქვები. სწორედ ამ სამარხების გადარჩენის მიზნით დავიწყეთ აქ მუშაობა.

მცირეოდენი მიწის სამუშაოების ჩატარებისთანავე შემოიხაზა 4 ქვაყუთის კონტური, მუშაობის პროცესში კიდევ გამოჩნდა რამდენიმე სამარხი. სულ აღნიშნულ სამაროვანზე საანგარიშო წლებში გავთხარეთ 14 სამარხი ქვაყუთი, აქედან 9 — პირველ წელს.

ჩვენ მიერ წინასწარულად დანომრილ № 1 სამარხს საკმაოდ დიდი ფართობი ეკავა და როგორც გათხრების შედეგად გაირკვა, აქ სამ სამარხთან გვქონდა საქმე. ესენია ერთმანეთის გვერდით მდებარე №№ 1 და 8 ქვაყუთები და მის თავზე მდებარე №1_1 ქვაყუთი.

№ 1 სამარხი გადახურული იყო უზარმაზარი ლოდით, რომლის თავზე ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობდა დაზიანებული ქვაყუთი № 1_1 (ტაბ. V(1). გადარჩენილი იყო მხოლოდ N და W კედლის ქვები. ადამიანის ძვლები, ისევე

როგორც თითქმის ყველა სამარხში, ცუდად იყო შენახული. ჩონჩხს ძალიან პატარა ადგილი ეკავა (სიგრძე — 80 სმ, სიგანე თავთან — 40 სმ, ფეხებთან — 18 სმ). ხელფეხმოხრილი მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა თავით დასავლეთისაკენ (დამხრობა W—O ხაზზე). ინვენტარს შეადგენდა თიხის კანელურებიანი პატარა ჭურჭელი (მიცვალებულის სახესთან), ბრინჯაოს ორი, ერთმანეთში გაყრილი რგოლი, რკინის პატარა ღეროს ნაშთი (ორივე იდაყვის ძვლებთან) და რკინისავე საკინძისებური ღეროს ნაშთი (გამოჩნდა ბარძაყის ძვლის აღების შემდეგ).

№ 1 სამარხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადახურული იყო უზარმაზარი ლოდით. აგების მხრივ ეს სამარხი განსხვავდებოდა დანარჩენებისაგან. მისი კედლები ამოშენებული იყო 3—3 წყობად დაწყობილი დიდრონი ქვებით. მისი სიგრძე — 113—115, სიგანე — 75—77, ხოლო სიღრმე 50 სმ იყო. სამარხი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ კუთხეებმომრგვალებულ ოთხკუთხედს წარმოადგენდა, რომლის ძირი რამდენადმე უფრო ფართო იყო ზედა ნაპირთან შედარებით. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა ძლიერ მოხრილი ხელ-ფეხით, თავით დასავლეთისაკენ. სამარხის ინვენტარი, შედარებით, მრავალრიცხოვანი იყო. კუთხესთან, ფეხების მხარეს თიხის ჭოთანი და დოქი იდგა, რომლის პირი და წიწვურად დაჭდეული ყური 27—28 სმ სიღრმეზე გამოჩნდა. დოქის ქვეშ შედიოდა რკინის შუბისპირი, რომლის მასრა ჩანდა კედლის გასწვრივ. წითლად გამომწვარი თხელკედლიანი თიხის ჭურჭელი იდგა სამხრეთით, დაახლოებით შუა ნაწილში, მუხლის ძვლების სიახლოვეს. მისგან N-ით ქვის გრძელი სალესი და ძვლისტარიანი რკინის დანის ფრაგმენტები იდო. სამწუხაროდ, აქაურ ნიადაგში რკინა ძალიან ცუდად ინახება და ძირითადად ნაშთის სახითღაა შემორჩენილი. რკინის ნაშთი ჩანდა კიდევ ზოგიერთ ადგილას. კისრის არეში რამდენიმე სარდიონის და პასტის მძივი ვიპოვნეთ. სამარხში აღმოჩენილია აგრეთვე ბრინჯაოს რამდენიმე კილიტი (ტაბ. $V_{1, 3}$).

ქვაყუთი № 2 ძლიერ დაზიანებული იყო. სახურავი—თხელი ფილაქვა სამარხში იყო ჩალეწილი. კედლის ქვებიც დამტვრეული იყო. სამარხი მცირედ იყო გადახრილი N—O ხაზიდან. სამარხის სიგრძე — 100, სიგანე — 60—65, სიღრმე 45 სმ იყო. ძლიერ დაშლილი ძვლები მთელ სამარხში იყო გაბნეული. თავის ქალას ფრაგმენტები N კედელთან იდო. ერთადერთი თიხის ჭურჭელი ძლიერ იყო დამტვრეულ-დაფშვნილი, რომელიც სულ ზევით, კედლის ზედა დონესთან აღმოჩნდა NO კუთხეში. ამის გარდა სამარხში ვიპოვნეთ რკინის 2 იარაღის ნაშთი: ოდნავ მოხრილი დანისებური იარაღი, თავის ქალას O-ით და შუბისპირი, N კედლის გასწვრივ, და ბრინჯაოს პატარა რგოლი NO კუთხეში.

ქვაყუთი № 3 დამხრობილი იყო W—O ხაზზე. მისი შიდა ზომებია 100×58 სმ, სიღრმე—35 სმ. ძვლები ცუდად იყო შენახული, თავის ქალა სულ გამქრალიყო. ლულოვანი ძვლების მიხედვით მოხერხდა დადგენა, რომ მიცვალებული მარჯვენა გვერდზე წოლილა მოხრილი ფეხებით. ძვლები და კერამიკის ფრაგმენტები 10 სმ-ის სიღრმიდან გამოჩნდა, 30 სმ სიღრმეზე კი უკვე მთელი ინვენტარი და ძვლის ნაშთიც გაიწმინდა. სამარხის ინვენტარი W ნახევარში იყო მოთავსებული: SW ნაწილში წითლად გამომწვარი თიხის დოქისებური ჭურჭლის ფრაგმენტები, მისგან ჩრდილოეთით—ბრინჯაოს 2 სამაჯური, კიდევ უფრო ჩრდი-

ლოეთით —ბრინჯაოს პატარა რგოლი; მასთან ახლოს დასავლეთიდან —ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, რომელსაც რკინის ენა ჰქონია; სამაჯურებსა და რგოლს შორის რკინის მოხრილი დანის ნაშთი, ხოლო N კედლის გაასწვრივ—რკინის მოგრძო ნივთის ნაშთი.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 4-ის კონტური მეტნაკლებად გათხრებამდე იყო გამოჩენილი. იგი ფილაქვებისაგან მჭიდროდ შეკრულ ყუთს წარმოადგენდა. სამარხი მცირედაა გადახრილი W-O ხაზიდან, მისი ზომებია: 110×70×55 სმ. ჩვეულებისამებრ, ძვლები, თუ არ ჩავთვლით ლულოვანს, ცუდად იყო შენახული. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ყოფილა დაკრძალული ძლიერ მოხრილი ხელ-ფეხით, თავით დასავლეთისაკენ. სახის წინ პირგადაშლილი ქოთანი ედგა. მისგან აღმოსავლეთით მრგვალმუცლიანი დოქი, ხოლო დოქსა და კედელს შორის წაქცეული იყო წითლად ანაგობირებული ორყურა ჭურჭელი, ყურებზე შვერილებით. მასში იდო ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირი. კუთხეში N კედლის გასწვრივ იდო რკინის დანისებური ნივთის ნაშთი (ტაბ. V_2).

ქ ვ ა ყ უ თ ი № 5 პატარა წაგრძელებულ ასიმეტრიულ ოთხკუთხედს წარმოადგენდა. კედლის ქვები მჭიდროდ იყო ერთმანეთზე მიდგმული, ამასთანავე თითქმის ყველას გარედან დიდრონი ქვები ჰქონია შემოწყობილი, რაც საკმაოდ ხშირად გვხვდება ამ სამაროვანზე. დამხრობა NW—SO ხაზზე. სამარხის სიგრძე პირთან—86, ძირთან—100, სიგანე—58, ხოლო სიღრმე—50 სმ იყო. სამარხი არავინ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ძლიერ ფრაგმენტირებული თავის ქალა W ნაწილში იდო, მას N-ითაც და S-ითაც ფეხის ლულოვანი ძვლები ეწყო. მიცვალებულის პოზის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა მეტად ორიგინალური პატარა სარქველიანი ჭურჭელი ოთხი დაბალი ფეხითა და ვერძისთავისგამოსახულებიანი 2 ყურით, რომელიც N კუთხეში იდო სამარხისაკენ გადმოქცეული NW კედლის ქვის ძირში. მისგან O-ით, ერთმანეთზე ჯვარედინად ეწყო რკინის 2 დანისებური იარაღის ნაშთი. იქვე ახლოს ბრინჯაოს კონუსურთავიანი საკინძი იდო, ხოლო თავის ქალას O-ით ბრინჯაოს ბოლოგახსნილი რგოლი. სამარხის ალაგების შემდეგ გაირკვა, რომ იატაკიც ფილაქვებით ყოფილა მოგებული.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 6 წაგრძელებულ არაწესიერ ოთხკუთხედს წარმოადგენდა. დამხრობა W—O ხაზზე. სიგრძე—115, სიგანე —55, სიღრმე 40 სმ იყო. მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა მოხრილი კიდურებით, თავით W-კენ. ხელები სახესთან ჰქონდა მიტანილი. სამარხში შემდეგი ინვენტარია ნაპოვნი: თიხის ჯამი—კეფასთან, ყურიანი ქოთნის ფრაგმენტები—სახესა და N კედელს შორის, ბრინჯაოსა და რკინის ოვალური რგოლებისაგან შედგენილი ჯაჭვი, რომელიც ბრინჯაოს კონუსურთავიან საკინძთან უნდა ყოფილიყო მიმაგრებული—მარცხენა მაჯის ძვალთან. სამარხის ალაგების შემდეგ, ჯაჭვის ქვეშ კიდევ ერთი ბრინჯაოს დაფანჯრული ფირფიტა გამოჩნდა, რომელშიც რკინისკაუჭისებური ღერო იყო ჩამაგრებული. კისრის არეში რამდენიმე სარდიონის მძივი და პასტის ოტები ეყარა. იქვე ტყვიისებური ლითონის რგოლის ფრაგმენტები აღმოჩნდა. სამარხის N კუთხეში ცხოველის ძვლები აღმოჩნდა.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 7 აგების წესით რამდენადმე შუალედური იყო № 1 და დანარჩენ სამარხებს შორის, მისი მოკლე კედლები, ჩვეულებრივ, თითო ფილაქვისაგან შედგებოდა, ხოლო გრძივი კედლები, № 1-ის მსგავსად, დიდრონი ქვებით იყო ამოშენებული. დამხრობა NW—SO ხაზზე. სიგრძე —125, სიგანე—

70, ხოლო სიღრმე დაახლოებით 44—46 სმ უდრიდა. სამარხი გადახურული ყოფილა ფილაქვით, რომელიც გათხრების დროისათვის დალეწილი იყო. სიდიდით ეს სამარხი მხოლოდ № 1 სამარხს ჩამოუვარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად არ ჩანდა, სამარხში საკმაოდ არეული სურათი დაგვხვდა. თავის ქალა ოთხ ნაწილად იყო გაფანტული W ნახევარში. ლულოვანი ძვლები კი თავმოყრილი იყო შუა და N ნაწილში. სამარხის O ნახევარი მოფენილი იყო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. ერთი თიხის ფრაგმენტირებული ყურიანი ჭურჭელი მხრებზე კონცენტრული ზოლებით იდგა სამარხის NW ნაწილში. მისგან სამხრეთით ლითონის ნივთები აღმოჩნდა შემდეგი თანმიმდევრობით: ბრინჯაოს კონუსურთავიანი საკინძი და რკინის ნაშთი, შემდეგ (ძვლების ქვეშ)—რკინის მოხრილი დანისებური იარაღის ნაშთი, მის ქვეშ—რკინის ძლიერ დაჟანგული შუბისპირი და კიდევ უფრო ქვევით—რკინისტარიანი სატევრის ფრაგმენტები.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 8 გადახურული იყო გატეხილი ფილაქვით, პატარა სამარხი ყუთი მჭიდროდ იყო შეკრული 4 ფილაქვისაგან, რომელთაც გარედან კიდევ ქვები ჰქონდა შემოწყობილი. დამხრობა W—O ხაზზე. ყუთის N კედლის სიგრძე—76, S კედლისა —71, W-ისა—50, ხოლო O-ისა 47 სმ უდრიდა (აღებულია შიდა ფართობი); სიღრმე დაახლოებით 29—30 სმ იყო. სამარხში ბავშვი ყოფილა დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით W-კენ. სამარხში თიხის 2 ჭურჭელი აღმოჩნდა (ორივე აღრევე გატეხილი ყოფილა, აკლდა პირი და ყური)—SO კუთხეში მოზრდილი დოქი და SW ნაწილში—პატარა ხელადა. კერამიკის გარდა, სამარხში აღმოჩნდა რკინის ნაშთი და ბრინჯაოს სამაჯური მხრის ძვალთან, რკინის დაჟანგული მშვილდსაკინძის ფრაგმენტები—ნეკნების ქვეშ, მინისა და პასტის სხვადასხვა ფერის წვრილი მძივები და იოტები—კისრის არეში. სამარხის ნაწილში ცხოველის ძვლებიც ეყარა (ტაბ. $V_{1,3}$).

ქ ვ ა ყ უ თ ი № 9 აგების წესით № 7 ქვაყუთს ჰგავდა: მოკლე კედლები თითო ფილაქვისაგან შედგებოდა, გრძელი (N და S) კედლები დიდრონი ქვებით იყო ამოშენებული. დამხრობა W—O ხაზზე. ყუთის სიგრძე — 113 სმ, სიგანე — 90 სმ, სიღრმე 50 სმ იყო. სამარხში სახურავი ქვის ნატეხები იყო ჩაცვივნული და, ალბათ, ამის გამო ძლიერ იყო არეული. თავის ქალას ფრაგმენტები დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. დანარჩენი ძვლები იმდენად იყო არეული, რომ პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. ყუთის SW კუთხეში თიხის ლანგარი და მის ქვეშ თიხის მომცრო დოქი იდგა. იქვე რკინის ნაშთიც ჩანდა. რკინის დანისებური ნივთის ნაშთი აღმოჩნდა N კედელთანაც. სამარხის ალაგების შემდეგ გაირკვა, რომ იატაკის დიდი ნაწილი (S ვიწრო ზოლის გარდა) ქვებით იყო მოფენილი, მსგავსად № 5 ქვაყუთისა.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 10 იმდენად იყო დაზიანებული, რომ სამარხის ნაშთს თუ ვუწოდებთ. ქვის კედლები მხოლოდ 2 (W და S) მხრიდან ჰქონდა შერჩენილი, რომელთა სიღრმე 21—23 სმ-ს არ აღემატებოდა. ამავე დონეზე იყო მოთავსებული სამარხის ერთადერთი თიხის ფრაგმენტირებული ჭურჭელი, ხოლო ლითონის ნივთები, რომელიც მათგან საკმაოდ მოშორებით აღმოჩნდა, ბევრად უფრო ღრმად მდებარეობდა, კერძოდ, კედლის ქვების ძირიდან 30—32 სმ-ით დაბლა. ჩონჩხის ნაშთიც კი არსად ჩანდა.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 11 დამხრობილი იყო N—O ხაზზე. აქ სამი მხრიდან იყო კედლის ქვები შერჩენილი, O კედელი კი არ იყო. კედლის ქვების ნაწილის აღება

წინასწარ დაგვჭირდა, რადგან სამარხისკენ იყო გადავარდნილი. პრეპარაციამ საკმაოდ უცნაური სურათი წარმოგვიდგინა. სამარხის სიგრძე დაახლოებით 185 სმ უდრიდა (ფრიად უჩვეულო სიდიდე აქაური სამარხებისათვის), სიგანე 75, სიღრმე 45—50 სმ იყო. სამარხის ბოლოებში კერამიკა ეწყო: W-ით თიხის 3 ჭურჭელი —2 დოქი და ლანგარი, O-ით კი თიხის 2 ჭურჭელი —სადღვებელი და ქოთანი და მათთან რკინის დანისებური ნივთის ნაშთი. აღნიშნული თიხის ჭურჭლებს შორის ფილაქვების კედელი გადიოდა, რომელთაც S მხრიდან მიწყობილი ჰქონდა დიდრონი ქვები, ისე როგორც არაერთხელ შეგვხვედრია აქაურ სამარხებთან. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ერთი ქვაყუთი მეორე უფრო პატარა ქვაყუთით იყო დაზიანებული, მაგრამ ამ უკანასკნელ კედელს არსაით არ ჰქონდა გაგრძელება და მისი აღების შემდეგ ქვეშ გამოჩნდა ჩონჩხის ნაშთიც და დანარჩენი ინვენტარიც. დასავლეთით, დოქიდან 20 სმ-ზე თავის ქალას ნაშთი იდო, კიდევ უფრო აღმოსავლეთით —ჩონჩხის ძვლები, ვიწრო ზოლად, მაგრამ იმდენად დაზიანებული, რომ პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. დაახლოებით შუა სამარხში ბრინჯაოს კირკალი, 2 სამაჯური და რგოლი გამოჩნდა. კირკალის არეში მრავლად ეყარა სარდიონის, ქარვის და პასტის მძივები და იოტები. კირკალის ქვეშ ჩანდა ადამიანის ქვედა ყბაც პატარა კბილებით. სამარხის მთელ ინვენტარს ქვევიდან რაღაც მოშავო-მოყავისფრო მასა ედო, თითქოს ხის ან ტყავის ნაშთი. უნდა აღვნიშნოთ, რომ შუა სამარხში ადამიანის ჩონჩხსა და ლითონის ინვენტარზე ფილაქვების კედლის არსებობა დღემდე აუხსნელია ჩვენთვის. სპეციალურად ამ ქვების ჩაწყობას არავითარი აზრი არ ჰქონდა, შემთხვევითობაც თითქოს გამორიცხულია, იმდენად მწყობრად იყო ჩალაგებული (ტაბ. VI_1).

ქ ვ ა ყ უ თ ი № 12 საკმაოდ დაზიანებული იყო. დამხრობა W—O ხაზზე. სიგრძე —80—82, სიგანე —40 —45, სიღრმე —35 სმ. კედლის ქვები დამტვრეული და სამარხისკენ გადაწეული იყო, რომელთა ნაწილის აღება დაგვჭირდა. ძვლები ცუდად იყო შენახული. სამარხში ბავშვი ყოფილა დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, ძლიერ მოხრილი კიდურებით. სამარხის SW კუთხესთან თიხის 2 ჭურჭელი იდგა —ყურიანი ქოთანი და პატარა კოჭობი. ორივეს პირის ნაწილები აკლდა. ქოთანთან ახლოს ბრინჯაოს წვრილღეროიანი ბოლოგახსნილი სამაჯური აღმოჩნდა, ხოლო მისგან N-ით რკინის ჯანგი, რომელშიც ბრინჯაოს 3 პატარა რგოლი ჩანდა. კისრის არეში 1 ც. სარდიონის და ბრინჯაოს მძივები ეყარა. აქვე ვიპოვნეთ ტყვიისებური ლითონის ღეროს ფრაგმენტები.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 13 W—O ხაზზე იყო დამხრობილი. N და S კედლებს გარედან რიყის ქვები ჰქონდა შემოწყობილი, სამარხის სიგრძე 103, სიგანე 60 სმ უდრიდა. სიღრმე კედლის ქვების მიხედვით 55 სმ იყო, მაგრამ მიწა ქვევითაც რბილად ჩადიოდა. სამარხში მხოლოდ თიხის ორიოდე ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა. ჩონჩხის კვალსაც კი ვერ მივაკვლიეთ. კედლის ქვების ქვეშ გამოჩნდა დიდი ლოდი, რომელიც ღრმად ჩადიოდა. ვფიქრობთ, ამ ლოდს სამარხთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, რამდენიმე ადგილას კიდევ ჩანდა ქვები, მაგრამ სამარხები არ დადასტურდა. როგორც ჩანს, ისინი დანგრეული სამარხების ქვებია, რომელიც მიხვეტილია გზის ნაპირებთან.

როგორც ვხედავთ, საანგარიშო წლებში ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე სამაროვანზე სულ 14 სამარხი ქვაყუთი გაითხარა. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი საგრძნობლად დაზიანებული იყო. მიუხედავად ამისა, აქ მეტად საინტერესო ინვენტარი იქნა მოპოვებული. კერამიკიდან განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ წითლად ანგობირებული ორყურა ჭურჭელი ყურებზე შვერილებით, რომლის ანალოგია საქართველოს მასალებში არ გვხვდება. ასევე ორიგინალურია პატარა ხუფიანი ჭურჭელი ოთხი პატარა ფეხითა და ვერძისთავებიანი ორი ყურით. დანარჩენი ინვენტარიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს სკვითური სამფრთიანი ისრისპირი, კონუსურთავიანი საკინძები, კირკალი, მშვილდსაკინძი, სამაჯურები და სხვ. განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი რკინის იარაღი, რომელთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, თითქმის დაშლილ-განადგურებული იყო. რკინის იარაღის მეტი ნაწილი მოხრილ დანებზე მოდის, ამას გარდა, აღმოჩენილია რკინისტარიანი სატევარი, შუბისპირები და სხვ. აღნიშნული ინვენტარი დამახასიათებელია ძვ. წ. VII—VI სს. ძეგლებისათვის. ასევე თარიღდება ჩვენ მიერ გათხრილი სამარხებიც.

ერთი დაზიანებული ქვაყუთი გავთხარეთ ი. კუპატაძის ეზოში, რომელიც სანახევროდ გაშიშვლებული იყო ფლატეს ჩამონგრევის გამო. ეს მეორე შემთხვევაა ამ ეზოში სამარხის გამოჩენისა (ერთი ქვაყუთი აქ 1974 წ. გაითხარა). ყუთი აგებული იყო თხელი ფილაქვებისაგან, რომლის დასავლეთი ნაწილიღა იყო გადარჩენილი. მიცვალებული გაშოტილი იწვა თავით დასავლეთისაკენ, ხელები მუცელზე ეწყო. სამარხი უინვენტარო იყო. ვფიქრობთ, ეს სამარხიც ადრეფეოდალური ხანის უნდა იყოს.

გარდა ამისა, ადრეფეოდალური ხანის სამარხები გამოჩნდა მიწის სამუშაოების დროს სოფ. აღმამედლოსთან, რის შესახებაც ადრევე იყო შემოსული ცნობები მუზეუმში. მათი შესწავლა და გათხრა დავიწყეთ ექსპედიციის ველზე მუშაობის დროს.

შესასწავლი ობიექტი წარმოადგენს პატარა გორაკს (34×25 მ), მოსახლეობა მას „ბალა თაფას" უწოდებს. იგი სოფლის აღმოსავლეთით, განაპირას მდებარეობს. ბულდოზერის მიერ დაზიანებული დაგვხვდა ორი სარკოფაგი. ერთი თვით მოსახლეობას გაუხსნია და მიცვალებულის ძვლები ამოუყრიათ (შემდგომში № 1 სარკოფაგი), ხოლო მეორე ისევ მიწით დაუფარავთ.

ძლიერ საყურადღებოა თავისი ფორმითა და მოყვანილობით № 1 სარკოფაგი, იგი გორაკის სამხრეთ ნაწილშია მოთავსებული. სახურავი ნახევრად წრიული მოყვანილობისაა, შეიძლება ითქვას, რომ ფორმით ცნობილ ორფერდა სახურავებს უახლოვდება (მისი ნახევარიღაა გადარჩენილი). რაც შეეხება როფს, იგი მთლიანი ქვისაგანაა გამოკვეთილი, მისი შიგა ზომებია: სიგრძე — 78, სიგანე — 57, სიღრმე — 45 სმ. კედლების სისქეა — 9 სმ. როფის კედლების ზედაპირის $^2/_3$ გარეთა მხრიდან ირგვლივ ჩაჭრილია 3—4 სმ სიღრმეზე, ხოლო სისქის $^1/_3$ შიდა მხარეს დატოვებულია. სახურავის ბრტყელი ქვედა მხარე ამოღარულია, რის საშუალებითაც სახურავი მჭიდროდ ეხურება როფს და მისი გადაწევ-გადმოწევა შეუძლებელია, შეიძლება მხოლოდ მისი ახდა. სახურავისა და როფის ზუსტად ანალოგიური კონსტრუქცია აქვს ბალიჭის სარკოფაგს[6]. სამწუხაროა, რომ ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო,

---

[6] ვ. ჯაფარიძე, სოფელ ბალიჭის სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით, „მაცნე", № 2, 1972, გვ. 127.

სხვას ვერაფერს ვამბობთ და სარკოფაგის მხოლოდ გარეგნული აღწერით უნდა დავკმაყოფილდეთ. ანალოგიური სარკოფაგი საქართველოდან ჩვენთვის უცნობია.

№ 2 სარკოფაგი მდებარეობს გორაკის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. VI₂). როდესაც სამარხი გარედან გავასუფთავეთ, აღმოჩნდა, რომ სახურავის დასავლეთ მხარეს 1/3 გატეხილი ჰქონდა, ეტყობა ბულდოზერმა დააზიანა, რის გამოც მიწა ჩაყრილიყო მასში.

სარკოფაგი მშვენიერ ორფერდა სახურავიან ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც როფის დასავლეთ (განივ) კედელზე, არატოლმკლავებიანი ჯვარი აქვს ამოკვეთილი (გრძელი მხარი — 10, მოკლე — 7 სმ). სახურავის სიგრძეა — 215, სიგანე — 77, სიმაღლე — 23 სმ. სახურავის ქვემო მხარე ნახევრად ოვალურია. როფი მთლიანი ქვისაგან მშვენივრადაა გამოკვეთილი. მისი შიგა ზომებია: სიგრძე — 188, სიგანე — 53, სიღრმე — 46 სმ. კედლების სისქეა 8—9 სმ. სამარხის სახურავი ცალ მხარეს იყო გადაცურებული. მასში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული, ზრდასრული და ბავშვი. პირველის ჩონჩხი ნაწილობრივ ფარავდა ბავშვის ჩონჩხს. ორივე მიცვალებული ისეა სამარხში ჩასვენებული, რომ დაკრძალვა თანადროული უნდა იყოს. ორივე გაშოტილია, გულაღმა, ხელები ჩამოშვებული აქვთ სხეულის გასწვრივ, თავით დასავლეთისაკენ. სამარხში ხის ნაშთების გარდა სხვა არაფერი აღმოჩენილა.

გორაკის აღმოსავლეთ მხარეს ორი ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი შეიმჩნეოდა, რომელზედაც სარწყავი რუ გადადიოდა და მიცვალებულთა ჩონჩხები გაშიშვლებულიყო. სამარხები ერთმანეთისგან 2 მეტრის დაშორებით იყო განლაგებული.

№ 3 ორმოსამარხს სახურავის 3 ფილას ფრაგმენტებიღა შერჩენოდა. სამარხი დამხრობილია O—W სიგრძივ ღერძზე. პრეპარაციის შემდეგ გამოჩნდა, რომ მიცვალებულის ძვლები საოცრად არეული იყო ერთმანეთში. სამარხი უინვენტაროა.

№ 4 ორმოსამარხს სახურავის მხოლოდ ერთი ფილა ჰქონდა დარჩენილი. მიცვალებული დაკრძალული იყო გულაღმა, გაშოტვით, ხელები ბოქვენზე, თავი დასავლეთისაკენ. სამარხი უინვენტაროა, მხოლოდ ხის ნაშთები შეიმჩნეოდა. სამარხი ორმოს სიგრძეა — 185, სიგანე — 60 სმ.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სამარხები უინვენტაროა, მაგრამ აშკარაა, რომ ქრისტიანული სიმბოლო და დაკრძალვის წესი, ასევე სამარხის გამართვა O—W სიგრძივ ღერძზე იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ფეოდალურ ხანას განეკუთვნებიან.

М. В. МЕНАБДЕ, Т. В. КИГУРАДЗЕ, К. М. ГОЦАДЗЕ

РЕЗУЛЬТАТЫ РАБОТ КВЕМО-КАРТЛИЙСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ (1978—1979 ГГ.)

Табл. II—VI

(Резюме)

Квемо-картлийская археологическая экспедиция в 1978—1979 годах в Марнеульском районе продолжала раскопки на раннеземледельческом поселении Храмис Диди-гора и на территории с. Сиони.

На Храмис Диди-гора изучался раннеземледельческий слой на всей площади квадрата НС. Здесь раскопаны круглоплановые и овальные сырцовые сооружения IV и V строительных горизонтов. Раскоп был доведен в среднем до отметки 4,5 — 5 м, а в юго-западной части квадрата НС культурный слой был доведен до отметки — 8 м, но грунт еще не был достигнут. Примечательно, что образец угля, взятый на отметке — 4,20 м, был датирован методом C_{14} в радиокарбонной лаборатории Тбилисского гос. университета 4680 ± 50 г. до н. э. (ТБ—301).

Среди находок следует выделить антропоморфные фигурки из необожженной глины, фрагменты верхней части глиняного сосуда с воронкообразным горлом, фрагмент сосуда с атропоморфным налепом, фрагменты миниатюрных шлифованных каменных сосудов и др. Многочисленные изделия из кости, проколки, лощила, мотыги и др. и оленьего рога (мотыги, «топоры», наконечники жезлов и др.). Среди костяных поделок особо следует выделить прекрасно обработанную расческу. В отчетные годы в нескольких местах были найдены подвески из сердолика.

Важнейшей находкой отчетных годов можно считать медный предмет, который был обнаружен у «южной стены» строения № 63, с наружной стороны помещения, в горелом слое, на отметке — 5,09 м. Маленький полукруглый предмет овального сечения, с заостренными концами, сильно патинирован.

В с. Сиони в основном в отчетных годах работы производились на новом объекте — на могильнике VII—VI вв. до н. э. Могильник расположен к северу от сельской церкви. Здесь, во время проложения грунтовой дороги бульдозером частично были разрушены каменные ящики. Экспедиция сочла нужным изучение именно поврежденных могил: раскопано 14 погребений — каменных ящиков. Среди найденной здесь керамики особо следует выделить красноангобированный сосуд с двумя ручками с отростками, а также маленький сосуд с крышкой и двумя ручками, изображающими бараньи головки. Найдены здесь также бронзовые изделия: шейная гривна, булавки с массивной конической головкой, фибула, браслеты и др. Оружие на могильнике исключительно железное — ножи, копья, кинжал. В одном погребении был найден втульчатый трехлопастный бронзовый наконечник стрелы скифского типа.

Около с. Агмамедло экспедицией были изучены погребения раннефеодального времени, случайно обнаруженные во время земляных работ. Среди них примечательны два каменных саркофага, на одном из которых вырезан крест.

ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი

კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978—1979 წლების მუშაობის ანგარიში

(ტაბ. VII—X)

1978—79 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ოთარ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით გათხრებს აწარმოებდა გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის მიდამოებში, იმ ადგილზე, რომელსაც ულევარი ჰქვია.

არქეოლოგიურ გათხრებს წინ უძღოდა ფართო სადაზვერვო მუშაობა. ექსპედიციის მიზანი იყო მოენახა და შეესწავლა შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები. ჯერ კიდევ 1950—51 წლებში ამ რაიონში გ. ნიორაძემ გათხარა სამგორის ერთ-ერთი გორა — „კოხრას გორა", რომელიც განსხვავებული დარკძალვის წესითა და სამარხეული ინვენტარით ჯერ კიდევ შეუსწავლელი ადრებრინჯაოს პერიოდიდან შუა პერიოდზე რაღაც გარდამავალი საფეხური უნდა იყოს. ამიტომ მსგავსი ძეგლების აღმოჩენასა და შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველ ტომთა კულტურის გენეზისისათვის.

დაზვერვები მარტყოფიდან დავიწყეთ. მარტყოფის ჩრდილოეთით, ორი კილომეტრის დაშორებით, დიდი ზომის ქვამიწაყრილიანი ყორღანი ვნახეთ, სამგორის დიდი ყორღანების ზომისა და ტიპის, ხოლო მარტყოფიდან აღმოსავლეთით, ორი კილომეტრის დაშორებით, ადგილ ულევარში (დაულევარი, ულეველი), რომელსაც ორგორებსაც უწოდებენ, — კიდევ ორი ყორღანი. ყორღანები ერთმანეთისაგან 160 მეტრითაა დაშორებული, ორივე ქვამიწაყრილიანი, ძლიერ დაზიანებულია. აქაური მოსახლეობის თქმით, ყორღანებიდან წლების მანძილზე ქვა უზიდიათ მშენებლობისათვის. ამიტომ ყორღანის თავდაპირველი სიმაღლის დადგენა ძნელია. ერთი, შედარებით პატარა ყორღანი დავამოწმეთ ულევარიდან აღმოსავლეთით ახალ სოფელზე მიმართული გზის მარჯვენა მხარეს, გზიდან ასიოდე მეტრის დაშორებით, ქარსაცავ ზოლთან. ყორღანს შუაზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთით თხრილი გაუყვება, სადაც უკვე ქვების ყრილი ჩანს. მოვიარეთ მარტყოფის ზევით მინდვრები საცხენისამდე, მაგრამ აქ ყორღანები ვერ ვნახეთ. სამაგიეროდ, როგორც ჩანს, ეს რაიონი ფართოდაა დასახლებული ფეოდალურ ხანაში; მარტყოფში, საკურდღლე ფერმის მშენებლობის ტერიტორიაზე, ალიხევში, აპარანის ეკლესიასთან და სხვა ადგილებში დიდი რაოდე-

ნობით გვხვდება ამ პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ქვევრების ნატეხები.

გადავწყვიტეთ ულევარის ყორღანების გათხრა. იმის გამო, რომ ყორღანები ძალიან დაზიანებულია და მათი ზედა ნაწილის შესწავლას აზრი არ ჰქონდა, თავი „ბულდოზერის“ საშუალებით მოვხსენით. 1978 წელს გაითხარა ულევარის № 1 ყორღანი. ყორღანი საკმაოდ დიდ გორას წარმოადგენს, ქვამიწაყრილიანს. მისი დიამეტრია აღმოსავლეთიდან დასავლეთით 60, ჩრდილოეთიდან სამხრეთით — 70 მეტრი. შემორჩენილი სიმაღლეა 5 მეტრი (სიმაღლე აღებულია სატრანგულიაციო ანძის ქვეშ მდებარე რეპერიდან). (სურ. 1).

ყრილის შესწავლის მიზნით ყორღანის ოთხივე მხარეს გაივლო 1,5 მეტრის სიგანის თხრილები. ოთხივე თხრილში ქვაყრილი უცებ, დიდი დაქანებით ეშვება. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყორღანი ბევრად მაღალი უნდა ყოფილიყო. თხრილების გავლების პარალელურად გათხრები წარმოებდა ყორღანის ცენტრალურ ნაწილში. აქ დაახლოებით შვიდი მეტრის დიამეტრის მქონე „მოედანი“ გამოიყო, მიწის ფერით განსხვავებული. საინტერესოა, რომ სწორედ ამ მოედნის თავზე იმდენად მაგარი მიწა იყო, „ბულდოზერი“ მას ვერ იღებდა. ამ მოედანზე მაგარი მიწის ფენა 20—30 სმ სისქისაა, რომელსაც მოსდევს უკვე სუფთა ქვაყრილი, შედარებით დიდი ზომის ქვებისაგან შემდგარი. „მოედნის“ ცენტრში 1,80—1,85 მ სიღრმეზე გამოჩნდა შავი ფერის მოყვითალო-მოწითალო სარჩულის მქონე თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, ხოლო 2,10—2,20 მ სიმაღლეზე მსგავსი ნატეხები ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში აღმოჩნდა.

ყორღანის ცენტრში აღმოჩნდა თხელი ფილებისაგან მშრალი წყობით ამოყვანილი ოთხკუთხა ნაგებობა, მიმართული ჩრდილოეთიდან-ჩრდ. აღმოსავლეთით (ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ 30° გადახრილი). სიგრძე 2,70, ხოლო სიგანე — 3,20 მ (ტაბ. VII$_1$).

ნაგებობების ჩრდილო-დასავლეთის კედელი ნაგებია თხელი ფილაქვებით. მის დასავლეთ კუთხესთან შემორჩენილია 5—6 წყება, ჩრდილო კუთხესთან 1—2 წყება. კედლის ფილები ისეა ჩაწოლილი გარე პირისკენ, რომ შიდა პირის მხრიდან ვერტიკალურად დგას. სწორედ ამ კედლის სიგრძეზე ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. სამხრეთ-დასავლეთის კედელი ყველაზე კარგად იყო შემორჩენილი. კედელი შედარებით უფრო დიდი და სქელი ფილებითაა ნაგები. კედლის ცენტრალურ ნაწილში, ძირში გარე მხრიდან შერჭობილი იყო ძლიერ დაზიანებული ბრინჯაოს ოთხწახნაგა ისრის პირი. სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი ცუდად არის შემორჩენილი, სადაც 10—11 რიგი შეიმჩნევა. ამ კედლის წინ მოწყობილია ფილებით ნაგები მოედანი, ხოლო თვითონ კედლის წყობა განსხვავებულია, თითქოს კედლის ცენტრალური ნაწილი უკვე კედლის ამოყვანის შემდეგ ჩაუშენებიათ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აქ შესასვლელი უნდა ყოფილიყო. სწორედ შესასვლელის წინ მოწყობილ მოედანზე გვხვდებოდა დიდი რაოდენობით ნიჟარებისაგან გაკეთებული ერთი სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მრგვალი, ბრტყელი, ფიგურული გახვრეტილი მძივები. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი შემორჩენილი არ იყო. ამ ადგილასაც აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ნაგებობის შიგნით იატაკი ქვის ფილებით იყო მოფენილი. ჩრდილო-დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა იატაკში ჩაჭრილი, გადატრიალებული კონუსის

მოყვანილობის ორმო (სიღრმე—50 სმ, დიამეტრი დასაწყისში—50 სმ, ძირზე—10 სმ). ორმო ამოვსებული იყო მცირე ზომის ქვებითა და ცეცხლის კვალი ეტყობოდა. ამავე კედელთან აღმოჩნდა ცხვრის სამი კოჭი.

ნაგებობა, როგორც ჩანს, შიგნით ოვალური მოყვანილობისა იყო. ამაზე კედლების შეერთების კონსტრუქცია მეტყველებს. ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კედლები შეერთებისას მართ კუთხეს ქმნიან, მაგრამ კუთხე გასქელებულია კუთხეში ჩადგმული მომრგვალებული ქვის ხარჯზე. ამგვარივე სურათი გვაქვს სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლების შეერთებისას. ალბათ, დანარჩენი ორი კუთხეც ამგვარად იყო მოწყობილი, ხოლო გადახურვა შეიძლება თაღური ყოფილიყო.



სურ. 1. მარტყოფი. ულევარის ყორღანი № 1, გეგმა და ჭრილი.

ნაგებობის შიგნით, გარდა თიხის ჭურჭლის ნატეხებისა, აღმოჩნდა ნიჟარისაგან დამზადებული მძივები, ისეთივე, როგორც მის გარეთ მოედანზე, ნიჟარისავე, ორი სმ სიგრძის დაკბილური ფირფიტა, მრგვალი დაკბილული მძი-

ვი (სურ. 2), ბრინჯაოს ისრისპირი, გახვრეტილი ეშვი, რომელიც ნაგებობიდან ამონაყარ მიწას ამოყვა. ამონაყარ მიწაში აღმოჩნდა, აგრეთვე, მშვენივრად დამუშავებული ქვის გახვრეტილი ცული (ტაბ. VII₂). ნაგებობაში მიცვალებულის ძვლები ვერ დავადასტურეთ.

გარდა ულევარის № 1 ყორღანისა, 1978 წელს გაითხარა ყორღანის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მდებარე შემაღლებული ქვამიწაყრილი, რომელიც ყორღანიდან ორიოდე მეტრის სიგანის თხრილითაა გამოყოფილი. ყრილის სიმაღლე 2,50 მეტრია, დიამეტრი აღმოსავლეთიდან დასავლეთით 11 მეტრი, ჩრდილოეთიდან სამხრეთით 13 მეტრი. ბორცვის თავი გასწორებულია. გარეგნულად ბორცვი ყორღანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბორცვზე 2 მეტრის სიგანის და 7 მეტრის სიგრძის თხრილი გაივლო. დავედით ყამირზე. ყრილის თავიდან ყამირამდე 2,80 მ-ია, თავიდან — 1,80 მ. სიღრმემდე წვრილი ქვის და მიწის ფენაა, რომელსაც მოსდევს 60 სმ სისქის სუფთა მიწის ფენა. ამ ფენას კიდევ მოსდევს დიდი ზომის ქვების 40 სმ სისქის ფენა. ქვები პირდაპირ ყამირზე დევს. ზედ ყამირზე აღმოჩნდა ერთი პატარა ნატეხი, შავი ფერის ყავისფერი სარჩულის მქონე თიხის ჭურჭლისა.

1979 წელს გაითხარა ულევარის ყორღანი № 2, ყორღანი იგივე ტიპისაა, როგორც ყორღანი № 1, ოდნავ უფრო პატარა, მაგრამ ბევრად უფრო დაზიანებული. რადგან ყორღანის ზედა ნაწილის შესწავლას აზრი არ ჰქონდა, თავი „ბულდოზერის" საშუალებით ჯერ კიდევ წინა წელს მოვხსენით. აქაური მაცხოვრებლების ცნობით, აქედან ომის შემდგომ წლებში სახლების მშენებლობისათვის დიდი რაოდენობით ქვა უზიდიათ. გარდა ამისა, აქ ქვის ამოღების დროს დაშლილი ხის ნაშთები უნახავთ. ყორღანის დიამეტრი (აღმოსავლეთიდან დასავლეთით) — 40 მ, ჩრდილოეთიდან სამხრეთით 46 მ-ია.

ყორღანის ყრილის შესწავლის მიზნით, ისევე როგორც № 1 ყორღანზე, აქაც ოთხივე მხარეს 1,5 მ სიგანის თხრილები გავავლეთ. ოთხივე თხრილში, მიწისა და თიხის ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა ქვაყრილი, რომელიც დამრეცად, უცებ ეშვება. ოთხივე თხრილში კარად ჩანდა თუ როგორ იყო ქვის ყრილზე (ჯავშანზე) გადალესილი წითელი თიხის ფენა. სამწუხაროდ, ყორღანი ისეა დაზიანებული, რომ თიხის სისქე ვერ დავადგინეთ[1]. თვითონ ქვაყრილის (ჯავშნის) დიამეტრი (აღმოსავლეთიდან დასავლეთით) — 14,5, ჩრდილოეთიდან სამხრეთით — 19 მ-ია. თხრილების გავლების პარალელურად ყორღანის ცენტრალურ ნაწილში თავდაპირველად გაივლო 5 მ სიგანის თხრილი. ნახევარი მეტრის სიღრმიდან უკვე სუფთა ქვაყრილი გამოჩნდა. ამავე სიღრმეზე აღმოჩნდა რამდენიმე შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხი. ერთი მეტრის სიღრმეზე თხრილის დასავლეთ ნაწილში დაშლილი ხის (ძელი?) ნაშთები გამოჩნდა. თხრილის გაფართოების შემდეგ (10×10 მ), 1,20 მ. სიღრმეზე, მის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ძლიერ დაშლილი ძვლები და თითქმის მთელი შავპრიალა თიხის ჭურჭელი. დაახლოებით ამავე სიღრმეზე ყორღანის ცენტრში გამოიკვეთა ოთხკუთხა მოედანი, ჩრდილოეთიდან სამხრეთით 6,40, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთით 6,80 მ სიგრძისა. თიხატკეპნილი მოედნის კიდეების გასწვრივ, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნა-

[1] ულევარის № 1 ყორღანის ქვის ყრილზე ზოგიერთ ადგილას გადალესილი წითელი თიხის ფენა ორ მეტრს უდრიდა.

წილში ხის ძელების ნაშთები შეიმჩნევა, რომელთა გასწვრივაც მთელ სიგრძეზე რამდენიმე თიხის ჭურჭელია განლაგებული და ქვაყრილის სიმძიმისაგან ჩამტვრეული. ხის ძელების ნაშთებით თუ ვიმსჯელებთ, დასაკრძალავი ნაგებობის ზომებია: აღმოსავლეთიდან დასავლეთით — 6,30, ჩრდილოეთიდან სამხრეთით — 5,50 მ. „ნაგებობის" შიგნით, თიხატკეპნილ მოედანზე, გარდა „კედლების" გასწვრივ განლაგებული ჭურჭლებისა, მის ცენტრალურ ადგილას, სამხრეთ „კედლიდან" 1,30 მ, ხოლო აღმოსავლეთის „კედლიდან" 4,30 მ დაშორებით აღმოჩნდა ამ პერიოდისათვის უნიკალური ვერცხლის ფართე, ყუნწიანი, ფოთლისებური სატევრის პირი (სიგრძე — 15,5 სმ უდრის, სიგანე —61, ყუნწის სიგანე —0,90 სმ (ტაბ. VIII), მისგან აღმოსავლეთით სპილენძისა თუ ბრინჯაოს რამდენიმე მძივი და მძივის ნაშთები. სატევრიდან სამხრეთ-დასავლეთით — 0,80 მ დაშორებით, აღმოჩნდა ბრინჯაოს ისრისპირი. მეორე ისრისპირი აღმოჩნდა აღმოსავლეთის „კედლიდან" 2,0 მ, ხოლო ჩრდილოეთის „კედლიდან" 2,45 მ დაშორებით. მესამე, შედარებით პატარა, ისრისპირი აღმოჩნდა მოედნის ცენტრალურ ნაწილში, დიდი, ჩაშლილი ჭურჭლის ქვეშ (ტაბ. VIII). საინტერესოა, რომ ჭურჭელი, როგორც აღვნიშნეთ, განლაგებული იყო „კედლების" გასწვრივ, ხოლო მოედნის ცენტრალური ნაწილი შედარებით თავისუფალი იყო — აქ მხოლოდ ერთი ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა. მოედნის ეს ნაწილი ოდნავ ჩაღრმავებული იყო. შეიძლება აქ ხის რაიმე ნივთი (ეტლი, სარეცელი?) იდგა.

მიცვალებული დაკრძალული იყო სამხრეთ „კედლიდან" 0,80 მ, ხოლო აღმოსავლეთიდან 2,40 მ დაშორებით, მოკრუნჩხულ პოზაში (თუმცა მისი პოზის დადგენა ჭირს, რაგან ზედ დიდი ზომის ჭურჭელი იყო ჩაქცეული). კბილების მიხედვით მიცვალებული ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. მის ჩონჩხთან იდო ხარის თავის ქალა კარგად შემორჩენილი რქებით, ხოლო მიცვალებულის ძვლების ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს სატევარი, ვერცხლის სატევრის ტიპისა, უფრო პატარა ზომის (ტაბ. VIII). გარდა ხარის თავის ქალისა, მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები და ერთი კოჭი. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მიცვალებული და მთელი იატაკი წითელი ოქრის კვალის ნიშნებს ატარებდა.

განსაკუთრებით საინტერესოა თვით ყორღანთა კონსტრუქცია. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ სამარხი ნაგებობისა და ყორღანის აგების პროცესი? როგორც ჩანს, ყამირზე იტკეპნებოდა 30 სმ სისქის თიხის ფენა, ცენტრალურ ნაწილში ამოჭყავდათ ნაგებობა, რომელიც ასევე თიხით ილესებოდა, მასზე იყრებოდა ქვაყრილი (ჯავშანი), რაც შემდეგ კვლავ თიხის სქელი ფენით ილესებოდა. ეტყობა, ეს მეტად რთული და უაღრესად შრომატევადი საქმე უნდა ყოფილიყო, რომელიც ცალკეული გვარების შესაძლებლობას აღემატებოდა და მთელი ტომის წევრების დარაზმვას მოითხოვდა. მაგალითად, წითელი თიხა, რომელიც გამოყენებულია ყორღანის აგებისას, დღესდღეობით გვხვდება ულევარიდან 10 კილომეტრზე ტევალში, ხოლო № 1 ყორღანის ნაგებობის აშენებისათვის ქვის ფილები 1,5 კილომეტრით დაშორებული „ორყენა" გორიდან უნდა მოეზიდათ.

ულევარის ყორღანები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი საზოგადოების სოციალურ წყობაზე. აშკარაა, რომ ეს დიდი ზომის ყორღანე-

ბი ტომის დაწინაურებული წევრების სამარხები უნდა ყოფილიყო, რომლებიც ქონებრივად ჯერ კიდევ რიგითი წევრებისაგან მაინცდამაინც ბევრად არ გამოირჩეოდნენ. ულევარის № 1 ყორღანი და სამგორის ყორღანის სამარხეული ინვენტარი არც სიმდიდრით გამოირჩევა, თუმცა ულევარის № 2 ყორღანში უკვე ჩანს ქონებრივი დიფერენციაციის პირველი ნიშნები. ამ ყორღანში აღმოჩენილია ვერცხლის შესანიშნავი სატევარი, რომელიც გამოირჩევა დახვეწილი ფორმით. ეს ამ პერიოდის ძვირფასი ლითონისაგან ნაკეთები იარაღის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა ჩვენში და საერთოდ კავკასიაში. ამასთანავე ამ ყორღანში, სამგორისა და № 1 ყორღანისაგან განსხვავებით, სადაც თითოეროლა თიხის ჭურჭელი იყო, აღმოჩნდა ათზე მეტი ბრწყინვალე თიხის ჭურჭელი შავპრიალა და შესანიშნავად ორნამენტირებული (ტაბ. IX, X).

ულევარის ყორღანები იმ ხანას მიეკუთვნება, როდესაც ჩვენში და საერთოდ კავკასიაში პირველად იწყებს გავრცელებას დასაფლავების ახალი წესი — ყორღანული სამარხი.

საიდან და რა გზით შემოდის სამარხის ეს ახალი ტიპი — ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. სავარაუდოა, რომ იგი ჩრდილოეთიდან ვრცელდება, სადაც ყორღანული სამარხები საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ჩანს. თითქოს ამ ვარაუდს უჭერს მხარს ულევარის ყორღანების ინვენტარი. ქვის ცული თავისი ფორმით ახლო დგას კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებულ ადრეულ ცულებთან. ამასვე მოწმობს ვერცხლის სატევრის პირი, რომელიც მოყვანილობით უახლოვდება აღმოსავლეთ ევროპის სტეპების ადრეულ სამარხებში ნაპოვნ სატევრებს და განსაკუთრებით, მიცვალებულისა და დასაკრძალავი კამერის ოქრით მოყრის რიტუალი.

უნდა აღინიშნოს, რომ III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში ხალხთა მასების დიდი მოძრაობა შეინიშნება სხვადასხვა მიმართულებით. ზოგიერთი მკვლევარი ინდო-ევროპული ტომების პირველ საცხოვრისს სწორედ აქ ვარაუდობს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი ერთი ტალღა ამიერკავკასიასაც აღწევს და ამის ანარეკლია სწორედ ის, რომ ქართველურ ენებში საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან ჩნდება ინდო-ევროპული ელემენტები.

ჯერ კიდევ ძნელია ულევარის ყორღანების თარიღის შესახებ მსჯელობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ბედენის პერიოდს წინ უნდა უსწრებდნენ და მათი თარიღი ძვ. წ. XXIV—XXIII საუკუნეები უნდა იყოს.

О. ДЖАПАРИДЗЕ, Я. КИКВИДЗЕ, Г. АВАЛИШВИЛИ, А. ЦЕРЕТЕЛИ

ОТЧЕТ КАХЕТСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1978—1979 ГГ.

(Табл. VII—X)

(Резюме)

В 1978—1979 гг. объединенная археологическая экспедиция Тбилисского госуниверситета и Гос. музея Грузии проводила раскопки в Улевари (с. Марткопи, Гардабанский р-н).

Раскопкам предшествовали разведывательные работы. В ходе их экспедиция обнаружила два кургана, раскопки которых дали интересный материал. В центре кургана № 1 обнаружена сложенная из каменных плит камера. Костей погребенного в камере не оказалось — здесь найдено два бронзовых наконечника стрел, фрагменты чернолощеных глиняных сосудов и прекрасно выделанный каменный топор.

Более интересный материал дал курган № 2. В центре кургана находился деревянный сруб (сохранились лишь его остатки), вдоль стен которого были расположены прекрасно орнаментированные чернолощеные глиняные сосуды; в центре было найдено два черешковых кинжала — один бронзовый, другой серебряный — уникальный для того времени, — три бронзовых наконечника стрел, бронзовые или сурьмяные бусы. Костяк погребенного лежал у южной «стены», а вместе с ним находились череп быка и кости барана.

Особенно интересна конструкция самих курганов. По-видимому, сперва утрамбовывалась глина 30-ти см-ой толщины, в центральной части ставилась погребальная камера, которую обмазывали глиной, а затем сыпали каменную насыпь, которую также обмазывали глиной. Как видно, это был весьма сложный и трудоемкий процесс, который был не под силу отдельным родовым коллективам и требовал усилия целого племени.

Улеварские курганы дают определенное представление о социальной структуре тогдашнего общества. Как видно, курганы предназначались для знатного члена племени — социальная дифференциация общества уже дает о себе знать, тогда как имущественная дифференциация только что зарождается.

Изучение памятников, подобных Улеварским курганам, на территории Закавказья только что начинается и пока трудно судить о их датировке, но все же предварительно их можно датировать XXIV—XXIII вв. до н. э.

ე. გოგაძე

ფარავნის ყორღანის გათხრები (1979 წ.)

(ტაბ. XI—XII)

1979 წლის ივლისში ფარავნის სადაზვერვო ექსპედიციის ცალკე რაზმის მიერ (ექსპ. ხელმძღვანელი ზ. ქიქოძე, რაზმის უფროსი ე. გოგაძე) გათხრილ იქნა ფარავნის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირას, სოფ. ხულგუმოსთან, ადგილ ჭაჭკარზე (ბოგდანოვკის რ-ნი) მდებარე ყორღანული სამარხი[1]. იგი ტბის ნაპირიდან დაშორებულია 1/2 კმ-ით (ჩრდილოეთის მიმართულებით) და სოფ. ხულგუმოს ზედ საზღვარზეა აღმოსავლეთ მხარეს (ტაბ. XI$_1$).

ყორღანის ყრილი წარმოადგენდა 1.5 მ სიმაღლის (დასავლეთის და სამხრეთის მხრიდან აზომვით, საითკენაც გარეშემო რელიეფი ცოტათი დაბლდება) წრიულ ბორცვს, რომლის დმ 20 მ უდრიდა. ბორცვის თავი (უდიდესი შემაღლება) ხვდებოდა ბორცვის ცენტრიდან 6,5 მ-ზე, N O მხარეს, ჩრდილოეთიდან 30° გადახრით, ცენტრში კი ყრილის სიმაღლე 1,1 მ აღწევდა (სურ. 1). ზედაპირი მთლიანად დაბალი ხშირი ბალახით იყო დაფარული. ყორღანის ზედაპირზე მოზრდილი ლოდები ეგდო. ყორღანის თავზე მოვხსენით მომცრო ნატეხი ქვებით ამოყორილი (ნაშენი) შესაწირავი ნიში (ჩვენს დროშიც მოქმედი). ასეთივე ნიში მეორე ყორღანზედაცაა, რომელიც პირველიდან 100 მ მანძილზეა NON მხარეს.

ყორღანის გათხრა დავიწყეთ 1 მ სიგანის, თითქმის დიამეტრული ტრანშეის გავლებით, რომელსაც NWN—SOS დამხრობა ჰქონდა (N—S ხაზიდან 20° გადახრით). იგი განივად კვეთდა ბორცვის შემაღლებულ ქედისებურ ზურგს, რომელზეც 2 მ სიგანის ტრანშეა იქნა პირველის ჯვარედინად გავლებული, რადგან დასაკრძალავი კამერა შეიძლებოდა მის ქვეშ, კერძოდ ტრანშეების ურთიერთგადაკვეთის ადგილას ყოფილიყო მოთავსებული. ეს ვარაუდი შემდეგში მართლაც დადასტურდა. ყორღანის წრიული მოხაზულობის ცენტრი ემთხვეოდა N—S ტრანშეის დასავლეთის გვერდისა და O—W ტრანშეის სამხრეთის გვერდის გადაკვეთის წერტილს. ყრილის თავსაც (უდიდეს შემაღლებას), როგორც

[1] ფარავნის მიდამოებში, კერძოდ, ამ ყორღანის მახლობლად, 1977 წლიდან წარმოებული დაზვერვების შედეგად ექსპედიციას მიკვლეული და აღრიცხული აქვს სხვა ყორღანებიც. ამავე რეგიონში ექსპედიციამ აწარმოა ვიზუალური დაზვერვები ციკლოპურ ციხეებზე (მცირე აბულის, შაორის, ყარადაღის, ინიაკდაღის მთებზე) და სხვა მეგალითურ ნაგებობებზე (იხ. აგრეთვე საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, 1978, გვ. 25—26, ტაბ. III, 2; IV).

ვიცით, ექსცენტრული მდებარეობა ჰქონდა. შეიძლება, ყოველივე ეს შედეგი იყო დროთა განმავლობაში ყრილის ჩამორეცხვა-დაბრტყელებისა და გაშლისა გარეშემო რელიეფის დაქანებულ მხარეს, სადაც ბორცვმა შეინარჩუნა წრიული მოხაზულობა (სურ. 1, 1).



სურ. 1. ფარავნის ყორღანი. ყორღნის პროფილი და ყრილის ჭრილები ა—ბ, O—W ტრანშეის მიხედვით და 2—2, N—S ტრანშეის მიხედვით.

ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, მეტწილად 0,1—0,2 მ სისქის მოშავო-მოყავისფრო კორდოვანი ფენის ქვეშ, იწყებოდა ნატეხი ქვების მჭიდრო ნაყარი შავი ან მოყავისფრო მიწის მცირე მინარევით. მასში ყორღანის ჩრდ. ფერდობზე მსხვილი ნაგლეჯი ქვები და წვრილი რიყის ქვებიც ერია. ქვაყრილის თავი აქ უფრო ღრმად (ზედაპირიდან 0,3—0,4 მ-ზე) და ჰორიზონტალურად იყო მოფხვიერო შავი მიწის ქვეშ. მნიშვნელოვანი სისქე ჰქონდა ნაყარ (მოყავისფრო ფხვიერ) მიწას აგრეთვე ყრილის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირებზე.

ტრანშეების გადაკვეთის ადგილიდან დაწყებული ცენტრალური თხრილი საბოლოოდ დაახლოებით 50 კვ. მ ოთხკუთხა ფართობზე გაფართოვდა. იგი გვერდებით ტრანშეების შესატყვისად იყო დამხრობილი (იხ. ზემოთ), ოდნავ რომბულად წაგრძელებული NW—SO ხაზზე (სურ. 2, 2, 3).

ნაყარის სტრუქტურა განსაკუთრებით კარგად გამოისახა ცენტრალური თხრილის ჭრილზე (კედლებზე) აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს. აქ ქვაყრილის ქვეშ ჩანდა მოშავო ფერის ძველი ნიადაგის ფენა 0,5—0,7 მ სისქისა, რომლის ზედაპირი თანამედროვე ნიადაგის დონიდან (N მხარის მიხედვით) ცოტათი უფრო ღრმად იყო (ბორცვის თავიდან 1,2—1,3 მ-ზე).

უფრო ქვევით, 1,9—2 მ სიღრმეზე, მოყვითალო თიხიანი წვრილკენჭნარევი მკვრივი გრუნტი იდო, რომლის ზედაპირამდე (ცენტრალურ თხრილში) დავღრმავდით, დასაკრძალავი ორმოსა და გადასახურავი ლოდების გარშე-



სურ. 2. ფარავნის ყორღანი. 1. ყორღნის ჭრილი 1—1; 2—3 დასაკრძალავი კამერისა და კამერის ლოდოვანი გადახურვის გეგმები.

მო (ტაბ. XI$_{2,3}$; სურ. 2). თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებთან გრუნტის ზედაპირზე შემჩნეულ იქნა გრუნტისავე სტრუქტურის ყვითელი მიწის მცირე გროვები 0,2—0,3 მ სისქისა, რაც, ჩვენი ვარაუდით, ორმოდან ამონაყარი ძველი განათხარი გრუნტისეული მიწა უნდა ყოფილიყო, თუმცა ძლიერ შემკვრივებული. გრუნტში ჩაჭრილი სამარხი ორმოს მოხაზულობის ზუსტი დადგენა არ მოხერხდა (ოთხკუთხა თუ ოვალური). სიგრძივ იგი დაახლოებით ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ იყო ორიენტირებული (სურ. 2, 2, 3; ტაბ. XI$_1$).

მანამდე პრეპარირებულ იქნა ფილაქვების მსგავსი, მეტწილად დიდი და საშუალო ზომის ლოდები ბაზალტის ჯიშისა, რომლებიც, როგორც ჩანს, თაღურ-საფეხურებრივ გადახურვას ქმნიდნენ ორმოს თავზე (ტაბ. XI$_{2,3}$). ყველაზე დიდ ლოდი სულ 13 ცალი იყო, მათგან ქვედა ლოდები ორმოს ნაპირზე — 6 ც. უდიდესი (სამხრეთ ნაპირზე მდებარე) ლოდის (ტაბ. XI$_3$) მაქსიმალური სიგრძე უდრიდა 1,8, სიგანე — 1,7, სისქე — 0,2 მ (იყო უფრო სქელი ლოდებიც). გადახურვის (და ორმოს) ცენტრი 1 მ-ით ჩრდილოეთით იყო ყორღანის ცენტრიდან. ქვები ყველა მხრიდან ორმოს შუისკენ იყო დაფერდებული სიღრმეში, ცალკეული მომცრო ლოდი კი — ორმოში ჩავარდნილი. მაგრამ კარგად შეიმჩნეოდა ქვების საფეხურებრივი წყობა, მთლიანი გადახურვის სიმყარე, კონსტრუქციული ჩანაფიქრის საკმაოდ მაღალი პრაქტიკული დონე. ყველაზე დიდი ლოდები მასიური ნაწილით დადებული იყო გრუნტზე ორმოს ნაპირას და სანახევროდ გადადიოდა ორმოს თავზე შიგნით. ამიტომ, მათ შემოსაწყობად, როგორც ჩანს, ყორღანის მშენებლების მიერ დასაკრძალავ ორმოზე უფრო ფართო თხრილი იყო ჩაჭრილი შავმიწიან ნიადაგში. ორმოს ნაპირის შიგნით ამ ლოდებზე შერჩეულად ელაგა უფრო მომცრო ლოდების მეორე წყება და ა. შ.

ლოდოვანი გადახურვის შემაგრებას ორმოს თავზე შეიძლება სპეციალური საყრდენიც ქმნიდა გარდიგარდმო გადებული ან შვეული ძელების სახით. ხის დანახშირებული ნაშთები აღმოჩნდა ორმოს ძირისკენ კედლებთან ჩრდილო და სამხრეთ მხარეს. ორმოს ნაპირები კი საერთოდ ჩამოშვავებული ჩანდა ყველა მხარეს და კედლებს საკმაოდ დიდი დაფერდება ჰქონდა, განსაკუთრებით ორმოს შუა ნაწილში. ჩამონაშალი გრუნტისეული ყვითელი მიწა ორმოს ძირზე, განსაკუთრებით კედლების გასწვრივ, შემაღლებებს ქმნიდა. ორმოს დანარჩენი არე ქვანარევი ჩაცვენილი შავი მიწით იყო ამოვსებული.

ორმოს თავის დონეზე და ლოდოვანი გადახურვის ძირზე (1,6—1,8 სიღრმეზე) გამოჩნდა შავი თიხის ჭურჭლის ცალკეული წვრილი ნატეხი, როგორც ჩანს, ჭურჭლების ჩამსხვერვის დროს ორმოდან ამოცვენილი, ან მძარცველების მიერ ამოყრილი. ორმოს ძირზე (მცირედად ურთიერთგანსხვავებულ დონეებზე) თითქმის ყველა მხარეს კედლებთან, მეტწილად ჩამონაშალ გრუნტისეულ მიწაში, აღმოჩნდა რამდენიმე დამტვრეული ჭურჭელი. ზოგიერთ მათგანს მიწაში საერთო ფორმა ჰქონდა შერჩენილი, ცალკეული კი ფრაგმენტების გროვას წარმოადგენდა (სურ. 2, 2). მოხერხდა 6 ჭურჭლის მთლიანი ან ნაწილობრივი რესტავრირება (ტაბ. XII$_{2-7}$).

კერამიკა ორ ძირითად ტიპს განეკუთვნება. ესაა: 1. შავპრიალა დერგისებური ჭურჭლები კვერცხისებური ტანით, ზოგჯერ ღია მოყავისფრო თხელი

სარჩულიანი კეცით, მხარზე ჰორიზონტული კონცენტრული ვიწრო ღარებით, იშვიათად ტალღური ხაზით (ტაბ. XII,2-5); 2. მოყავისფროდ გამომწვარი სფერულტანიანი დაბალყელიანი ჭურჭლები კონცენტრული ჰორიზონტული ზოლებით დაფარული უხეში ზედაპირითა და ზოგჯერ მხარზე უხეში ჭდეებით (ტაბ. XII6-7). პირველი ჯგუფიდან გვაქვს შავპრიალა ჭურჭელი (რესტავრირებული ზედა ნაწილი), რომელსაც მხარზე შემოუყვება ე. წ. სავარცხლის შტამპით დატანილი ზენური სპირალების და სვასტიკის სარტყელი (ტაბ. XII3). ცალკე აღმოჩნდა აგრეთვე ამავე ორნამენტული ტექნიკით შესრულებული სვასტიკის გამოსახულებიანი ფრაგმენტი (ტაბ. XII5).

ამ კერამიკის, ისე როგორც დასაკრძალავი ნაგებობის მიხედვით, ფარავნის ყორღანი ეკუთვნის ე. წ. ბაიბურთის ტიპის სამარხთა ჯგუფს, რომელსაც შუადან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდით განსაზღვრავენ და დაახლოებით ძვ. წ. XV—XIV სს. მიჯნით ათარიღებენ. შავპრიალა ჭურჭლის ფორმები, განსაკუთრებით კი აღნიშნული შტამპური ორნამენტული ტექნიკა და სახეები, ცხადყოფს შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკასთან ქრონოლოგიურ სიახლოვეს.

სამარხიდან კიდევ გვაქვს შავი ტალკის ცილინდრული ამულეტი, რომელიც ნაპოვნი იქნა ორმოს ძირის შუა ნაწილში (მინერალოგიური განსაზღვრა ეკუთვნის რ. ბახტაძეს), სამხრეთ ნაწილში კი აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ლულოვანი ძვლის ნატეხი. მიცვალებულის ჩონჩხის კვალი სამარხში არ შეგვინიშნავს. ორმოში და ლოდებს შორის არც თუ იშვიათად გვხვდებოდა ობსიდიანის ნატეხები, რომელთაგან ზოგიერთს დამუშავების კვალიც ეტყობოდა.

Э. М. ГОГАДЗЕ

РАСКОПКИ ПАРАВАНСКОГО КУРГАНА (1979 Г.)

(Табл. XI—XII)

(Резюме)

В июле 1979 г. отдельным отрядом Параванской разведочной экспедиции (руковод. экспед. З. К. Кикодзе, нач. отряда Э. М. Гогадзе) было раскопано курганное погребение, расположенное у сев.-зап. берега Параванского озера, в местности Чачкари у сел. Хулгумо (Богдановский р-н)[1]. Оно находится в 1/2 км к северу от озера, у самой границы села с вост. стороны (табл. XI,1).

Насыпь кургана представляла круглый холм высотой в 1,5 м (по измерению с зап. и южн. сторон, где окружающий рельеф немного по-

[1] В окрестностях оз. Паравана, в частности, поблизости данного кургана, вследствие разведок произвводимых с 1977 года, экспедицией обнаружены и взяты на учет и другие курганы. В том же регионе экспедиция произвела визуальные разведки на циклопических крепостях (на горах Малый Абул, Шаори, Карадаг, Инякдаг) и др. мегалитических сооружениях (см. также Археол. экспедиции, ГМГ, VI, 1978. с. 25—26, табл. III, 2; IV).

нижается), диаметр которого равнялся 20 м. Вершина холма оказалась в расстоянии 6,5 м от его центра в сторону ONO, с отклонением на 30° от севера. В центре же высота насыпи достигала 1,1 м (рис. 1). Вся поверхность была покрыта густой низкой травой. На поверхности кургана валялись крупные каменные глыбы. До начала раскопок на кургане была разобрана ниша для жертвоприношений (функционировавшая по настоящее время), возведенная из небольших ломаных камней. Такая же ниша находится на другом кургане, расположенном в 100 м по направлению NON от первого.

Раскопку кургана начали проложением почти диаметральной траншеи шириной в 1 м, ориентированной по линии NWN—SOS (с отклонением на 20° от N—S). Она поперечно пересекала хребтовидно-возвышавшуюся часть холма, по которой была проведена траншея шириной в 2 м, в крестовидном пересечении с первой траншеей, так как погребальная камера могла находиться под этой возвышенностью, в частности на месте пересечения двух траншей. Это предположение впоследствии действительно подтвердилось. Центр окружности кургана совпадал с точкой пересечения зап. края траншеи N—S и южного края траншеи O—W. И вершина холма, как мы знаем, имела эксцентрическое расположение. Возможно все это явилось результатом того, что насыпь кургана со временем несколько расплылась в сторону понижения окружающего рельефа, где холм сохранил круглое очертание по окружности (рис. 1,1).

В центральной части кургана, под черновато-коричневым поверхностным слоем 0,1 — 0,2 м толщины, начиналась плотная насыпь ломаных камней с малой примесью черной или коричневатой земли. На сев. склоне кургана поверхность каменной насыпи залегала глубже (0,3 — 0,4 м от поверхн.) и более горизонтально под черной землей.

Центральный раскоп, начатый с места пересечения траншей, в конечном счете был расширен на четырехугольной площади прибл. в 50 кв. м (рис. 2, 2,3). По ориентации своих сторон он прибл. соответствовал направлениям траншей (см. выше), но чуть был вытянут ромбически по линии NW—SO.

Судя по сев. и вост. разрезам (стенкам) этого раскопа, под каменной насыпью лежала черноватая древняя почва толщиной в 0,5—0,7 м. На глуб. 1,9 — 2 м лежал желтоглинистый твердый грунт с мелкогалечной примесью, до которого (в центральном раскопе) углубились вокруг погребальной ямы и перекрывающих ее каменных глыб (табл. I, 2, 3; рис. 2). Здесь кое-где были замечены малые скопления желтой земли той же структуры (толщина 0,2 — 0,3 м) — древние выкиды из ямы. Точно установить очертания ямы не удалось (четырехугольная или овальная). Длинной осью она была ориентирована с сев. на юг (рис. 2, 2,3; табл. XII_1).

Перед тем были препарированы преимущественно большие и средних размеров каменные глыбы базальтовой породы, напоминающие крупные плитняки, которые, видимо, создавали ступенчато-сводчатое перекрытие ямы (табл. $XII_{2,3}$). Самых крупных камней было 13. Шесть из них лежали на поверхности грунта вокруг верхнего края ямы. Размеры крупнейшего из них — 1,8 × 1,7 × 0,2 м; были камни и потолще. Центр перекрытия и ямы находился в 1 м к северу от центра кургана. Камни со всех сторон ямы были наклонены к ее середине, в глубь. Отдельные же глыбы меньших размеров провалились в яму. Но хорошо замечалась ступенчатая кладка камней, прочность всего

перекрытия, довольно высокий практический уровень конструктивного замысла. Наиболее крупные глыбы массивной своей частью были положены на грунт по краю ямы и наполовину переходили во внутрь ямы за верхний ее край. Поэтому для их размещения по краю, видимо, строителями кургана закладывался раскоп в черноземной почве, превосходящий по размерам собственно погребальную яму. Поверх ямы на этих глыбах лежал второй, специально подобранный ряд менее крупных глыб и т. д.

Крепление каменного перекрытия над ямой, возможно, составляли горизонтальные или вертикальные опорные брусья. Обугленные остатки дерева обнаружились ближе ко дну ямы, у ее сев. и южн. стенок. Обрушившиеся со всех сторон края ямы завалили ее дно. Стенки же сильно наклонились, в особенности в средней части ямы. Остальное пространство ямы было заполнено засыпной черной землей и отдельными завалившимися камнями.

На уровне верхнего края ямы и у основания каменного перекрытия (на глуб. 1,6 — 1,8 м) появились отдельные мелкие обломки черноглиняной посуды, вероятно, попавшие сюда или при ломке сосудов от завалки, или же при ограблении могилы. По всем сторонам у стенок на уровне дна ямы, в желтой осыпавшейся земле, оказалось несколько разбитых сосудов. Некоторые из них сохранили общую форму в земле. Отдельные же представляли кучу фрагментов (рис. 2,2). Удалось полностью или частично реставрировать 6 сосудов (табл. XII_{2-7}).

Керамика относится к двум основным типам. Это: 1. чернолощеные кувшины с яйцевидным туловом и широким горлом, иногда со светло-коричневатой подкладкой в изломе черепка, с горизонтальными концентрическими узкими желобками и, редко, с волнистой линией на плечике (табл. XII_{2-5}); 2. сферические сосуды коричневатого обжига с низкой горловиной, с грубой поверхностью, покрытой горизонтальными концентрическими полосками и, иногда, с грубыми вдавлениями на плечике (табл. XII_{6-7}). Из первой группы имеется чернолощеный сосуд (реставрированная верхняя часть) с пояском S — образных спиралей и свастик на плечике, нанесенных т. н. гребенчатым штампом (табл. XII_3). Был найден также фрагмент с изображением свастики, выполненной той же орнаментальной техникой (табл. XII_5).

По этой керамике, как и по погребальному сооружению, Паравансский курган принадлежит к группе погребений т. н. байбургского типа, которую определяют переходным от средней к поздней бронзе периодом и датируют прибл. рубежом XV—XIV вв. до н. э. Формы чернолощеной посуды и, в особенности, техника выполнения и узоры указанного штампованного орнамента делают очевидным хронологическую близость с керамикой среднебронзовой эпохи.

Из погребения еще имеется цилиндрический амулет из черного талька найденный в средней части дна ямы (минералогическое определение принадлежит Р. А. Бахтадзе). А в южной части ямы был обнаружен обломок трубчатой кости животного. Следов скелета покойника в погребении не было замечено. В яме и среди каменных глыб нередко попадались обсидиановые осколки, среди которых отдельные имели следы обработки.

ე. გოგაძე, ი. ჟორიძე, მ. დარისპანაშვილი

ნოსირი — მუხურჩის ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის შედეგები

(ტაბ. XIII)

1979 წელს ექსპედიციამ განაახლა მუშაობა გეგეჭკორის რ-ნის სოფ. მუხურჩაში, სადაც მას ადრე დაწყებული საველე სამუშაოები ორი სეზონის განმავლობაში, 1976 წლის შემდეგ, არ უწარმოებია[1]. აღნიშნული წყვეტილი გამოწვეული იყო სხვა ობიექტებზე მუშაობით.

საანგარიშო წელს ექსპედიციამ გათხრები ჩაატარა სოფ. მუხურჩის განაპირას, მის დასავლეთ მხარეს მდებარე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარ ბორცვ „კეკელურ ზუგაზე", სადაც შედარებით მცირე მასშტაბის სამუშაოები წარმოებულ. იქნა 1974—1976 წლებში. ისე როგორც ადრე, ამჯერადაც მუშაობა აქ შემოიფარგლა ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ სექტორით. განათხარ ფართობზე ყველგან წითელი ბათქაშიანი ნახანძრალი ფენა იქნა დადგენილი. გაირკვა, რომ ეს ფენა მძლავრ ყვითელ თიხაზვინულზე დევს.

წინა წლებში ჩვენ აქ შევუდექით ერთდროულად დიდი ფართობის გათხრას მისი თანდათან დადაბლებით. ამან საშუალება მოგვცა მთლიანი სახით გეგმაში გამოგვეველინა და დაგვეფიქსირებინა ნაგებობათა ნახანძრალი ნაშთები (ბათქაში და ნახშირის შრეები თუ ძელთა ნარჩენები), და, დიდი თიხაზვინულის ზედაპირზე არსებული ჩაღრმავებების მიხედვით, — ტერასული განლაგების ნახევარმიწურის ტიპის ნაგებობათა საფუძველი და ძირი. ჩაღრმავებების მსგავსი სურათი ჩვენთვის უკვე ცნობილია ნოსირის ბორცვიდან, ნოსირის ბორცვის მაგალითისამებრ, „კეკელურ ზუგაზეც" მოსალოდნელია დიდი თიხაზვინულის ძირზე (ზვინულის ქვეშ) ხის ძელების საყრდენი კონსტრუქციის არსებობა, რომლის გამოვლენა, თუ იგი აქ მართლაც არის, საანგარიშო წელს ვერ მოესწრო. სხვა საკითხების გარკვევასაც „კეკელურ ზუგაზე" შეუძ-

---

[1] ექსპედიციამ ველზე დაჰყო 6 სექტემბრიდან 30 ოქტომბრამდე. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ამ სტატიის ავტორები და ფოტოგრაფი მოწვევით—ს. რუნიხინი.

გვსურს უღრმესი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ ახალგაზრდა არქეოლოგის მიხეილ ვასილის ძე დარისპანაშვილის სახელი, რომელიც ტრაგიკულად გარდაიცვალა ექსპედიციაში 1979 წ. 22 ოქტომბერს. იგი წლების მანძილზე (1971 წლიდან) გულმოდგინედ და ნაყოფიერად ემსახურებოდა ექსპედიციის მიზნებს, იყო აქტიური მონაწილე როგორც საველე-საძიებო, ისე საფონდო-სამუზეუმო საქმიანობის, თანაავტორი სამეცნიერო ანგარიშებისა ექსპედიციის შედეგების შესახებ და სხვ.

ლია ნოსირის ბორცვის მონაცემების შევსება, რამდენადაც ამ უკანასკნელის მდებარეობამ და სხვა პირობებმა თავის დროზე საშუალება არ მოგვცა სრულად და ბოლომდე შეგვესწავლა ეს პირველხარისხოვანი ნამოსახლარი[2]. ამ მხრივ „კეკელური ზუგა" მომგებიანად განირჩევა მისგან მახლობლად არსებული თავისუფალი ფართობითაც და მიწის ზედაპირზე მნიშვნელოვანი შემაღლებითაც.

აღნიშნულ სექტორში, ბორცვის ძირითად შემაღლებულ ნაწილზე, გარდა პერიფერიებისა, მთლიანად იქნა მოხსნილი კულტურული ფენა. ეს ფართობი ჩრდ. მხარეს აღწევს HH 44—40 კვადრატების შუამდე, ხოლო დასავლეთ მხარეს HH 04—44 კვადრატებამდე (ჩათვლით). იგი მოიცავს 42 კვადრატს და უდრის დაახლოებით 168 კვ. მ, საშუალოდ 1 მ სიღრმით გათხრილს. თიხაზვინულის პარირებულ ზედაპირზე მცირე ჩაღრმავებების (იხ. ზემოთ) ან ბურცობების ნაპირები შვეულადაა ჩაჭრილ-შემოსწორებული (ტაბ. XII_2), ზოგან კი (O—W ტრანშეის აღმოსავლეთ ბოლოზე და ჩრდილოეთ მხარეს N—S ჭრილთან) თიხაზვინულის მკვეთრად დაქანებული ფერდი ჩაჭრილია კიბისებურად, საფეხურისებრ (ტაბ. XIII_3). ეს გამოწვეული იყო კულტურული ფენებისა და ზვინულის ზედაპირის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამოყოფის სიძნელეებით და ძნელად მისადგომ ადგილას (ფერდებზე) იმავე ზედაპირის მიახლოებით შენარჩუნების საჭიროებით. ცხადია, თიხაზვინულის ზედაპირის ყოველმხრივი ფიქსირების შემდეგ ამ მცირე ჭრილების შენარჩუნების საჭიროება აღარ იარსებებს.

ბორცვის დაბალ (პერიფერიულ)ნაწილზე და მის გაგრძელებაზე ბორცვის გარეთ, ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ სექტორის სამხრეთ ხაზის გასწვრივ, დავდეთ O—W ტრანშეა. იგი ემთხვეოდა სიგრძივი განლაგების 10 კვადრატს, HG 07-დან HH 06-მდე, უდიდესი სიღრმე (მიწის ზედაპირიდან) უდრიდა დაახლოებით 2 მ. ეს მიმართულება ავირჩიეთ პირველ რიგში იმის გამო, რომ ამ მხარეს ბორცვის გარეთ თავისუფალი არეა. აღმოსავლეთ და სამხრეთ მხრიდან ბორცვს ჩაის პლანტაცია აკრავს, ჩრდილოეთ მხარეს კი არხი გადის.

O—W ტრანშეის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა იგივე ბათქაშიანი და ნახშირნარევი კულტურული ფენა 1,2—1,8 მ სიმძლავრისა (იხ. ჭრილები სურ. 1). ტრანშეის სამხრეთ ჭრილი უახლოვდება O—W დიამეტრულ ხაზს და სიგრძივ უერთდება ბორცვის ზედა ნაწილის უმთავრეს ჭრილს (წინა წლებისას). ტრანშეის აღმოსავლეთ ნაწილში (კვ. HH 04—06) გამოვლინდა თიხაზვინულის ძირი. ზვინულის სიმძლავრე, ვარაუდით, უდრის 3—3,5 მ.

ტრანშეიდან უმთავრესად გადამწვარი კერამიკა ამოვიდა, რომელიც ბორცვის ზედა ნაწილზე მოპოვებული კერამიკის მსგავსია. საერთოდ კი „კეკელური ზუგას" კულტურული ფენა კერამიკის მსგავსებით ნოსირის ბორცვის II (აგრეთვე ნახანძრალი) ფენის სინქრონული ჩანს (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანები), მაგრამ მუხურჩის კერამიკა ნოსირულთან შედარებით რამდენადმე უფრო უხეშად გამოიყურება ფაქტურისა და დამუშავების მხრივ. მომდევნო პერიოდის, ნოსირის III ფენის თანადროული ჰორიზონტი „კეკელურ ზუგაზე" აღარ ჩანს. ზოომორფული (რქისებურშვერილებიანი) ყურების მქონე ჭურჭელი, რომელიც დამახასიათებელია ნოსირის III ფენისა და

---

[2] იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, 1978, გვ. 57, 59.

მისი სინქრონული ჰორიზონტებისათვის კოლხეთის სხვა ძეგლებზე, სრულიად არ მოიპოვება „კეკელური ზუგას“ კერამიკაში.

„კეკელური ზუგას“ მასალის ქრონოლოგიურად დანაწევრების საფუძველი ჯერჯერობით არ გვაქვს. O—W ტრანშეის სამხრეთ ჭრილის ერთ მცირე მონაკვეთზე დაკვირვების შედეგად (ბათქაშისა და ნახშირის შრეების განლაგების მიხედვით) შეიძლებოდა გვეფიქრა ამ ადგილას ორი დონის არსებობა. საგულისხ-



1

2

1 ყვითელი თიხა
Желтая глина

2 ნახანძრალი ტუალეტული ფენები
Культурные слои со следами пожарища

3 მოყავისფრო თიხა
Коричневатая глина

4 შავი მიწის შრე
Прослойка черной земли

5 მოყავისფრო კორდოვანი ფენა
Коричневатый зерновый слой

6 მონაცრისფრო თიხა
Сероватая глина

ძლიერი ბათქაში და ნახშირი
Мощные остатки пережженной глиняной обмазки и угля

სურ. 1. ნამოსახლარი ბორცვი „კეკელური ზუგა“, ბორცვის პერიფერიული ნაწილის ჭრილები: 1.-O—W ტრანშეის სამხრ. კედლის მიხედვით; 2. იმავე ტრანშეის ჩრდ. კედლის მიხედვით.

მოა, აგრეთვე ზოგიერთი კერამიკული ნიმუშის ახლო მსგავსება ნოსირის I ფენის ლარულორნამენტიან კერამიკასთან. მაგრამ ამ თვალსაზრისით საჭირო იქნება „კეკელურ ზუგაზე“ შემდგომი სტრატიგრაფიული დაკვირვებებიცა და სხვადასხვა სიღრმეებზე ფიქსირებული კერამიკის ტიპოლოგიური ურთიერთშედარებებიც.

O—W ტრანშეაში აღნიშნული კულტურული ფენა წყდებოდა HH 01 და 02 კვ-ბის ზღვარზე (დაახლოებით ბორცვის ნაპირთან). აქვე იწყებოდა და დასავლეთით გრძელდებოდა (კვ-ბი HH 01, HG 00, 09, 08,...) თითქმის ამავე სტრუქტურის ფენა. ეს ზღვარი სუსტად ჩანდა. მაგრამ ახალი ფენა შეიცავდა მხოლოდ აღრე ანტიკური ხანის საწყისი პერიოდის კერამიკას. ამ კერამიკის მიხედვით იგი თანადროული ჩანს აქვე ახლოს, პლანტაჟიან ფართობში ჩვენს მიერ შესწავლილი ნასოფლარის კულტურული ფენისა (1975 წ.) და შეიძლება მის უშუალო გაგრძელებასაც წარმოადგენდეს ზედ ბორცვის ნაპირამდე. ამ შემთხვევაში სამოსახლო ბორცვთან ეს ფენა არავითარ კავშირში არ უნდა ყოფილიყო.

O—W ტრანშეის დასავლეთ ნაწილში კულტურული ფენის ქვეშ მდებარე გრუნტი, რომელიც 5 მ სიღრმეზე იწყებოდა, ჩავვერით გარკვეულ მონაკვეთებზე, ტრანშეის ძირთან შედარებით უფრო ვიწრო ზოლად ანდა მცირე შურფის სახით (სურ. 1, $1_{1,3}$). გრუნტის სტრუქტურის გასარკვევად გაკეთებული ეს ჩაღრმავებები გამოგვადგა აგრეთვე სველი გრუნტიდან გამონაჟონი თუ ნაწვიმარი წყლის დასაწრეტად და შესაკრებად. სველი გრუნტი წარმოადგენდა ქვიშა და სილანარევი ყვითელი თიხის ფენას. მასზე იდო აგრეთვე გრუნტისეული, სუფთა და მკვრივი მუქი ყავისფერი თიხნარი 0,5 მ სისქისა, რომელიც მთელ თხრილში დიდი თიხაზვინულის ძირამდე უნდა გრძელდებოდეს. კულტურული ფენის ძირზე თხელი (0,2 მ სისქის) ყვითელი თიხის შრე, რომელიც აგრეთვე თიხაზვინულს უერთდება, ხელოვნურად უნდა იყოს დაგებული. სველი თიხნარი კი თავის მხრივ დევს მოცისფრო-მონაცრისფრო თიხაზე, ბორცვის თავიდან (და დაახლოებით ნულის დონიდან) 6 მ სიღრმეზე (სურ. 1, 1_6; ტაბ. XIII$_3$). ისე, როგორც კულტურული ფენა, გრუნტიც ბორცვის შუა ნაწილისკენ, თიხაზვინულისკენ უნდა მაღლდებოდეს. მაშასადამე, ნოსირის ბორცვის ნალოგიურად, აქაც ხელოვნური თიხაზვინული თავდაპირველ ბუნებრივ შემაღლებაზე უნდა იყოს აგებული.

Э. М. ГОГАДЗЕ, И. Д. КОРИДЗЕ, М. В. ДАРИСПАНАШВИЛИ

РЕЗУЛЬТАТЫ РАБОТ НОСИРИ-МУХУРЧСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1979 ГОД

(Табл. XIII)

Резюме

В 1979 году экспедиция возобновила работу в сел. Мухурча Гегечкорского р-на, где начатые ею ранее полевые работы не производились на протяжении двух сезонов после 1976 года. Отмеченный перерыв был вызван работами на других объектах.

В отчетном году экспедиция провела раскопки на жилом холме бронзовой эпохи, Кекелури Зуга, расположенном на зап. окраине сел. Мухурча, где сравнительно небольших масштабов работы были произведены в 1974—1976 годах. Работа здесь по-прежнему ограничилась сев.-зап. сектором холма, где всюду на раскапываемой площади был установлен слой со следами пожарища, содержащий краснопережженные остатки глиняной обмазки. Выяснилось, что этот слой лежит на мощной желтоглинистой укладке.

В последующие годы мы здесь приступили к одновременной раскопке большой площади с постепенным ее понижением. Это дало возможность в полном виде выявить и зафиксировать в плане пережженные остатки сооружений (прослойки обмазки и угля или же остатки дерева) и, по углублениям на поверхности большой глинистой укладки, — основание и дно террасообразно расположенных строений полуземляночного типа. Подобная картина углублений нам уже известна с Носирского холма. По примеру Носирского же холма следует ожидать существование на Кекелури Зуга деревянной опорной конструкции в основании большой глинистой укладки (под ней), выявить которую, если она здесь действительно имеется, в отчетном году нам не удалось успеть. И решение других вопросов на Кекелури Зуга может пополнить данные Носирского холма, поскольку расположение этого последнего и другие его условия в свое время не позволили полностью и до конца изучить это первостепенное поселение[1]. В этом отношении Кекелури Зуга выгодно отличается и наличием свободной площади поблизости, и значительной своей возвышенностью над уровнем почвы.

В указанном секторе, в основной возвышенной части холма, кроме периферий, полностью был снят культурный слой. Эта площадь в сев. стороне достигает середины квадратов HH 44—40, а в зап. стороне квадратов HH 04—44 (включительно). Она охватывает 42 квадрата и равна прибл. 168 кв. м, раскопанных в среднем на глубину 1 м. На препарированной поверхности глинистой укладки вертикально срезаны и подправлены края малых углублений (см. выше) и бугорков (табл. XII_2), а в некоторых местах (в вост. конце траншеи O—W и в сев. стороне у разреза N—S) на крутом склоне глинистой укладки срезы имели ступенчатое расположение (табл. XIII_3). Это было вызвано трудностями четкого отделения друг от друга культурных наслоений и поверхности глинистой укладки и необходимостью приблизительного сохранения той же поверхности в труднодоступных местах (на склонах). Разумеется после всесторонней фиксации поверхности глинистой укладки необходимости в сохранении этих малых разрезов не будет.

В нижней (периферийной) части холма и в продолжении за его пределами мы провели траншею O—W вдоль южной линии сев.-зап. сектора. Она совпадала с 10 расположенными продольно квадратами, от GH 07 до HH 06; глубина от поверхн. земли равнялась 2 м. Выбор такого направления был обсуловлен в первую очередь тем, что с этой стороны за холмом имеется свободное пространство. С востока и запада к холму примыкает чайная плантация, а на сев. стороне проходит канал.

В вост. части траншеи O—W выявился тот же культ. слой мощностью в 1,2—1,8 м (см. разрезы, рис. 1). Южн. разрез траншеи приближается к диаметральной линии O—W и по одной линии соединяется с

---

[1] См. Археологические экспедиции Гос. музея Грузии, VI, 1978, с. 57, 59.

основным разрезом верхней части холма (предыдущих лет). В вост. части траншеи (кв. НН 04—06) выявилось основание глинистой укладки. Мощность укладки, вероятно, равна 3—3,5 м.

Из траншеи в основном вышла пережженная керамика, подобная керамике с верхней части холма. Вообще же культурный слой Кекелури Зуга по сходству керамики, по-видимому, синхроничен со II (также пережженным) слоем Носирского холма (середина II тыс. до н. э.). Однако мухурчская керамика выглядит несколько грубее по фактуре и отделке. Горизонт последующего периода, современного носирскому III слою, на холме Кекелури Зуга не замечается. Посуда с зооморфными (рогатыми) ушками, — преобладающий вид в III слое Носири и в синхронных с ним горизонтах других памятников Колхиды, — совершенно отсутствует в керамике Кекелури Зуга.

Основания для хронологического расчленения материалов Кекелури Зуга пока что у нас нет. Наблюдения на одном небольшом отрезке южного разреза траншеи O—W (расположения прослоек краснопережженной обмазки и угля) позволяют заключить о наличии двух уровней на этом месте. Следует учесть также близкое сходство некоторых керамических образцов с желобчато орнаментированной керамикой Носирского I слоя. Однако в связи с этим нужны будут и дальнейшие стратиграфические наблюдения на Кекелури Зуга и типологическое сопоставление фиксированной на разных глубинах керамики.

В траншее O—W упомянутый культурный слой прерывался на грани кв-ов НН 01 и 02 (прибл. у края холма). Здесь же начинался и продолжался далее к западу (кв-ты НН 01, GH 00, 09, 08...) культурный слой почти той же структуры. Эта грань была едва заметна. Но новый слой содержал лишь керамику начального периода раннеантичной эпохи. По этой керамике он кажется синхронным с культурным слоем селища, изученного нами тут же поблизости на территории плантажа (1975 г.) и, возможно даже, представляет его непосредственное продолжение до самого края холма. В таком случае этот слой не должен был иметь какой-либо связи с жилым холмом.

Грунт, лежащий под культурным слоем в зап. части траншеи O—W, который начинался на глуб. 5 м, мы прорезали на отдельных участках более узкой, по сравнению с дном траншеи, полосой или же в виде малого шурфа (рис. $1,1_{1,3}$). Эти углубления, сделанные для выяснения структуры грунта, были использованы также для стока и собрания просачивающихся из мокрого грунта или же дождевых вод. Мокрый грунт представлял собой желтоглинистый слой с примесью мелкого песка и щебня. На нем лежал чистый и плотный темно-коричневый суглинок толщиной в 0,5 м, также относящийся к грунтовой структуре, который, видимо, продолжается через всю траншею до основания большой глинистой укладки. Тонкая желтоглинистая прослойка (толщ. 0,2 м), которая также соединяется с глинистой укладкой, должна быть искусственно уложенной. А мокрый глинистый слой на глубине 6 м, лежит на сероватой глине. Подобно культурному слою, грунт тоже должен возвышаться к средней части холма, в сторону большой глинистой укладки. Это значит, что аналогично Носирскому холму, искусственная глинистая укладка и здесь должна быть воздвигнута на естественной возвышенности.

პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, თ. კაპანაძე

ნოქალაქევის ექსპედიციის 1978—1979 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში

(ტაბ. XIV—XVII)

ნოქალაქევის ექსპედიციამ თავისი მეექვსე და მეშვიდე კამპანია ჩაატარა ისევ ივლის-აგვისტოს თვეებში*. ამ წლებში მუშაობა ძირითადად მიმდინარეობდა ქალაქის ქვედა ცენტრალურ ნაწილში, მაგრამ გათხრები გრძელდებოდა ციტადელზეც[1]. ამავე დროს, საკმაოდ ინტენსიური მუშაობა გაიშალა „ნოქალაქევის ქვეყნის“ შესასწავლად.

ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში თითქმის დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს ძველი ბაზილიკის გათხრები, ხოლო იქვე ჩრდილოეთით მდგარ მეორე ეკლესიაზე კიდევ დაგვჭირდება სამუშაოების გაგრძელება (უბ. XI, კვადრ. E — 6, 7).

ძველი ბაზილიკის საბოლოო გაწმენდამ დაგვარწმუნა, რომ აქ ძირითადად ორ სამშენებლო ფენასთან გვქონდა საქმე. სამწუხაროდ, ეს ნაგებობები ისეა დანგრეული, რომ ბევრი დეტალის გარკვევა არ ხერხდება.

ნანგრევების აღმოსავლეთ მონაკვეთში აშკარად ორი ნაგებობის აფსიდებია დარჩენილი. გარე მათგანი ნახევარწრიულია, ხოლო შიდა — ხუთგვერდა. ნახევარწრიული აფსიდი ნაწილია იმ ბაზილიკისა, რომელიც აქ თავდაპირველად მდგარა. ეს აფსიდი შემდეგი დროის სამნავიანი ბაზილიკის კედლების სიგანისაა. ამ ეკლესიიდან აფსიდის მეტი არაფერია დარჩენილი. როგორც ეტყობა, მტრის მიერ ეკლესიის დანგრევის შემდეგ ნაკურთხი ადგილის მოშლა არ მოუსურვებიათ და ძველ აფსიდში ახალი ჩაუდგამთ. ეკლესია, რომლის აფსიდიც გარე კედლების დამამთავრებელია, ბიჭვინტის გათხრებში პოულობს

---

[1] წინა წლების ანგარიშები გამოქვეყნებულია „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის“ (1975 წ.), V (1977 წ.) და VI (1978 წ.) ნოემბერში.

* ნოქალაქევის ექსპედიციის 1978/79 წლების ძირითადი შემადგენლობა წინანდელი იყო: ზაქარაია (ექსპ. ხელმძღვ.). ვ. ლექვინაძე და გ. გვინჩიძე (ხელმძღვანელის მოადგილეები), ლ. ხვედელიძე, მ. იაშვილი, მ. ზამთარაძე (რაზმის უფროსები), ნ. ლომოური (ორივე წელს მოწვევით), თ. ცაგურია (1978 წ. მოწვევით), თ. ქველაძე (1978 მოწვევით), თ. კაპანაძე (ორივე წელს მოწვევით), თ. ბერაძე (1978 წ. მოწვევით) და სხვ.

ანალოგიას[2] (ამ ეკლესიას გამთხრელები IV ს-ის პირველი მეოთხედით ათარიღებენ).

ამ ეკლესიის დანგრევის შემდეგ იმავე ტერიტორიაზე ახალი ეკლესია აუგიათ. იგი შვერილაფსიდიანი სამნავიანი ტაძარია. აფსიდი გარედან ხუთგვერდაა, შიგნით კი ნალისებური მოხაზულობისაა. ცენტრალური ნავის სიგანე შესამჩნევად ჭარბობს გვერდითი ნავებისას. ნავებს შორის გამყოფი სვეტებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის სვეტის ძირია დარჩენილი. აფსიდის კუთხესა და ამ სვეტამდე მანძილს თუ მოდულად ავიღებთ, მაშინ გვერდებზე სამ-სამი თაღი იქნებოდა. გვერდით ნავებს დასავლეთით საკმაოდ განიერი ნავი აერთებდა. ყველა ნავი კამარებით იყო გადახურული (ტაბ. XIV).

დასავლეთის ნავის სამხრეთის ბოლოს სანათლავი ყოფილა მოწყობილი. ამჟამად დარჩენილია წყლის გასაყვანი კერამიკული მილი სამხრეთის კედელში.

ეს დიდი ზომის ბაზილიკაც (26,6×14,6 მ) მტერს დაუნგრევია. წერილობით წყაროებში არ არის დარჩენილი არავითარი ცნობა ეკლესიის აგებაზე ან მის დანგრევაზე. ადგილობრივი სხვადასხვა მონაცემებით და ანალოგიების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ბაზილიკა აგებულია V ს. პირველ ნახევარში, ან მის შუა ხანებში.

მტერს ეს ეკლესიაც მალე გადაუწვავს და დაუნგრევია. ეგრისის სამეფოს დედაქალაქი უეკლესიოდ დიდხანს ხომ არ იქნებოდა. ამ ეკლესიასთან ერთად გადაუწვავთ სასახლეც. სიმშვიდის ჩამოვარდნის შემდეგ მეფეს დიდი საზრუნავი გასჩენია: მას უნდა აეგო სასახლე და ეკლესიაც. როგორც ეტყობა, ეკონომიური მდგომარეობა დიდის აგების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ ერთიც და მეორეც უწინდელზე უფრო მომცრო აუგია. ერთიც და მეორეც ბაზილიკის ნანგრევზეა დადგმული.

ახლად აგებული ეკლესია დაუდგამთ ძველი ბაზილიკის ჩრდილოეთით. ეს ეკლესიაც სამნავიანი ბაზილიკაა, მხოლოდ ზომით წინანდელს ერთი მესამედით ჩამოუვარდება. ამ ეკლესიას თავდაპირველი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია, იგი კაპიტალურად სამჯერ თუ ოთხჯერაა გადაკეთებული (უბ. XI, კვ. E — 1, 6).

პირვანდელი ეკლესიის აფსიდია ნაწილობრივ გადარჩენილი. შვერილი, ხუთგვერდა აფსიდი თავდაპირველია, ხოლო გვერდითი პასტოფორიები გადაკეთებულია. სადიაკვნე თუ სანათლავი, რომელიც სამხრეთის კედლის ხაზის გარეთ იყო გაშვერილი, გადაკეთებულია, დამოკლებულია. ხოლო სამკვეთლო მოუსპიათ XVI—XVII სს., როცა დადიანებმა ეს მხარე გააფართოეს და იქ მოაწყეს სამლოცველო და სამარხი. სამნავიანი ბაზილიკის საკურთხევლის დასავლეთის ნაწილი მთლიანად დანგრეულია. ახლად ამგებთ გეგმა შეუცვლიათ; სამივე მხარეს ნავები თითო დიდი თაღით დაუკავშირებიათ ცენტრალურ სივრცესთან. მომდევნო პერიოდში შენობას კიდევ ერთი დიდი ცვლილება განუცდია. გარე კედლების ამაღლებით ნავების ზემოთ მეორე სართული გაჩენილა, ხოლო ცენტრალური სივრცე გუმბათით დაუმთავრებიათ. აღნიშნულის გარდა ტაძარს შემდეგშიც განუცდია არაერთი ცვლილება.

---

[2] ი. ციციშვილი, ბიჭვინთის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, დიდი პიტიუნტი, II, 1977, გვ. 100, სურ. 16.

ამჟამად ეკლესიის ყველა ქრონოლოგიური ფენის გამიჯვნა ძნელია, მაგრამ თავდაპირველი ფენის, სამნავიანი ბაზილიკის თარიღი კი დგინდება: ესაა VI ს. დასაწყისი[3].

საკმაოდ დიდი, შრომატევადი სამუშაოები ჩატარდა გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთის უბანზე (უბ. XVII, კვ. F—24, B—4). აქ კედლები ისეა გადაწეული და ნანგრევები ერთმანეთზე დახვავებული, რომ მეტად ძნელდება წმენდა, ქვა-ღორღის ამოღება და კედლების ნაშთების განთავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ აქ რამდენიმე წელია ვმუშაობთ, ამ უბნის საბოლოო გაწმენდამდე კიდევ შორსა ვართ.

თითქმის ერთი სეზონი მოვუნდით მეორე აბანოს აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდას (უბ. IX, კვ. A—1). გაირკვა, რომ აბანოზე რამდენიმე სათავსიანი გრძელი შენობა ყოფილა მიდგმული. ეს სწორკუთხა ნაგებობა ზედ გალავანზეა მიდგმული. სამწუხაროდ, ნაგებობისაგან მხოლოდ საძირკველია გადარჩენილი. აბანოს კედლებთან შედარებით მისი კედლები წვრილია, ნაკლებად კაპიტალური.

1978 წელს გათხრები მიმდინარეობდა აგრეთვე აკროპოლისის უკიდურეს აღმოსავლეთ ბოლოში, სადაც მდებარეობს მრავალჯერ გადაკეთებული კოშკი. ამ სწორკუთხა ნაგებობას თავდაპირველად ჰქონდა სათავსები, რომლებიც ამჟამად ქვითაა ამოვსებული. ამ უბნის უგვიანეს სამშენებლო ფენას განეკუთვნება კვადრატული კოშკი, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე უკავია და იქვე ზედა მხარეს მოთავსებული ბაქანის პარაპეტი.

უბნის გაწმენდითი სამუშაოები მიზნად ისახავდა ქალაქის ბოლოში თავდაცვითი კედლების დამთავრების ხასიათის დადგენას, რაც კიდეც მიღწეულ იქნა.

აქ ჩატარებული გათხრებისას გამოვლინდა საკმაოდ ერთფეროვანი, მაგრამ ნაქალაქარის ადგილებში დაუდასტურებელი მასალა, რომელიც წარმოდგენილია ღია წითელი, თუ ყვითელი თიხისაგან დამზადებული ღრმა ფიალებითა და თეფშებით. მთელი ეს ჭურჭელი, რომელიც სხვადასხვა ზომისაა, გამოირჩევა ფორმის ერთიანობით: ფიალებსა და თეფშებს მეტ-ნაკლებად აქვთ ვიწრო, დაბალი ცილინდრებისა თუ წაკვეთილი კონუსების ფორმის ძირები, რომლებიც ბრტყელია და ოდნავ შეზნექილი. მცირე ზომის ეგზემპლარების კედლები ზემოთკენ ფართოვდება, ან რამდენადმე გარეთკენაა გადაშლილი, დიდი ზომისები კი ამასთანავე ქვედა ნაწილში მომრგვალებულია.

ამ ფიალათაგან და თეფშთაგან ზოგიერთი — ძირითადად დიდი ზომისები — მოხატულია ძლიერ ცუდად დაცული წითელი საღებავით შესრულებული სხვადასხვა უბრალო ორნამენტით, რომლებიც დატანილია უმთავრესად ჭურჭლის შიგნიდან, პირის გაყოლებით. ორნამენტები შემდეგნაირია: წრიული

---

[3] ეს ბაზილიკა ნაწილობრივ გავწმინდეთ როგორც შიგნით, ისე გარეთ. ასევე სპეციალისტებს გავაწმენდინეთ კედლები და ფრესკების ფრაგმენტები გავამაგრებინეთ.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარებამ საშუალება მოგვცა ფენები უკეთ გაგვემიჯნა. 1928 წ. იქ ყოფნის დროს გ. ჩუბინაშვილს არ შეეძლო ეს დეტალები ენახა, ამიტომ მან ბაზილიკის აღდგენის სხვა გეგმა წარმოადგინა. იხ. Г. Н. Чубинашвили. К вопросу о Накалакеви, Вопросы истории искусства, ტ. I, 1970, გვ. 93.

ხაზი და მსხვილი ლაქები აღნიშნულ ხაზსა და ჭურჭლის პირს შორის; უსწორმასწორო ხაზი და მისგან ჭურჭლის პირისაკენ რადიალურად მიმართული ზიგზაგები (შესაძლოა მზის სიმბოლური გამოსახულებაა); წრიული ხაზი, ამ ხაზსა და ჭურჭლის პირს შორის კი წრეები, რომლებიც ლაქების ჯგუფებთან მონაცვლეობენ; ზიგზაგისმაგვარი ხაზი ჭურჭლის პირის გაყოლებით; მიხვეულ-მოხვეული ხაზი ჭურჭლის პირის გაყოლებით; მიხვეულ-მოხვეული ხაზი და მისგან ჭურჭლის პირისაკენ რადიალურად მიმართული ხაზები (სურ. 1).

მხოლოდ ერთ შემთხვევაში ორნამენტი დატანილია ჭურჭლის გარეთა მხარეს (ყველაზე უფრო დიდი ზომის თეფშზე) და წარმოადგენს ჭურჭლის ძირიდან პირისაკენ მიმართულ ზიგზაგებს. შიგნიდან კი ეს ჭურჭელი შემკულია პირთან დატანილი ბლაგვი იარაღით შესრულებული ორი პარალელური ხაზით. ამ ხაზებს შორის შუალედი კი შევსებულია ბასრი იარაღით შესრულებული ცერი ჭდეებით.

აღწერილი მოხატული კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩნდა ხსენებული ბასტიონის კედლებთან, IV—VI სს-თა დონეზე გაცილებით მაღლა. ეს გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული კერამიკა მიეკუთვნება არქეოპოლისის არსებობის გვიანდელ პერიოდს. საერთოდ კი მოხატული კერამიკა შავიზღვისპირეთის ბევრ რაიონში ვრცელდება ძირითადად IX—X სს-ში, რაც საშუალებას გვაძლევს აღწერილი კერამიკა წინასწარულად ამავე ხანით დავათარიღოთ.

ბასტიონთან მოპოვებული დანარჩენი მასალიდან უნდა მოვიხსენიოთ ელინისტური ხანის ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტები, რომელიც, როგორც ჩანს, მეტყველებს იმის შესახებ, რომ ელინისტური ხანის სამაროვანი აკროპოლისზეც იყო.

1979 წელს გათხრები მიმდინარეობდა აგრეთვე ნაქალაქარის ტერიტორიაზე მთავარ ჭიშკართან. აქ გაიწმენდა ერთ-ერთი იმ კედელთაგანის მონაკვეთი, რომელიც უშიშროების მიზნით ქალაქს ნაწილებად ჰყოფდა. მთლიანად გაითხარა კედლის აღნიშნულ მონაკვეთთან სამხრეთიდან მიმდებარე მცირე ზომის სწორკუთხა კოშკი. აქ გამოვლენილი მასობრივი არქეოლოგიური მასალიდან ყურადღებას იპყრობს დაღარული ამფორის იმ ტიპის ფრაგმენტები, რომელთაც არ გააჩნია ყელი.

აგრეთვე გაიწმინდა შიგნიდან ქალაქის აღმოსავლეთი თავდაცვითი სისტემის მონაკვეთი და დაიწყო რომელიღაც უზარმაზარი საზოგადოებრივი ნაგებობის (საწყობი? ყაზარმა?) გათხრები. ეს უკანასკნელი შედგება მრავალი წაგრძელებული სწორკუთხა სათავსისაგან, რომლებიც მოთავსებულია ცენტრალური კვადრატული სათავსოს ირგვლივ. ამ ნაგებობას ქალაქის ქვედა ნაწილის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე ეკავა. აქ მასობრივი არქეოლოგიური მასალა ჯერჯერობით მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი, მაგრამ მასში ყურადღებას იქცევს კერამიკის ისეთი ფორმები, რომლებიც არქეოპოლისში ადრე არ ყოფილა გამოვლენილი. ეს არის თიხის დიდი ტაფის ნატეხი და ფიალა ძირთან მოთავსებული ორი ბურთობით. ამ ბურთობებში მოთავსებულია ზონრების გაყრისათვის განკუთვნილი ხვრელები. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს მშვილდსაკინძის ფრაგმენტი.



სურ. 1. მოხატული კერამიკა ნოქალაქევიდან.

1978—79 წლებში ნოქალაქევში შესწავლილ იქნა 15 ორმოსამარხი: 1—ძვ. წ. IV—III სს-ის, 7—ძვ. წ. I ს-ის, 7—გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეთა ხანის.

ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებს ფართო დაზვერვით სამუშაოებს ეგრისის დედაქალაქის „ქვეყნის" შესასწავლად. საველე მუშაობის პირველივე წლიდან დაიწყო მიწისზედა ძეგლების აღნუსხვა, რუკაზე დატანა, აღწერა, აგრეთვე დაზვერვითი გათხრები.

1977 წელს ჩატარდა დაზვერვითი გათხრები გეგეჭკორის რ-ის სოფ. ნოჯიხევში, ნასახლარზე, რომელიც მდ. აბაშის მარცხენა ნაპირთან, ბაღაში მდებარეობს და V ს. ბოლოს, ან VI ს. დამდეგს ეკუთვნოდა აღმოჩნდა აბანო და ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია[4]. 1978/79 წლებში აქ გაითხარა ორი ბორცვი— „ჯიხა"—2—3 ჰა ფართობზე გამოვლინდა 3 პერიოდის ნაშთები: V—VI სს. დასახლება, რომელიც გადამწვარია IX—X სს[5]; X საუკუნის ბოლოს აგებული შესანიშნავი ტაძარი (XVI_1), დანგრეული XIII ს. ბოლოს ან XIV ს-ში; XVI—XVII სს. პატარა ეკლესია და ვრცელი პალატები გარსშემოვლებული ელიპსური გალავნით.

X ს. ბოლოს აგებული ტაძრის ნაშთები ზოგან 2 მ სიმაღლეს ძლივს აღწევს. ჩანს მხოლოდ მისი გეგმა; ირკვევა, რომ აქ მდგარა რვააბსიდიანი გუმბათიანი შენობა, გარედან და შიგნიდან შემოსილი კარგად გათლილი ქვით. შვერილები აბსიდებს შორის დამუშავებული ყოფილა ლილვებით; საკურთხეველი შედგება ბემისა და ღრმა აბსიდისაგან, რომლის აღმოსავლეთ კედელზე მიშენებულია სწორკუთხა ტრაპეზი; ბემის არეში თითო ღრმა ნიშაა. შვიდი აბსიდი თითქმის თანატოლია. ტაძარს ჰქონდა 3 კარი—დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან; სარკმლების განლაგება ვერ დგინდება. ფასადები მდიდრულად ყოფილა მორთული ჩუქურთმებით და დამუშავებული დეკორატიული ნიშებით—კარფანჯრების ორნამენტების ფრაგმენტები ბლომად აღმოჩნდა ნანგრევებში (ტაბ. XVI_2). აღმოჩნდა აგრეთვე 15—20 სმ სიმაღლის მთავრული ასოებით შესრულებული წარწერის ფრაგმენტები; ჩაკრილი ასოები შეფერადებულია შვინდისფერი საღებავით. სულ აღმოჩნდა 22 ერთმანეთთან დაუკავშირებელი ასო, რის გამოც წარწერის აღდგენა არ ხერხდება, ჩანს, რომ ის ფრიზის სახით გასდევდა შენობას. პალეოგრაფიულად წარწერა X საუკუნის ბოლოს ეკუთვნის (ტაბ. XVI_3).

რვააბსიდიანი ეკლესია საქართველოში აქამდე ცნობილი არ ყოფილა, ამიტომ ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული არქიტექტურის გზის წარმოსადგენად.

XIII ს. ბოლოს ან XIV ს. დამდეგს განადგურებული ტაძრის ნანგრევებზე XVI—XVII საუკუნეებიდან ცხოვრებას, როგორც ჩანს, დადიანები აახლებენ: მათ რიყის ქვით აუგიათ პატარა (5, 1×7,3 მ) დარბაზული, სამკარიანი ეკლესია, რომელიც, როგორც ამას ორიოდე ფრაგმენტი მოწმობს, მოხატული ყოფილა, და, მის მახლობლად,—სასახლე, პალატები—სწორკუთხა ნაგებობა, რომელიც 3 დიდსა და 1 პატარა სათავსოს შეიცავდა, ხოლო შემდეგ გაფართოებული ყოფილა სამხრეთიდან ვიწრო და გრძელი, ხოლო დასავლეთიდან ნახევარწრიული სათავსების მიშენებით. სასახლე გადარჩენილია 2 მ სიმაღლის ცოკოლის დო-

---

[4] საქ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI.

[5] დამწვარი აბანოდან აღებული ნახშირი დაათარიღა თბილისის სახ. უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიამ (ა. ბურჭულაძე).

ნეზე, რომელიც ჰიდროიზოლაციის მიზნით შიგნიდან აძოვსილი ყოფილა რიყის ქვით[6]. სასახლე აგებული იყო რიყისა და ყორექვით, აგურის გამოყენებით. რადემდე იარსებეს ამ შენობებმა, არ ვიცით; ყოველ შემთხვევაში, ისინი აღწერილი არა აქვს არცერთ მოგზაურსა და მკვლევარს, რომლებიც ეხებიან სამეგრელოს ამ ნაწილს XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან.

1979 წელსავე ექსპედიციამ იმუშავა სოფ. ნაჯახოვოს ბოლოს ვაკეზე მდებარე პატარა ბორცვზე, რომელშიც ჩამარხული აღმოჩნდა ეკლესიის ნანგრევები, რომლებიც გადარჩენილია 2 მ სიმაღლემდე და შემოსილი ყოფილა თლილი ქვით; კოლხეთის დაბლობზე ქვის ნაკლებობაა, ამიტომ მოპირკეთების ქვები დატაცებულია, სამაგიეროდ ბლომადაა სახურავის კრამიტი, მათ შორის — ჯვრიანი ანტეფიქსები; ეკლესია მოხატული ყოფილა.

ეკლესია გარე სწორკუთხედშია ჩაწერილი, აღმოსავლეთით გააჩნია ნახევარწრიული შვერილი აბსიდა; სამივე კარზე მოდგმულია სწორკუთხა კარიბჭე. შიგნიდან, აბსიდთან და დასავლეთ მხარეს არის შვერილები, რომელთა შორის იქმნება კვადრატი. შენობა გუმბათიანი უნდა ყოფილიყო და, მაშასადამე, ის Kuppelhalle-ს ანუ გუმბათიანი დარბაზის ერთ-ერთი ვარიანტია. ამ ტიპის საუკეთესო ძეგლი საქართველოში არის ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი ათარიღებს VIII ს. ბოლოთი და IX ს. დასაწყისით[7]. ნაჯახავოს ეკლესიის ამავე ხანით დათარიღებას ხელს არაფერი უშლის (ტაბ. XVII$_1$).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი, სადაც ექსპედიცია აწარმოებდა გათხრებს საანგარიშო წლებში, არის შხეფის ციხე, რომელიც მდებარეობს ცხაკაია-ნოქალაქევის გზის ჩრდილოეთით, მაღალი მთის წვერზე და დიდ მანძილზე ბატონობს კლხეთის დაბლობზე (ტაბ. XVII$_2$).

მუშაობა გაიშალა ციტადელში, სადაც თანდათანობით ვლინდება კედლები, რომლებიც თავდაპირველად აქ მდგარ ციხეს უნდა ეკუთვნოდეს; გათხრა დიდი სიფრთხილით მიმდინარეობს, რათა არ დაზიანდეს აქ არსებული სასმელი წყლის აუზი, რომელიც ჩრდილოეთიდან გამოყვანილ წყალსადენთან ერთად ამარაგებდა ციხეს. აქ აღმოჩენილი მასალიდან აღვნიშნავთ კაჟიანი თოფის 543 ჩასართს, რომელიც მთავარი კოშკის იატაკის ქვეშ დერგში იყო შენახული, აგრეთვე — ასომთავრულ წარწერას, რომელიც გასული საუკუნის შუა ხანებში გამოსცა მარი ბროსემ[8], შემდეგ კი დაკარგულად ითვლებოდა.

---

[6] ასევე იყო გამართული ცოკოლი გრემის ნაქალაქარის „აკადემიის" შენობაში, იხ. ბ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ., 1975, გვ. 62.

[7] Г. Н. Чубинашвили, Купольный храм Квела-Цминда близ Вачнадзиани. Архитектура Кахетии, 1959, вв. 287—320.

[8] M. Brosset, Rapport... 1851, VII, вв. 48.

П. П. ЗАКАРАЯ, В. А. ЛЕКВИНАДЗЕ, Г. О. ГВИНЧИДЗЕ, Т. Д. КАПАНАДЗЕ

КРАТКИЙ ОТЧЕТ РАБОТЫ НОКАЛАКЕВСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1978—1979 ГОДЫ

(Табл. XIV—XVII)

(Резюме)

Нокалакевская археологическая экспедиция проводила, в указанные годы раскопки в основном в центральной нижней части города; продолжалась работа и в цитадели. Довольно интенсивная работа велась на могильнике городища а также по изучению окрестностей города[1].

В центре нижней части города были почти закончены раскопки древнейшей базилики. В расположенной рядом с нею (к северу) второй церкви работу придется продолжить.

Раскопки древнейшей базилики установили ее двухслойность, а также принадлежность ее широкой полукруглой абсиды первому (древнейшему) строительному слою. После разрушения врагом храма с широкой абсидой в первой половине или середине V в. была выстроена на этом же месте трехнефная базилика с выступающей пятигранной абсидой. Вскоре были разрушены врагом и эта базилика, и царский дворец. В начале VI в. к северу от развалин упомянутой базилики, была выстроена еще одна базилика, а к югу от них — новый трехэтажный дворец.

Новая трехнефная базилика, также испытавшая три или четыре радикальные переделки, представляет собой в настоящее время купольную церковь.

В указанные годы довольно большие работы были осуществлены и по расчистке покосившихся оборонительных стен в юго-восточной части города. Расчищена восточная часть второй бани, где выявлены фундаменты вытянутого прямоугольного здания с несколькими помещениями.

В цитадели Археополиса велась расчистка восточного бастиона, также представляющего собой многослойное сооружение. Здесь впервые в Археополисе были обнаружены черепки расписной керамики, предварительно датируемой IX—X вв. Керамика эта представлена исключительно мисками и блюдами. Роспись у нее простая — в виде крупных точек, круговых поясков, зигзагов, кружков и петляющих линий, выполненных темно-красной краской.

В 1979 г. начаты интинсивные раскопки в юго-восточном углу нижней части городища изнутри, где был расчищен участок одной из стен, деливших в целях безопасности город на части. У этого участка стены имелась даже прямоугольная башня, обращенная к югу. Начаты были здесь в указанном году и раскопки какого-то общественного здания (казарма? склады?), представляющего собой центральное квадратное помещение, окруженное вытянутыми прямоугольными помещениями.

В массе археологического материала происходящего из этого района городища, следует упомянуть впервые найденную здесь разновид-

[1] Отчеты предыдущих годов опубликованы в Экспедициях Государственного музея Грузии в следующих томах IV (1975 г.), V (1977 г.) и VI (1978 г.).

ность амфор с рифлением, у которой отсутствовало горлышко. Найдены здесь впервые сковородка с стержневидной ручкой и миска с выпуклостями у дна, в которых проделаны отверстия для продевания шнура.

На территории могильника Археополиса в 1978—1979 гг. было раскопано 15 грунтовых погребений: одно — IV-III вв. до н. э.; семь — I в. до н. э. и семь — позднеантичной-раннесредневековой эпохи.

В результате разведочных работ вблизи Нокалакеви, в ряде пунктов, обнаружены интересные памятники, три из которых — в Ноджихеви, Шхепи и Наджахово — подверглись сравнительно масштабным археологическим раскопкам.

В Ноджихеви работы начаты с 1977 г. В первый год раскопок здесь была обнаружена вилла, датирующаяся концом V или началом VI вв., представленная баней и церковью. Эти постройки были разрушены в IX—X вв.; в последующие годы здесь раскапывались более поздние церковь, дворец и крепостная ограда. Поздняя церковь представляет собой круглое, восьмиабсидное и купольное сооружение конца X в. (табл. $XVI_{1,2,3}$). Значение ее для истории грузинской архитектуры весьма велико, так как подобная церковь обнаружена здесь впервые. Церковь эта была разрушена в конце XIII или в начале XIV вв. В XVI—XVII вв. над развалинами круглой церкви возвели зальную церковь небольших размеров, а рядом с нею — дворец и крепостную ограду, развалины которых сохранились до наших дней.

В 1979 г. начаты раскопки холма в с. Наджахово, расположенном приблизительно в 3-х км к югу от с. Ноджихеви. Работа еще не закончена, тем не менее установлено, что здесь стояла церковь типа Kuppelhalle (т. е. купольный зал), выстроенная в VIII—IX вв. (табл. XVII_1) и разрушенная в конце XIII или в начале XIV вв.

В Шхепской крепости работа ведется с 1978 г. Крепость эта расположена к северу от дороги из г. Цхакая в Нокалакеви на высокой горе, господствующей над обширной частью Колхидской низменности (табл. XVII_2). Крепость была выстроена в начальный период существования Эгрисского царства и вместе с Нокалакеви входила в оборонную линию, отделявшую горную часть страны от низменности.

Раскопки здесь производились как во дворе цитадели, так и вне ее; выявлены остатки первоначальной крепости.

ლ. ჭილაშვილი, გ. კიკნაძე, ნ. აფხაზავა, ნ. ბახტაძე

არეშის ნაქალაქარის გათხრები (1978—1979 წწ.)

(ტაბ. XVIII—XX)

ექსპედიცია საანგარიშო პერიოდში ძირითადად მუშაობდა „უსახელო ბორცვზე". გარდა ამისა, დაიზვერა არეშის ხერთვისი და ბალიზიკის სამეურნეო ზონა, გაიწმინდა მდინარისპირის ეკლესია, მოხერხდა რამდენიმე სამარშრუტო გასვლა და ძველი საქარავნო გზის დაზვერვა საინგილო-შირვანში, შემახამდე[1].

ექსპედიციის ძირითადი მიზანი (1978 წ.) იყო „უსახელო ბორცვის" გათხრების დამთავრება[2].

1977 წელს ბორცვი დაკვადრატდა (4×4 მ) და რამდენიმე თხრილის დადებაც მოვახერხეთ. კორდოვანი ფენა შეიცავდა შემთხვევით არქეოლოგიურ მასალას, უპირატესად XI—XIV სს. კერამიკას, მთლიანად ბორცვი კი უჭირავს რიყის ქვის მარტივ ნაგებობას, რომელიც მაშინვე ნაეკლესიარად იქნა მიჩნეული.

საანგარიშო 1978 წელს დავიწყეთ ბორცვის პირაღებით გათხრა. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა დამტვრეული ბრტყელი და ღარიანი კრამიტის ფენა, რომელიც ნაგებობის ჩანგრეულ სახურავს მიეკუთვნება (სურ. 1). ბორცვზე ჯერ კიდევ გასულ წელს სამი სამარხი და რამდენიმე სამარხის ნაშთი დადასტურდა. წელს კიდევ ოთხი სამარხი და ერთი სამარხის ნაშთი იქნა გათხრილი. აღნიშნული სამარხებიდან ოთხი (№ 1, 2, 3, 4) ნაგებობის დანგრევის შემდეგი დროისაა, როდესაც ის სამაროვნად იქცა და XI—XIV სს. შეიძლება დათარიღდეს. ორი სამარხი (№ 5, 7) ეკლესიის ფუნქციონირების დროისაა და თვით ეკლესიის ინტერიერში იყო მოქცეული. ერთი სამარხი (№ 6), რომელიც აბსიდაში იყო მოთავსებული, წინ უსწრებს ეკლესიის აშენებას (სურ. 2).

---

[1] ექსპედიციის შემადგენლობა 1978 წ: ლ. ჭილაშვილი (ხელმძღვანელი), გ. კიკნაძე (მოადგილე), წევრები: ბ. მჭედლიშვილი, ნ. აფხაზავა, ნ. ბახტაძე, კ. გოცაძე; 1979 წ. ლ. ჭილაშვილი (ხელმძღვანელი), ვ. ცისკარიშვილი (მოადგილე), ნ. აფხაზავა (რაზმის უფროსი), წევრები: გ. კიკნაძე, თ. კერესელიძე, ნ. ბახტაძე, კ. გოცაძე, ზ. თვალჭრელიძე, გ. ჭილაშვილი (ფოტოგრაფი).

[2] „უსახელო ბორცვის" შესწავლა 1977 წ. დავიწყეთ—იხ. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, გ. მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, არეშის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში—სსმ არქ. ექსპედიციები, VI, 1979, გვ. 97—113.

სამარხი № 1 ნაწილობრივ დარღვეული ქვაყუთია, შემორჩენილი იყო სამარხის ჩრდილოეთი კედლის სამი და სამხრეთი კედლის ორი ბრტყელი ქვა. დადასტურდა ჩონჩხის მცირე ფრაგმენტი და სპილენძის ერთი რგოლი. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით (სიგრძე —1,65 მ; სიგანე —0,7 მ).

სამარხი № 2-ის მოწყობისას კრამიტყრილი იყო ჩაჭრილი. მასში მხოლოდ რამდენიმე ძვალი დადასტურდა. იგი ორმოსამარხის შთაბეჭდილებას ახდენს. სამარხში აღმოჩნდა რკინის სამაჯურის ნაწილები.



სურ. 1. არეშის ნაქალაქარი, „უსახელო ბორცვი". ეკლესიის გეგმა.



სურ. 2. არეშის ნაქალაქარი, „უსახელო ბორცვი“. ეკლესიის გეგმა და ჭრილები.

სამარხი № 3 ქვაყუთია. მიდგმული იყო დარბაზული ეკლესიის სამხრეთის კედლთან. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით (სიგრძე —2 მ; სიგანე—1,1მ), გადახურული იყო სამი ბრტყელი ქვით. გვერდითი კედლები ნაგებია რიყის ქვის წყობით. თავსა და ბოლოში სიპებია ჩადგმული. სამარხი, რომელიც მიწით იყო ამოვსებული, რამდენიმეგზის ყოფილა გამოყენებული; დადასტურებულია გულაღმა მდებარე ერთი ჩონჩხი, მის ქვეშ კი — ორი ჩონჩხის ნაშთი.

სამარხი № 4 ეკლესიის სამხრეთით მდებარეობდა 2,5 მ-ზე. ქვაყუთი ზევიდან სიპებით იყო გადახურული (სიგრძე —1,9; სიგანე —0,8 მ), დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. სამარხში რამდენიმე მიცვალებულის ჩონჩხის ნაწილი იყო დადასტურებული. ზედა ჩონჩხის ძვლები მთლიანად დაშლილია და მხოლოდ კონტურები მოჩანდა. ცენტრალურ ნაწილში, მარცხენა ხელთან წითლად შეღებილი კვერცხის ნაჭუჭის დიდი ნაწილი აღმოჩნდა.

ოთხივე სამარხი, წინასწარული მოსაზრებით, ეკლესიის მწყობრიდან გამოსვლის შემდგომაა მოწყობილი. ამავე სამარხებს უკავშირდება რამდენიმე სამარხის ნაშთიც, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორცვის ცენტრში დადასტურებული სამარხის ნაშთი მინის ხუთი სამაჯურით და სამარხის ნაშთი ეკლესიის გარშემოსავლელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, სადაც მინის ინკრუსტირებული სამაჯურის ნატეხია აღმოჩენილი. სამარხს, როგორც ჩანს, ეკლესიის კედელიც ჩაუჭრია. აღნიშნული სამარხები და სამარხის ნაშთები XI—XIII სს. შეიძლება დავათარიღოთ.

სამარხი № 5 ქვაყუთია, გაითხარა ეკლესიის სამხრეთის სტოაში, აბსიდასთან ახლოს, მისგან 0,5 მ-ზე. ქვაყუთის სახურავი, რომელიც შედგენილი იყო 7 ბრტყელი ქვისაგან, იატაკის ქვეშ 0,7 მ მდებარეობდა (სიგრძე — 1,95 მ, სიგანე — 1,20 მ), მასში ძვლების ფრაგმენტებიღა იყო შემორჩენილი.

სამარხი № 6 ქვაყუთია. იგი გაითხარა დარბაზული ეკლესიის აბსიდაში. ზევიდან ექვსი ბრტყელი ქვა ეფარა. მთელი იყო მხოლოდ ორი ქვა, თავსა და ბოლოში, სხვა ყველა ჩატეხილი აღმოჩნდა. სამარხი შედგენილი იყო ორი გრძივი და ორიც განივი (თავსა და ბოლოში) ქვიშაქვის ფილებით (სიგრძე — 2 მ, სიგანე — 1,1 მ). სამარხში კარგად ჩანდა ბარძაყის ორივე ძვალი, სხვა დანარჩენი დაშლილი იყო; თავსა და ბოლოში რკინის ნივთების უფორმო ნატეხები იყო დადასტურებული. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი შესულია აბსიდის რკალური კედლის ქვეშ, რის გამოც აბსიდის კედლის ეს ნაწილი ჩამოშლილი იყო. სამარხი იატაკის ქვეშ მდებარეობდა, საკურთხევლის პირველი დონიდან 0,8 მ-ზე. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეკლესია სწორედ სამარხზეა გაშენებული და იგი რომელიღაც საეკლესიო მოღვაწეს შეიძლება დაუკავშირდეს.

სამარხი № 7 ეკლესიის ჩრდილო სტოას აღმოსავლეთ ნაწილშია დადასტურებული, კრამიტის გროვის ქვეშ. ზემოდან სამი ბრტყელი ქვა ეფარა; ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთის კედლები თითო ქვითაა შედგენილი. აღმოსავლეთი კედელი არ ჩანს (სიგრძე —2,3, სიგანე — 1,5 მ). სამარხში მხოლოდ თავის ქალის ფრაგმენტი და რამდენიმე ძვალია დადასტურებული.

მეხუთე და მეშვიდე სამარხები მოუწყიათ გარსშემოსავლიანი ეკლესიის ფუნქციონირების დროს, სავარუდოდ VIII—IX სს.ში.

როგორც აღნიშნული იყო, ნაეკლესიარი მთლიანად ჩანგრეული სახურავის კრამიტის ნამტვრევებით იყო დაფარული; ეს სურათი გამოჩნდა კორდოვა-

ნი ფენის ღების შემდეგ. კრამიტის ფენა შიგადაშიგ ჩაჭრილი იყო სამარხებით. ამდენად პირველ რიგში მოგვიხდა ჩანგრეული სახურავის პრეპარირება. წმენდამ საკმაო დრო მოითხოვა და შემდეგ გამოჩნდა ნაგებობის თითქმის მთლიანი კონტური — რიყის ქვით ნაგები სამეკლესიანი ბაზილიკა. ცენტრალური ეკლესიის ნალისებრი აბსიდა აგურის კანკელით არის გამიჯნული დარბაზისაგან (სურ. 1). ნალისებრი აბსიდა იყო მოწყობილი სამხრეთითაც. ცენტრალური ეკლესიის აბსიდაში ალიზით ამოშენებული და მომწვანო მასით შელესილი ტრაპეზი იყო მოწყობილი. ტრაპეზი 0,4 მ-ით არის დაცილებული კედლისაგან (სურ. 1).

კრამიტების ფენა სცილდებოდა ნაგებობას, განსაკუთრებით მის ჩრდილო ნაწილში. აშკარად გამოჩნდა, რომ ეკლესიას ბორცვი მთლიანად ჰქონდა დაკავებული და შემდგომ შემაღლება გაიზარდა ეკლესიის ნანგრევებით.

სათანადო ფიქსაციის შემდეგ ნაგებობა გავათავისუფლეთ კრამიტის გროვებისაგან. ნაგებობა მთლიანად დახურული ყოფილა ღარიანი და ბრტყელი კრამიტით. როგორც ირკვევა, ეკლესია დაინგრა ხანძრის შედეგად, რაც მტრის შემოსევას უნდა მივაწეროთ. ჩრდილო და დასავლეთ სტოებში კრამიტების ქვეშ დადასტურდა ხის ძელების დანახშირებული ნაშთები. ჩანს, გადახურვაში ხის კონსტრუქცია ყოფილა გამოყენებული (ნახ. 2). კრამიტის ფენის ალაგების დროს ჩრდილო სტოაში, ჩამონგრეული კედლის ქვებს შორის აღმოჩნდა სპილენძის მედალიონი (?)—ბრტყელი ფირფიტა, რომლის ორ მოპირდაპირე მხარეს ძეწკვის რგოლებია შემორჩენილი (ტაბ. XX_2).

ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის წმენდისას, გარედან, აღმოჩნდა სპილენძის ჯვარი, ცენტრში თვალბუდით და პინის ნახევარწრიული გამჭვირვალე თვალით (ტაბ. XX_1). ჯვარი დაზიანებულია—ზედაპირი და თვალბუდე ალაგ-ალაგ შეჭმულია. ასევე დაზიანებულია საკიდი რგოლიც (სიგრძე ყუნწიანად 6 სმ-ია, სიგანე—5 სმ, თვლის დიამეტრი—0,9 სმ).

როგორც აღნიშნული იყო, აქ კრამიტის ორი სახეა დადასტურებული, ბრტყელი და ღარისებრი. ბრტყელი კრამიტების მხოლოდ სიმაღლეა თანაბარი — 5 სმ, სიგრძე და სიგანე სხვადასხვაა; სიგრძე მერყეობს 37—43 სმ შორის, გავრცელებული ზომაა 37—38 სმ; როგორც წესი, ბრტყელი კრამიტების სიგანე სხვადასხვაა, ზედა უფრო განიერია და მერყეობს 26—30 სმ შორის, ქვედა კი 21—24 სმ-ია.

ღარიანი კრამიტის სიგრძე ეთანაბრება ბრტყელი კრამიტისას და მერყეობს 38—43 სმ შორის. ყველა ღარიანი კრამიტი კუთხიანია, თანაც განსხვავებული ფორმისა: ზოგი დაბალწიბოვანია, ზოგი მაღალია. არის კოპებიანიც. ზოგ კრამიტს შიგნიდან ღარები — ხის ყალიბის ანაბეჭდები ემჩნევა (ტაბ. XIX_2).

კრამიტყრილის ფენაში სხვა არქეოლოგიური მასალა არ არის დადასტურებული. ფენის აღების შემდეგ გაიწმინდა ეკლესიის კედლები და იატაკი, რომელთაც ხელუხლებლად მოაღწიეს. თანდათანობით გასუფთავდა კედლები და მთელი ინტერიერი სახურავის კრამიტებისაგან და უშუალოდ იატაკს მივადექით. იატაკი მსხვილი და ბრტყელი რიყის ქვით ყოფილა მოგებული. ცენტრალურ ელესიაში იგი თითქმის დაეზიანებელია, სხვაგან იგი ნაკლულია (ტაბ. XVIII_2). ცენტრალური ეკლესიის სამხრეთ კედელთან გარეშემოსავლელში მოზრდილი ჭურჭელია დადასტურებული, ეკლესიის დანგრევის დროს დამტვრეული.

· არქეოლოგიური მასალა ეკლესიის წმენდისას თითქმის არ ყოფილა დადასტურებული, თუ არ ჩავთვლით საკურთხეველთან დადასტურებულ ქოთნის ხუფს და ადრე შუასაუკუნეების იერის წითელკეციან ნაკლულ ჭინჭილას.

ხუფი აღმოჩნდა საკურთხევლის გვერდით, საკურთხეველსა და კედელს შორის. საინტერესოა, რომ აქვე გაიწმინდა პატარა ღრმულიც, რომელშიც ალბათ ქოთანი იდგა. ჩანს, ეკლესია დანგრევამდე გაუძარცვავთ და ქოთანიც, რომელიც შესაძლოა საეკლესიო ნივთების თუ განძის სამალავს წარმოადგენდა, თან წაუღიათ.

ადრეფეოდალური იერის თიხის მოეცრო ჭინჭილის დადასტურება ძლიერ საინტერესოა და, რამდენადმე, ნაგებობის თარიღის განსაზღვრისას ხელშესახებ საბუთს მოგვცემს. თანაც ის აღმოჩნდა ცენტრალური ეკლესიის აბსიდაში, რომელიც მშენებლობის ყველაზე ძველ ფენას განეკუთვნება.

ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, ტალახის ხსნარზე. ზოგჯერ გამოუყენებიათ ალიზი, გარშემოსავლელის მოწყობისას კი ძველი ნაგებობის კრამიტის ნატეხებიც.

ეკლესია შედგება ცენტრალური დარბაზისაგან და სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით მიშენებული გარშემოსავლელისაგან (სურ. 2, ტაბ. XVIII$_{1,2}$). სამხრეთის სტოის აღმოსავლეთ ნაწილში ქვაფენილიანი აბსიდაა მოწყობილი, დარბაზული ეკლესია და გარშემოსავლელები ერთი დროის ნაგებობა არ არის. ეს დასტურდება ორი გარემოებით: გარშემოვლების კედლები არ არის გადაბმული დარბაზის კედლებთან, არამედ მიშენებულია; გარშემოსავლელის კედლები ნაგებია კრამიტების და ნამწვის ფენაზე, რომელიც დარბაზული ეკლესიის დანგრევის შემდეგ შექმნილა (და რომელიც საგულდაგულოდ მოუსწორებიათ). ე. ი. პირველადია დარბაზული ეკლესია, მეორადი — გარშემოსავლელები. უპირველესად აიგო დარბაზული საყდარი, რომელიც მარტივ ნაგებობას წარმოადგენდა. ის საკმაოდ პატარა მოცულობისა ყოფილა (სიგრძე, კედლების ჩათვლით, 10 მ-ია, სიგანე — 6,8), შესასვლელი ჰქონია სამხრეთიდან და დასავლეთიდან. გარკვეული ხნის შემდეგ ეკლესია დანგრეულა, თუ დაუნგრევიათ. ამის შემდეგ აღუდგენიათ უფრო რთული გეგმარებით, დარბაზული საყდრისათვის მიუშენებიათ გარშემოსავლელები, რომლის კედლებიც ადრე დანგრეული ეკლესიიდან მომდინარე კრამიტების ნაყარზე აღუმართავთ.

პირვანდელი დარბაზული ეკლესია, ზევითაც ითქვა, მარტივი გეგმარებისაა. მას ჰქონდა ღიობები, რომლებიც აღდგენის შემდეგ შეუვსიათ, მაგრამ არა მთლიანად; ისე რომ შიგნიდან ეს ადგილები ნაწილობრივ შეწეულია. ასეთი ღიობები იყო დასავლეთის კედლის ორსავ კუთხეში, ჩრდილოეთის კედელში და ორიც სამხრეთ კედელში. აღდგენა-გადაკეთების შემდეგ ღობები თანჩისებურად მოეწყო.

დარბაზული საყდრის აბსიდა ნალისებურია და სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს უერთდება ორ-ორი კუთხით (შდრ. ძველი შუამთა). აბსიდა ზედ ადევს № 6 ქვაყუთს, ისე რომ, ეს უკანასკნელი მის ცენტრშია მოქცეული. ამავე დროს აბსიდის იატაკი არსად ჩაჭრილი არ ყოფილა სამარხის ორმოსათვის; სამარხი პირველადია, რომელსაც დარბაზული საყდარი დააშენეს.

დარბაზული საყდრის ღიობები და ნალისებრი აბსიდა მას რამდენადმე უკავშირებს ყველაზე ძველ ტაძრებს (ნეკრესი), ასევე ძველია ნალისებრი აბ-

სიდის კუთხოვანი გადასვლა კედლებში (ძველი შუამთა). არეშის დარბაზული ეკლესია საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ნაგებობაა; გარდა აღნიშნული არქიტექტურული ნიშნებისა და ორიოდე ნივთიერი ნიმუშებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აბსიდის ქვეშ სამარხის აღმოჩენა. ცხადია, სამარხში დაკრძალული იქნებოდა რომელიმე წმინდანი, ან ამ რაიონში ქრისტიანობის მქადაგებელი (შეიძლება პირველი გამავრცელებელიც კი).

რომ სამარხი ადრეულია, ვიდრე საყდარი, ადვილი დასამტკიცებელია. სამარხის ზევით ტკეპნილი მიწა იყო და საყდრის პირველი იატაკიც აბსიდაში არ იყო ჩაჭრილი, იგი ქვიშატკეპნილს წარმოადგენდა.

რამდენ ხანს იარსება დარბაზულმა ეკლესიამ, ძნელი სათქმელია. ის მწყობრიდან ჩანს გამოსული რაღაც კატასტროფის შედეგად. ტაძარი დაუწვავთ და კრამიტის სახურავი დაუქცევიათ. სახურავის ძელები ეყარა დას. და ჩრდ. სტოებში, კრამიტის ნატეხები კი ირგვლივ იყო მიმოფანტული.

გარკვეული ხნის შემდეგ, ვფიქრობთ VI საუკუნეში, ეკლესია კვლავ აღუდგენიათ. პირველ რიგში აღადგინეს დარბაზული საყდარი, შემდეგ მიუშენეს გარშემოსავლელი, აღდგენის დროს ძველი დარბაზული საყდრის ღიობები ამოუშენებიათ, არასრულად, ისე რომ, ეს ადგილები შიგნით თახჩისებურად დატოვეს. სადიაკვნეში მოუწყვიათ ნალისებრი აბსიდა, ჩრდილოეთის მხრიდან აბსიდა არ მიუშენებიათ, ოღონდ დაახლოებით ცენტრში სტოა გადაუღობავთ, დაუტანებიათ შესასვლელი და ცალკე სათავსოდ გამოუყვიათ. მშენებლობის ტექნიკა ძველებურია — რიყის ქვები ტალახის ხსნარზე; შიგა და შიგ ალიზიც უხმარიათ. ეკლესია კვლავ კრამიტით დაუხურავთ. მინაშენების მოწყობისას თევზიფხური წყობაცაა გამოყენებული, რასაც ადრინდელ ნაგებობაში ვერ ვხვდებით. მთლიანად, დარბაზულ ეკლესიაშიც და სტოებშიც, იატაკი რიყის ბრტყელი ქვებით მოუკირწყლავთ; ბრტყელი ქვებია დაფენილი აბსიდებშიც.

ეკლესიის ფუნქციონირების დროს სამხრეთ და ჩრდილოეთ სტოებში სამარხები მოუწყიათ, რისთვისაც იატაკი ორსავე ადგილზე ჩაუჭრიათ. ქვაყუთები სტოების აღმოსავლეთ ნაწილშია ჩადგმული.

შესასვლელები განახლებულ ცენტრალურ ეკლესიას ჰქონდა სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან; ეკლესიის ძირითადი შესასვლელი დასავლეთის კედელში ყოფილა მოწყობილი, თითქმის კვადრატული კვეთის ოდნავ გარეთ გამოწეული სვეტის აქეთ-იქედან ღიობებია დატანებული კარებისათვის. ერთი ვიწრო შესასვლელი ჩრდ. კედელშიც ყოფილა. სამწუხაროდ სამხრეთის კედელი გვიანდელი სამარხებისაგან დაზიანებულია და არ ირკვევა მისი სახე.

არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ისეთივე თაღედი შესასვლელი ყოფილიყოს დასავლეთის მხრიდანაც, როგორც მის სინქრონულ ძეგლებზე გვხვდება.

გარშემოსავლელის სახურავის დასაჭერად, განახლებულ ტაძარს, დასავლეთის კედელზე პილასტრები მიაშენეს, რისთვისაც საჭირო გახდა კედლის მთელ სიგრძეზე პილასტრების დამჭერი საყრდენის აშენება, მსხვილი ქვებით. ასეთ პილასტრებს სამხრეთ და ჩრდილოეთ სტოებში ვერ ვხვდებით და ამდენად, საგულისხმებელია, რომ აქ გადახურვა მარტივი უნდა ყოფილიყო (არ არის გამორიცხული ხის კონსტრუქციით შედგენილი).

არც თუ დიდი ხნის გავლის შემდეგ გარშემოსავლელიანი ეკლესია საფუძ-ვლიანად გადაუკეთებიათ: ასწიეს აბსიდა, მოაწყეს თიხაკეპნილი და ზედ კანკელი აღმართეს (ტაბ. XIX$_1$).

კანკელის ფუძე ერთ ფენად დალაგებული კვადრატული აგურებია (ზომები: 22,23×22,23 სმ; სისქე 4 სმ). აგურები ალაგია თიხატკეპნილზე, ეს უკანასკნელი ქვაფენილიანი იატაკიდან დაცილებულია 0,5—0,6 მ-ით.

აგურები ორადაა დალაგებული, რომელთა შუაშიც ბორტებიანი კრამიტების სიგრძივი ნახევრებით ამოშენებულია კანკელის კედლები, ოთხ მრგვალ სვეტს შორის. სვეტები განაწილებულია აბსიდაში შესასვლელის ორივე მხარეს ორ-ორად. სვეტების დიამეტრი 0,35 მ, ნახევარ-ნახევარი ბორტიანი კრამიტის სიგრძე 43—44 სმ. აბსიდაში ასასვლელად კიბეა მოწყობილი — ორი აგურია დადებული (34×18×6 სმ).

ე. ი. აბსიდაში ასეთი თანამიმდევრული სურათი ჩანს; ყველაზე ქვედა ფენაა ქვაყუთი, შემდეგია მოხრეშილი იატაკი, რომელიც დარბაზულ ეკლესიას ეკუთვნის. ძველი ეკლესიის დანგრევის შემდეგ ხდება რესტავრაცია-გადაკეთება, აღადგინეს დარბაზული საყდარი და მიუშენეს გარშემოსავლელი. დარბაზული ეკლესია გადაკეთდა სამეკლესიან ბაზილიკად. იატაკი რიყის ქვის ფენილით მოეწყო ერთ დონეზე, შემდეგ აბსიდის იატაკი ასწიეს, გამოყვეს დარბაზისაგან მიწატკეპნილით და მოაწყეს მასზე კანკელი.

ეკლესია დანგრეულია IX საუკუნემდე. ამ ფენაში ნახანძრალი ნაკლებად შეიმჩნევა. ჩანგრეულა სახურავი, გადაქცეულა კედლები, რამაც წარმოშვა ბორცვი, რომელიც თანდათანობით მიწამ დაფარა. მიტოვებული და დანგრეული ეკლესია სამაროვნად გამოუყენებიათ. სამარხებით განსაკუთრებით ეკლესიის სამხრეთი ნაწილია დაზიანებული. როგორც ადრე ითქვა, გათხრილი სამარხებიდან ორი (№ 5, 7) ეკლესიის ფუნქციონერების დროისაა, ერთი კი (№ 6) წინ უსწრებს ეკლესიის მშენებლობას. სხვა დანარჩენები ეკლესიის მწყობრიდან გამოსვლის შემდგომაა მოწყობილი.

ეკლესიის დანგრევის თარიღად IX ს. ვდებთ მიჯნად, რადგანაც როგორც უფრო ადრეულ, ისე ნგრევის ფენაში მოჭიქული კერამიკა არ არის დადასტურებული. მოჭიქული კერამიკა, როგორც IX—X სს., ისე XI—XIV სს. ჩნდება გვიანდელი სამარხების ფენაში.

• • •

1978 წ. ვისარგებლეთ რა იმით, რომ ვმუშაობდით შემოდგომისას, როდესაც მოსავალი უკვე აღებულია და თავისუფლად შეიძლება შესვლა სავარგულებში, გადავწყვიტეთ დაზვერვების ჩატარება ნაქალაქარის ტერიტორიაზე, პირველ ყოვლისა, ბაზილიკის გადაღმა ტერიტორიაზე და სოფლის თავში ხერთვისზე.

ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, როცა ბაზილიკას ვთხრიდით, დავზვერეთ მისი მიმდგომი ტერიტორია, რომელიც სამეურნეო ზონად მივიჩნიეთ და აქვე ვიგულისხმეთ სარწყავი სისტემის არსებობაც.

წელს ამ ადგილების ხვნის დროს, ხნული დაათვალიერეს ექსპედიციის წევრებმა და შენიშნეს ნასახლარის ნაშთები. რამდენადაც ფართობის დიდი ნა-

წილი მოხნული იყო, მხოლოდ მის განაპირას მოგვიწია მუშაობა. რადგანაც ადგილი დიდი ხანია რაც იხვნება, ხელუხლებელი ფენის მიგნების იმედი არ გვქონია. დავდეთ ორი სადაზვერვო თხრილი (4×4 მ), და დავიწყეთ გათხრა. თხრილებში დაახლოებით 0,6—0,7 მ უკვე ყამირი ჩნდებოდა. ერთ-ერთ თხრილში გამოჩნდა ნამარნალის ნაწილი — 2 ქვევრი ბრტყელი ქვის სახურავით, კრამიტი და კერამიკული ნატეხები, მათ შორის მოჭიქული ჯამის ნაწილი. ნასახლარ-ნამარნალის ნაშთები ჩანს სადაზვერვო თხრილების გვერდით ლელის ნაპირებზე, სხვა დანარჩენი ტერიტორია, როგორც ჩანს, მართლაც სამეურნეო ზოლს წარმოადგენდა და სახნავ-სათესად გამოიყენებოდა; საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე — დაახლოებით 10 ჰექტარ ფართობზე რამდენიმე სადაზვერვო შურფი დავდეთ და არც ერთ მათგანს რაიმე მნიშვნელოვანი არ მოუცია. ეს ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს ბაზილიკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოქცეული ტერიტორია ტყის ნაპირამდე სამეურნეო რაიონად მივიჩნიოთ. აქამდე მოედინებოდა სარწყავი არხიც და სწორედ ბაზილიკასთან უნდა ყოფილიყო გამართული წისქვილიც, რომლის ქვაც, აქ აღმოჩენილი, გრემის მუზეუმშია დაცული.

მეორე სადაზვერვო უბანს „ხერთვისი" წარმოადგენდა; ესაა არეშის წყალსა და მის ერთ-ერთ უსახელო მარჯვენა შენაკადს შორის მოქცეული ტერიტორია. გადმოცემით, აქ ხელოვნური ტბის მოწყობის დროს სამარხები უნახავთ. აქვე ყოფილა რომელიღაც დიდი ნაგებობის ნაშთები, რომელიც დაუნგრევიათ აუზის მშენებლობის დროს. პირველ ყოვლისა, ადგილის დაშურფვა დავიწყეთ. სამხრეთის მხარეს — დაახლოებით 2 მ სიღრმეზე ორგან თითქოს რაღაც წყობა გამოჩნდა. ჩვენ ის მოვნიშნეთ მომავალი სამუშაოებისათვის. ხერთვისის ცენტრალურ ნაწილში სადაზვერვო თხრილით მივაკვლიეთ განიერ, ერთ მეტრამდე სისქის კედელს, რომელსაც მივყევით დაახლოებით 7 მ სიგრძეზე. კედლის ორსავ მხარეს მოჭიქული კერამიკა ჩნდებოდა. აღმოჩნდა რკინის ისრისპირიც, ძეგლზე მუშაობას მომავალში გავაგრძელებთ.

* * *

1979 წელს ექსპედიცია ძირითადად მდინარისპირის ეკლესიაზე მუშაობდა. იგი მდებარეობს მდ. არეშის იმავე II ტერასაზე, რომელზედაც უსახელო ბორცვია, ამ უკანასკნელის სამხრეთით, 300-ოდე მეტრზე. მდინარისპირის ეკლესიის დასავლეთით დღეს მდ. არეშის ფლატეა, აღმოსავლეთით და სამხრეთით კი ძველი ნაარხალის ხევი, რომელიც ველს საყდრისყურის ძირიდან მოუყვება მდ. არეშის პარალელურად.

თვით ეკლესია მდ. არეშისა და ნაარხალის შემაღლებულ „ხერთვისზეა" ნაშენი. იმთავითვე ნათელი იყო, რომ საქმე გვქონდა ე. წ. სამეკლესიან ბაზილიკასთან. შენობის დიდი ნაწილი დანგრეული და ჩაქცეულია, მაგრამ კარგად იკითხება ცენტრალური ეკლესია, გარშემოსავლები და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიშენებული მცირე ეკლესია. ეკლესიის დასავლეთის კედლის ნაშთი სამხრეთისაკენ გრძელდება მოზრდილი ქვების წყობით; იგი მიუყვება ხევის პირს სამხრეთ-აღმოსავლეთით და ნაწილობრივ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივაც. ასე იქმნება ეკლესიის ეზოს მოზღუდვის ეფექტი.

მიმდინარე წელს ეკლესიაზე გაიწმინდა ცენტრალური ნავის უმეტესი ნაწილი (გარდა ჩრდილო კედლის ძირისა), საკურთხეველი, სადიაკვნე, ნაწილობრივ სამკვეთლო, აგრეთვე სამხრეთისა და დასავლეთის გარშემოსავლელები. გარედან კი ვიწრო თხრილებით მოისინჯა აღმოსავლეთი, დასავლეთი და ჩრდილო კედლები.

გაირკვა, რომ ეკლესია საბოლოო სახით წარმოადგენდა დარბაზულ შენობას, რომელიც გასასვლელებით უკავშირდებოდა ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე მართკუთხა ფორმის სათავსოებს, სამკვეთლოსა და სადიაკვნეს. ამ სათავსოთა გაყოლებაზე სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ეკლესიის ძირითად ნაწილს გარშემოსავლელი შემოუყვებოდა. ეკლესიის საერთო სიგრძე —17,5 მ, სიგანე 14,25 მ-ია.

სამხრეთის გარშემოსავლელი სამხრეთიდან სამთაღიანი არკატურითაა შემოსაზღვრული. თაღები ეყრდნობა მრგვალ სვეტებს. მათი დიამეტრი 0,8 მ და შექმნილია ნაფლეთი ქვით. არ არის გამორიცხული, რომ მსგავსივე არკატურა არსებობდა დასავლეთის მხრიდანაც, მაგრამ ეს მხარე ძლიერ დაზიანებულია და დაბეჯითებით ამის მტკიცება ჭირს.

ეკლესიის ცენტრალური დარბაზი საკმაოდ ვიწრო და მოგრძოა — (ზომები 9×4,5 მ, კედლის სისქე 1,10—1,25 მ). იგი ორი კარით (სიგანე 1 მ) უკავშირდება სამკვეთლოსა და სადიაკვნეს, სამი კარით კი ჩრდილო, დასავლეთ და სამხრეთ გარშემოსავლელებს. ცენტრალური დარბაზის კედლის სიმაღლე ყველაზე უკეთ საკურთხევლის მიდამოებშია შემორჩენილი — 5,7 მ იატაკიდან. რაც შეეხება საკურთხეველს, მისი აფსიდა მკვეთრად ნალისებური ფორმისაა. საკურთხევლის დონე ეკლესიის იატაკიდან 0,85 მ-ზეა აწეული, მასზე ასასვლელი კი ხუთსაფეხურიანია. აფსიდას შემოუყვება ქვისავე ჩამოსაჯდომი საფეხური. საკურთხევლის შეღრმავება 3,2 მ-ია, უშუალოდ კედელზე კი მიდგმულია ქვის მორკალული ფორმის ტრაპეზი. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილი უნდა ყოფილიყო აგურის კანკელით, რომლის ნაშთი დაფიქსირდა ჩრდილო კუთხეში.

საკურთხევლის შემაღლების ქვემოთ, აგრეთვე დარბაზის სამხრეთ და ჩრდილო კედლების გასწვრივ ცენტრალურ დარბაზს ჩამოსაჯდომი შემოუყვება. ეკლესიის კედლების გაწმენდისას, ბევრ ადგილას დაფიქსირდა შელესილობის კვალი, საკურთხეველთან კი იგი წითლად იყო მოხატული. შელესილობა ჩანდა გარშემოსავლელში და პილასტრებზეც.

სამკვეთლო და სადიაკვნე ორთავე უაფსიდო და მართხკუთხაა (სადიაკვნე — 4,8×2,75 მ). სადიაკვნეში დგას ოთხკუთხა ტრაპეზი. საინტერესოა, რომ ცენტრალური ეკლესიისა და პასტოფორიუმების საერთო, აღმოსავლეთ კედელს არსად ნაკერი არ ემჩნევა. სამკვეთლოში (ჩრდილო სათავსოში) როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო კედელზე ერთსა და იმავე ჰორიზონტალზე თაღური კამარის ნაშთებია, ხოლო მის გაგრძელებაზე ჩრდილო გარშემოსავლელში ასეთივე თაღის ნაშთები მხოლოდ ჩრდილო კედელზე გვხვდება. სამხრეთ კედელი კი ჩვეულებრივ, ვერტიკალურად გრძელდება სიმაღლეში, რაც მიგვანიშნებს, რომ საბჯენი თაღები ამ მხარეს (სამხრეთით) ეყრდნობოდა პილასტებზე, რომლის ნაშთსაც ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ (ეს მხარე ინგრევა და კედლის ძირი არ გაგვითხრია). როგორც ჩანს, სამხრეთისა და დასავ-

ლეთის გარშემოსავლელების კამარები, ძირითადად, დარბაზის კედლებზე მიშენებულ პილასტებს ეყრდნობიან.

ეკლესიის კედლები ეყრდნობა სამსაფეხურიან ცოკოლს, რომელიც დადასტურდა აღმოსავლეთ მხარეს მთელ სიგრძეზე, ხოლო ჩრდილოეთით და სამხრეთიდან მხოლოდ სანათლავისა და სამკვეთლოს გაყოლებაზე. გარშემოსავლელის ცოკოლს კი საფეხურები არ გააჩნია და ბევრად ნაკლებ სიღრმეზე მოწყობილი საძირკველი აქვს.

ეკლესიის სხვა დეტალებიდან საინტერესოა, რომ სამკვეთლოს მარჯვენა (სამხრეთ) კედელში დატანებულია პირველადი წყობით ნაშენი ფართო ნიში. სამხრეთის გარშემოსავლელში, სადიაკვნის კარების მარჯვნივ კუთხეში, მოდგმულია ერთიანი ქვისაგან გამოთლილი ემბაზი (?). შესაძლოა აქ იყო სანათლავი.

ეკლესია ნაშენია ერთმანეთზე კარგად მორგებული რიყის ქვით, დუღაბზე. ალაგ-ალაგ, პილასტრებზე, ჭერის თაღთან და ცენტრალური ეკლესიიდან ჩრდილო გარშემოსავლელში გასასვლელი კარების თაღის წყობაში გამოყენებულია აგური. ეკლესია დახურული უნდა ყოფილიყო ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით.

საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეკლესიამ მრავალგზის განიცადა გადაკეთება-აღშენება.

სამხრეთის მხრიდან დიდ ეკლესიას მიდგმული აქვს მცირე ეკლესია (8,25×5,65 მ). მას სამი შესასვლელი ჰქონია; ორი მათგანი (ჩრდილო და დასავლეთის) თავის დროზე ამოუქოლავთ. მცირე ეკლესია ნაშენია დიდი ეკლესიის მსგავსივე ტექნიკით. მასში დაფიქსირდა ქვის სამარხი № 18, ხოლო დასავლეთიდან მის საძირკველში შევიდა № 14 სამარხის აღმოსავლეთი მხარე.

ამასთანავე ექსპედიციამ გათხარა ეკლესიის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორია, რომელიც სამაროვნის ნაწილს შეადგენდა. ჯერ სადაზვერვო თხრილი იქნა გავლებული, ხოლო შემდეგ მთლიანი ფართობი (10×30 მ) დაკვადრატდა (2×2 მ).

კორდოვანი ფენიდან ამოვიდა მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის, ფაიანსის (ძლიერ მცირე), მინის ჭურჭლის, სხვადასხვა ტიპის კრამიტის ნამსხვრევები, ლითონის იარაღი, სამკაული და სხვა.

მიწის ზედაპირიდან 0,3—0,4 მ-ის სიღრმეზე გახშირდა სიპი ქვები და ძვლის ფრაგმენტები. ნათელი გახდა, რომ საქმე გვქონდა დარღვეულ სამარხებთან და ზემოჩამოთვლილი მასალის ნაწილიც მათი კუთვნილება უნდა ყოფილიყო. მთელი ფართობის გაწმენდისა და სამარხთა საპრეპარაციოდ მომზადების შემდეგ გაირკვა, რომ საქმე გვქონდა ძირითადად ორ ფენად განლაგებულ სამარხებთან, თუმცა, როგორც საბოლოოდ დადგინდა, მათ შორის ქრონოლოგიური სხვაობის დაჭერა პრაქტიკულად შეუძლებელია და ისინი თანადროულად უნდა ჩავთვალოთ.

სამარხთა უმეტესობა ქვაყუთებია; მათ შორის აგებულების მიხედვით შეიმჩნეოდა მეტნაკლები სხვაობა. ნაწილი (დაახლოებით 1/2) კარგად შეკრული ქვაყუთებია (ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრული შედარებით სწორი ფილებით და გადახურული მსგავსივე 4—5 ფილაქვით (ქვს. № 5, № 8, № 14, № 15 და სხვ.), ნაწილი ბრტყელი მოზრდილი რიყის ქვებით გარშემოწყობი-

ლი, ასეთივე რიყის ქვის სახურავით (№ 10, № 13, და სხვ.), იშვიათ შემთხვევაში გვხვდებოდა სამარხები, რომელთა გვერდის კედლები ცუდად გათლილი ნაფლეთი ქვების რამდენიმე რიგით იყო ამოშენებული (ქვს. № 2, № 16). ორიოდე შემთხვევაში კი თითქოს საქმე უნდა გვქონდეს ორმოსამარხთან, ან უფრო სწორედ ნაჩქარევად დაფლულ მიცვალებულებთან; მაგ., კვ — 3—4-ში, ეკლესიის სამხრეთ კედლის ძირში. აქ დაფიქსირდა ერთმანეთზე მწოლარე 4 ჩონჩხი (მათ შორის ერთ-ერთის სიგრძე 2 მ-მდე იყო), იქვე ახლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ორი ერთმანეთზე დაწყობილი ჩონჩხი, რომელთა ქვეშ დაფიქსირდა ბავშვის სამარხის ნაშთი.

სამარხთა მოზრდილი ნაწილი ინდივიდუალურია (მაგ., № 6, № 12, № 9, № 3 და სხვ.), ნაწილი წყვილადი (№ 5, № 7, № 18?). ზოგიერთი ხელმეორედაა გამოყენებული და ადრე დაკრძალულნი ფეხებისკენაა მოხვეტილი (მაგ., ქვს. № 14 და სხვ.). ყველა სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე მეტნაკლები გადახრით. მიცვალებულის პოზა ქრისტიანულია, ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. უმეტეს ნაწილს ხელები გულის, ან წელის არეში აქვს დაკრეფილი.

გათხრილ სამარხთაგან ერთი (№ 18) აღმოჩნდა მცირე ეკლესიის ფართში. ისევე როგორც ჩვეულებრივ შუაფეოდალური ხანის ქრისტიანულ სამაროვნებზე, სამარხთა უმეტესი ნაწილი მცირეინვენტარიანი იყო (ქვს. № 1, № 3, № 5—7, № 10), ნაწილი კი სრულიად უინვენტარო (ქვს. № 4, № 8, № 9, № 16, № 18). მცირეინვენტარიანი ან უინვენტარო იყო სამარხთა ნაშთებიც (რომელიც დაახლოებით ერთი ათეული გაითხარა).

სამარხთა ინვენტარს ძირითადად შეადგენდა სამკაული, მათ შორის წამყვანია მინის, იშვიათად რკინის სამაჯურები. მძივები ძირითადად მინისაა, თუმცა იშვიათად გვხვდება ფაიანსის, სარდიონისა და გიშრისაც. ინვენტარს შორის იშვიათად გვხვდება სპილენძის ყუნწიანი ღილები (კუწუბოთი და ხვრელებით), რკინის დანა, ჭინჭილა, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამარხების მიწას ხშირად ურევია კრამიტის ნამტვრევები და ნახშირი.

ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერი მასალა XI—XIII სს. ნაწარმის შთაბეჭდილებას სტოვებს; მაგალითად: ცისფერი, ლურჯი და შავი მინის გრეხილ და სადაღეროიანი მინის სამაჯურები, სპილენძის ღილები, უხეში ფაიანსის მსხვილი მძივები და სხვ. ტიპიურია ამ ხანის საქართველოს თითქმის ყველა სამაროვნისათვის.

იშვიათი გამონაკლისის გარდა იმავე დროისა ჩანს სამაროვნის კულტურული ფენიდან (ძირითადად კორდოვანი ფენიდან) მომდინარე მასალა. ერთადერთი ადრეული ნივთი შავი მინის ბეჭედია, რომელიც ანალოგებით VIII—IX სს. განეკუთვნება, შესაძლოა რამდენადმე უფრო ადრეული იყოს რკინის ნივთის ნატეხი, რომელიც მშვილდსაკინძის მშვილდს მოგვაგონებს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ეკლესიის შემოგარენი, განსაკუთრებით კი დასავლეთიდან (ფლატეს პირას), სამხრეთით და აღმოსავლეთი ნაწილი მოზღუდულობის შთაბეჭდილებას აბდენდა. აქ ჩანდა სხვადასხვა ზომის რიყისა და ნაფლეთი ქვის „კედლის ნაშთი". იგი თითქმის ყველგან მოვსინჯეთ. გაირკვა, რომ ეს წყობა ძირითადად მშრალი იყო. სასინჯ თხრილებში ამოდიოდა ნივთიერი მასალაც, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, მიჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის

ნატეხები. მათგან ზოგიერთი ადრეული იერისა (IX—X სს. ანგობით მოხატული. მოჭიქული და მოუჭიქავი, ვარდისფრად ნაპრიალები კერამიკის ფრაგმენტები).

„ზღუდის ნაშთის“ ფუნქცია და თარიღი ჯერჯერობით მაინც გაურკვეველად უნდა ჩაითვალოს.

* * *

უსახელო ბორცვისა და მდინარისპირის ეკლესიას შორის, ველზე თავიდანვე შენიშნული იყო 3 გარდიგარდმო (მდ. არეშის ფლატესა და ძველ ნაარხალს შორის), „ზღუდისებრი ზოლი“. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც უშუალოდ უსახელო ბორცვთან იყო, წინა წლებში გაითხარა და მის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ქურა.

წელს გადავწყვიტეთ დანარჩენი ორი „ზღუდის“ მოსინჯვა; პირველი მათგანის გათხრის შემდეგ (იგი უფრო ახლოა მდინარისპირის ეკლესიასთან) უკვე 0,2—0,3 მ სიმაღლეზე დადასტურდა რიყისა და ნაფლეთი ქვების ერთი ფენა, რომელიც ზოგან წყობის შთაბეჭდილებას ახდენდა.

აქ ფაქტიურად კორდოვან ფენიდანვე ამოვიდა მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის ფრაგმენტები, აგრეთვე ორი ისრისპირი — ბოძალი და რომბული ფორმისა.

«II ზღუდე» არხისებრია, ორთავე მხარეს ყრილით. თხრისას ჯერჯერობით ალაგ-ალაგ ჩანს ყორისმაგვარი ქვის წყობა ერთ ფენად. მისი ბოლომდე გაწმენდა არ დაგვისრულებია. აქ მოპოვებული ნივთიერი მასალიდან აღსანიშნავია IX — X საუკუნის მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები.

ასე. რომ, „ზღუდეების“ რაობა ჯერჯერობით დადგენილი არაა, შესაძლოა. ისინი სამეურნეო დანიშნულების მარტივ ნაგებობათა ნაშთებია, რომელთა მსგავსი დადასტურდა ძველი გავაზის გათხრებისას.

გარდა ზემოაღნიშნული სამუშაოებისა, ექსპედიცია 1978—1979 წ. აქტიურად ზვერავდა ისტორიული კახეთის ძეგლებს. ჩატარდა დაზვერვები გრემში, ყვარელში, მაჭის ციხეზე, შუამთაში, ზაგემის ნაქალაქარზე, დადგინდა შუა და გვიანი საუკუნეების რამდენიმე საგზაო ტრასა.

ექსპედიცია მოსახლეობაში აგროვებდა შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებს, რომელმაც მნიშვნელოვნად შეავსო მისი მონაპოვარი.

Л. ЧИЛАШВИЛИ, Г. КИКНАДЗЕ, Н. АБХАЗАВА, Н. БАХТАДЗЕ

РАСКОПКИ АРЕШСКОГО ГОРОДИЩА (1978—1979 гг.)

(Табл. XVIII—XX)

(Резюме)

В 1978 году экспедиция продолжала работы, начатые в предыдущем сезоне на холме, условно названном «безымянным», под которым, как выяснилось, находились остатки церкви — довольно простого сооружения. Гумусный слой содержал фрагменты керамики X—XIV вв.

под ним, по всей территории холма, было выявлено 7 разновременных погребений, причем некоторые из них прорезали слой черепиц обвалившейся кровли церкви. Одно из погребений, № 6, — ящик, составленный и перекрытый каменными плитами (2 × 1,1 м), — находилось в абсиде зальной церкви и восточным краем заходило под ее стену (рис. 2); остается впечатление, что церковь специально возведена над погребением, принадлежавшем какому-то религиозному деятелю, которому она и была посвящена. Два погребения — №№ 5 и 7 — находились в южном и северном приделах церкви, были составлены из каменных плит и также не содержали инвентаря; по всей вероятности, эти погребения относятся ко времени функционирования церкви. Четыре погребения — № 1, 2, 3, 4 — относятся ко времени после выхода церкви из строя (X—XIII вв.), причем № 2 — грунтовое захоронение, прорезавшее слой черепиц, было потревожено и сохранило лишь часть железного браслета; в каменном ящике № 1 (1,65 × 0,70 м) найдено одно медное кольцо; каменный ящик № 3 (2 × 1,1 м) был использован по крайней мере трижды; в каменном ящике № 4 найдена яичная скорлупа, окрашенная в красный цвет. Остатки сильно пострадавших захоронений, содержащие 5 стеклянных браслетов, найдены на вершине холма и в юго-западном углу церкви.

Кровля, опиравшаяся на сгоревшую впоследствии деревянную конструкцию, состояла из плоских с вертикальными бортиками и желобчатых черепиц длиной до 43 см. В остатках церкви ясно выделяются два строительных слоя — зальная церковь и трехцерковная базилика. Первоначальная зальная церковь — весьма примитивное прямоугольное сооружение из речного камня на глиняном растворе; в северной, южной и западной стенах видны проемы, заделанные и переоборудованные в ниши во время перестройки церкви, абсида в плане подковообразная. Этими чертами церковь сближается с самыми ранними христианскими памятниками Грузии, например Некреси; на это указывает также фрагмент красноглиняного сосуда IV—V вв., найденный в абсиде, у алтаря. Эта церковь была по-видимому разрушена и сожжена. Примерно в конце VI или в VII в. церковь восстановили, переделав ее в трехцерковную базилику, весьма распространенную в эту эпоху: стены обходов возведены над слоем черепицы кровли первоначального здания из речного камня на глиняном растворе, елочной кладкой, перекрытие черепичное. Некоторые изменения претерпел интерьер храма — поднят пол абсиды, из квадратных кирпичей и плоской черепицы сооружена алтарная преграда; пол настлан плоским речным камнем.

Трехцерковная базилика погибла в результате вражеского нашествия, по-видимому, до середины IX в. судя по тому, что во время ее раскопок не найдена поливная керамика, появляющаяся в Грузии со второй половины этого столетия. Руины храма постепенно заросли кустарником и превратились в небольшой холм, используемый на протяжении X—XII вв. под могильник.

В рассматриваемом году разведочными траншеями иследована территория, примыкающая к Арешской базилике, на правобережье Арешис-Цкали, и установлено, что она представляла собой, в основном, хозяйственную зону. На небольшом участке, свободном от посевов, выявлен винный погреб и часть жилого помещения с глазурованной керамикой XII—XIII вв.

Разведочные раскопки в дельте безымянного правого притока Арешис-Цкали вскрыли один каменный ящик без инвентаря и стену

метровой ширины какого-то крупного сооружения; найдены поливная керамика XI—XIII вв. и железный наконечник стрелы.

В 1979 году экспедиция провела защитные раскопки развалин трехцерковной базилики с пристройкой, находящихся на левом берегу Арешис-Цкали, напротив Арешской базилики. Расчищены от обвалов и земли центральная церковь, трапезная, обходы и пристроеная к ее юго-восточному углу церковка. Церковь стоит на трехступенчатом цоколе. Храм был обнесен толстой оградой. На южном склоне примыкающего к церкви холма раскопано 18 разнотипных погребений X—XIII вв. — каменных ящиков, грунтовых могил и погребений, небрежно составленных из булыжника и плоских камней; в некоторых из них найдены стеклянные браслеты, фаянсовые бусы и другие мелкие предметы.

Ю. М. ГАГОШИДЗЕ, К. В. ШИШКИН

РЕЗУЛЬТАТЫ АЭРОФОТОРАЗВЕДКИ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ПАМЯТНИКОВ ДЕДОПЛИС МИНДОРИ

«Воздушная археология» — визуальные наблюдения и фотосъемки с летательных аппаратов, а также дешифровка имеющихся аэрофотоснимков — давно стала неотъемлемой частью широких археологических исследований в Западной Европе, на Ближнем Востоке, в Северной Африке и в Америке. Успешно применяются аэрометоды и у нас, в СССР, в частности, на землях древнего орошения в Средней Азии и Казахстане. Однако воздушная археологическая разведка в Грузии до сих пор практически не нашла применения, хотя в настоящее время уже нельзя сомневаться в том, что ряд вопросов, стоящих перед грузинскими археологами, можно решить только оторвавшись от земли и охватив изучением с помощью аэрофотосъемок несравнимо более широкий круг памятников, чем это допускают ограниченные возможности традиционных «наземных» методов археологии.

К подобным проблемам относится и задача, стоящая перед Шидакартлийской археологической экспедицией Государственного музея Грузии, — комплексное изучение храмов и храмового хозяйства II—I вв. до н. э. в Дедоплис миндори. Раскопками 1972—1978 гг. здесь выявлена целая система храмовых построек, установлена планировка и архитектурные особенности храмов и некоторые конкретные вопросы организации храмов и храмового хозяйства. Однако чувствовалось, что исследования в Дедоплис миндори вскоре могли зайти в тупик, ибо для обрисовки более или менее полной и достоверной картины организации храмов в древней Иберии наряду с раскопками собственно храмовых строений следовало бы выявить и изучить в Дедоплис миндори усадьбы жрецов и других служителей культа, поселения храмовых рабов — земледельцев и ремесленников различных специальностей, их мастерские, могильники, обрабатываемые земельные участки, водопроводы и оросительные каналы, оборонительные сооружения и, наконец, дороги, связывавшие отдельные объекты внутри храмового комплекса и весь комплекс с внешним миром.

Одной человеческой жизни конечно бы не хватило даже только для обнаружения всех вышеотмеченных памятников, разбросанных на огромной территории, площадью в несколько десятков кв. километров, не говоря уж о том, что совершенно невозможно охватить сплошными раскопками всю обширную равнину Дедоплис миндори, особенно при современных темпах строительства, которое буквально на наших глазах бесследно уничтожает куда более ощутимые остатки прошлого, чем эфемерные следы древних оросительных каналов или межевых линий.

Оставался единственный выход: обратиться к методам воздушной разведки.

Первый же получасовый залет руководителя экспедиции, осуществленный осенью 1975 г. на вертолете, показал какие широкие возможности сулят археологам наблюдения с птичьего полета и аэрофотосъемки Дедоплис миндори. Однако в тот раз большую часть летного времени заняло фотографирование раскопанных храмов, другие же визуально замеченные ранее неизвестные объекты, к сожалению, так и остались незафиксированными на фотопленке.

В апреле 1977 г., в период Всесоюзной отчетной сессии о полевых археологических исследованиях в Москве руководителем Шидакартлийской археологической экспедиции были заказаны аэроснимки на район раскопок храмов Дедоплис миндори, площадью в 180 кв. км. Полученные в 1978 г. 150 аэроснимков 18×18 см, масштаба 1 : 17 000 были предварительно отдешифрованы начальником спецотряда аэрометодов Института археологии АН СССР Константином Валентиновичем Шишкиным и результаты дешифрования в виде выкопировок предполагаемых следов археологических памятников были отосланы Ю. М. Гагошидзе для предварительного изучения.

Изучение выкопировок показало необходимость проведения полевых работ с целью привязки к местности и уточнения характера памятников, установленных по аэроснимкам. Для выполнения указанной работы из состава Шидакартлийской экспедиции были выделены два сотрудника — Ю. М. Гагошидзе и А. П. Гогичаишвили, которые совместно с приглашенным из Москвы К. В. Шишкиным были откомандированы в Карельский район сроком на один месяц — с 7 VII по 5 VIII 1979 г.

Методика полевых работ заключалась в сопоставлении изображения памятников на аэроснимках с местностью. В местах, соответствующих изображениям, собирался подъемный археологический материал, изредка производились зачистки культурных слоев. Выявленные таким образом археологические объекты описывались и фотографировались. Кроме того мы систематически опрашивали жителей близлежащих селений о случайных археологических находках, которые могли иметь место на памятниках, выявленных по аэроснимкам. В ряде случаев местные жители нам передали найденные ими археологические предметы: глиняные сосуды, бронзовые предметы вооружения, украшения и т. п.

Ряд памятников, изображенных на аэроснимках, были известны археологам и ранее (Квацхелеби, Арадетис Оргора и др.), однако многие памятники выявлены только с помощью аэросъемки. Памятники эти относятся как к эпохе бронзы и раннего железа (городища и могильники у с. Доглаури, городища в с. Земошакшакети, городище со рвом и два селища у с. Самцевриси, курганное поле и поселение восточнее устья р. Проне и др.), так и к античности и средневековью (несколько поселений в районе Дедоплис миндори, каменоломни в окрестностях с. Руиси, целый ряд селищ в районах селений Дирби, Цвери, Арадети, Пца, Бердзенаули, Шакшакети, Квенаткоа, Самцевриси, Руиси, Урбниси, Брети и Саголашени). В некоторых случаях на аэроснимках различимы следы древних дорог, размежевка полей землепользования и др. элементы планировки, связанные с памятниками античного и более позднего возраста, хотя некоторые из запечатленных на аэро-

снимках изображений оказались ложными признаками (например, светлые полосы в пашнях западнее с. Бердзенаули).

Особо следует отметить, что на изученных нами аэроснимках 1951 года четко видны в виде тонких светлых линий основные контуры сооружений храмового комплекса, выявленного раскопками 1972—1978 гг.

К наиболее значительным памятникам, выявленным в окрестностях Дедоплис миндори с помощью аэроснимков, относятся городище и могильник эпохи поздней бронзы у с. Доглаури, где, как оказалось, начато строительство кролиководческого комплекса, грозящего разрушением памятнику, а также курганное поле и поселение эпохи ранней бронзы восточнее устья р. Проне. В последнем случае анализ данных аэроснимков позволил высказать предположение о принадлежности этих курганов и поселения к одной и той же культуре, что блестяще подтвердилось раскопками 1979 г.

Изучение аэрофотоматериалов с целью выявления археологических памятников Дедоплис миндори только начинается, но уже первые его результаты вселяют в нас надежду, что оно будет успешным.

ტაბულების აღწერილობა

ყვირილის აუზი

ტაბულა I. 1. ჯრუჭულის მღვიმე. განივი ჭრილის ხედი
2. „ორთვალა კლდე", ხედი მდ. ჯრუჭლის მარცხენა ნაპირიდან.

ქვემო ქართლი

ტაბულა II. 1. ხრამის დიდი გორა. ნაგებობა № 35.
2. ხრამის დიდი გორა. ეზო HC კვადრატის NO კუთხეში, ჩანს ბოძების ნაალაკევი ორმოები.
ტაბულა III. ხრამის დიდი გორა, 1979 წ. გათხრილი ფართობის ხედი SW-დან.
ტაბულა IV. ხრამის დიდი გორა, 1979 წ. გათხრილი ფართობის ხედი O.დან
ტაბულა V. 1. სიონი. სამარხები № 1 და № 8.
2. სიონი. სამარხი № 4.
3. სიონი. სამარხები № 1 და № 8 გახსნის შემდეგ.
4. სიონი. სამარხი № 7.
ტაბულა VI. 1. სიონი. სამარხი № 11.
2. ბალა თაფა, სარკოფაგი № 2.

მარტყოფი

ტაბულა VII. 1. ულევარი, ყორღანი № 1. სამარხი ნაგებობა.
2. ულევარი, ყორღანი № 1. ქვის ცული, სპილენძის ისრისპირები, ეშვი.
3. ულევარი, ყორღანი № 1, სადაფის მძივები.
ტაბულა VIII. ულევარი, ყორღანი № 2.
ვერცხლის სატევარი, ბრინჯაოს სატევარი და ისრისპირები.
ტაბულა IX, X. ულევარი, ყორღანი № 2. თიხის ჭურჭელი.

ფარავანი

ტაბულა XI. 1. ფარავნის ყორღნის ხედი SOS მხრიდან.
2. ფარავნის ყორღანი. ცენტრალური განათხარი და დასაკრძალავი ორმოს გადასახურავი ლოდები SO მხრიდან.
3. იგივე, W მხრიდან.
ტაბულა XII. 1. ფარავნის ყორღანი. დასაკრძალავი ორმოს პრეპარაციის პროცესი; ხედი N-დან.
2—5. ყორღანში აღმოჩენილი შავპრიალა კერამიკა.
6—7 მოყავისფროდ გამომწვარი კერამიკა.

ნოსირი — მუხურჩა

ტაბულა XIII. ნამოსახლარი ბორცვი „კეკელური ზუგა".
1. განათხრები NW სექტორში და (მარჯვნივ) 1974 წლის საძიებო თხრილი, ხედი NWN—დან.
2. განათხრები NW სექტორში, ხედი W მხრიდან.

ნოქალაქევი

ტაბულა XIV. ნოქალაქევის ძველი ბაზილიკა და სასახლე.
ტაბულა XV. ნოქალაქევი. გალავნის ხედი აღმოსავლეთიდან.
ტაბულა XVI. 1. ნოჯიხევი. რვააბსიდიანი ეკლესია W—დან.
2. ნოჯიხევი. რვააბსიდიანი ეკლესიის ფრაგმენტები.
3. ნოჯიხევი. რვააბსიდიანი ეკლესიის წარწერის ნაშთები.
ტაბულა XVII. 1. ნაჯახოვო. ეკლესიის ნანგრევები W—დან
2. შხეფის ციხე NW—დან.

არეში

ტაბულა XVIII. 1. „უსახელო ბორცვი"; ეკლესიის ხედი აღმოსავლეთიდან.
2. „უსახელო ბორცვი"; ეკლესიის ხედი დასავლეთიდან.
ტაბულა X X 1. „უსახელო ბორცვი", ეკლესიის ნაშთები, ხედი SW-დან.
2. „უსახელო ბორცვი"; ეკლესიის გადახურვის კრამიტის ნიმუშები.
ტაბულა XX. 1. „უსახელო ბორცვი". ეკლესიის გარეთ, აღმ. კედელთან აღმოჩენილი სპილენ-ძის ჯვარი.
2. „უსახელო ბორცვი", ეკლესიის სტოაში აღმოჩენილი სპილენძის მედალიონი.

ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

БАССЕЙН Р. КВИРИЛА

Табл. I. 1. Джручульсукая пещера; поперечный разрез.
2. «Ортвала клде», вид с левого берега р. Джручула

КВЕМО КАРТЛИ

Табл. II. 1. Храмис диди гора, здание № 35.
2. Храмис диди гора; двор в NO углу квадрата HC-видны ямы от столбов.
Табл. III. Храмис диди гора. Вид раскопа 1979 года с юго-запада.
Табл. IV. Храмис диди гора. Вид. раскопа 1979 года с востока.
Табл. V. 1. Сиони; погребения № 1 и № 8.
2. Сиони, погребение № 4.
3. Сиони, погребения № 1 и № 8 после вскрытия.
4. Сиони; погребение № 7.
Табл. VI. 1. Сиони; погребение № 11.
2. Бала—тапа, саркофаг № 2.

МАРТКОПИ

Табл. VII. I. Улевари. курган № I; погребальная камера.
2. Улевари, курган № 1, каменный топор, медные наконечники стрел и клык.
3. Улевари, курган № 1, перламутровые бусы.
Табл. VIII. Улевари, курган № 2, Серебряный клинок, бронзовые кинжал и наконечники стрел.
Табл. IX.X. Улевари, курган № 2. Глиняные сосуды.

ПАРАВАНИ

Табл. XI. 1. Параванский курган, вид с SOS.
2. Центральный раскоп и кладка каменных глыб, перекрывающих погребальную яму, с сев. востока.

3. То же, вид. с запада.

Табл. XII. 1. Параванский курган, процесс препарации погребальной ямы, вид с севера.

2—5. Чернолощеная керамика.

6,7. Керамика коричневатого обжига.

НОСИРИ—МУХУРЧА

Табл. XIII. Жилой холм «Кекелури зуга».

1 Раскопы в сев. вост. сектора и (справа) разведочный раскоп 1974 г. с запада.

2. Расколкы в сев. вост. секторе, вид с NWN.

3. Траншея O—W, с запада.

НОКАЛАКЕВИ

Табл. XIV. Нокалакеви; древняя базилика и дворец.

Табл. XV. Нокалакеви; вид ограды с востока.

Табл. XVI. 1. Ноджихеви. Восьмиабсидная церковь с запада.

2. Ноджихеви. Фрагменты восьмиабсидной церкви.

3. Ноджихеви. Фрагменты надписи восьмиабсидной церкви.

Табл. XVII. 1. Наджахово. Развалины церкви с запада.

2. Шхепская крепость, вид. с сев. запада.

АРЕШИ

Табл. XVIII. 1. «Безымянный холм»; вид церкви с востока.

2. «Безымянный холм; вид церкви с запада.

Табл. XIX. 1. «Безымянный холм»; остатки алтарной преграды, с сев. запада.

2. «Безымяный холм»; образцы черепиц перекрытия церкви.

Табл. XX. 1. «Безымянный холм»; медный крест найденный около восточной стены церкви.

2. Медный медальон, найденный в обходе церкви.

ცხრილები
ТАБЛИЦЫ

I



1



2





1

2

3



4

1



2



1



2



3



















1



2

3



1



2



3



4



5



6



7



3



1

2

XV









XVII















სარჩევი

СОДЕРЖАНИЕ

დ. თუშაბრამიშვილი. ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1978—79 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში. 5

Д. Тушабрамишвили. Отчет работ Квирильской археологической экспедиции за 1978—1979 гг. 18

მ. მენაბდე. თ. კიღურაძე. ქ. გოცაძე. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1978—79 წლების მუშაობის შედეგები. 19

М. Менабде, Т. Кигурадзе, К. М. Гоцадзе. Результаты работ Квемо-Картлийской археологической экспедиции. 1978—1979 гг. 33

ო. ჯაფარიძე. ი. კიკვიძე. გ. ავალიშვილი. ა. წერეთელი. კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978—1979 წლების მუშაობის ანგარიში. 35

О. Джапаридзе, Я. Киквидзе, Г. Авалишвили, А. Церетели. Отчет Кахетской (Марткопской) археологической экспедиции за 1978—1979 гг. 40

ე. გოგაძე. ფარავნის ყორღანის გათხრები (1979 წ.). 42

Э. Гогадзе. Раскопки Параванского кургана (1979 г.). 46

ე. გოგაძე. ი. ქორიძე. მ. დარისპანაშვილი. ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის შედეგები 49

Э. Гогадзе, И. Коридзе, М. Дарисманашвили. Результаты работ Носири-Мухурчской экспедиции за 1979 год. 52

პ. ზაქარაია. ვ. ლექვინაძე. გ. გვინჩიძე. თ. კაპანაძე. ნოქალაქევის ექსპედიციის 1978—79 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში. 55

П. Закарая, В. Леквинадзе, Г. Гвинчидзе, Т. Капанадзе. Краткий отчет работы Нокалакевской археологической экспедиции за 1978—1970 гг. 62

ლ. ჭილაშვილი. გ. კიკნაძე. ნ. აფხაზავა. ნ. ბახტაძე. არეშის ნაქალაქარის გათხრები (1978—1979 წწ.). 64

Л. Чилашвили, Г. Кикнадзе, Н. Абхазава, Н. Бахтадзе. Раскопки Арешского городища (1978—1979 гг.) 76

Ю. Гагошидзе. К. Шишкин, Результаты аэрофоторазведки Дедоплис миндори 79

ცხრილების აღწერილობა 82

Описание таблиц 83

ცხრილები 85

Таблицы 85



რეცენზენტები: ისტ. მეცნიერებათა კანდიდატები: ქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი,
გ. ნ ე მ ს ა ძ ე

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1153

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ც. ქ ი ტ ი ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 8.7.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.11.1980;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 9,5;
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.7;

უე 01255; ტირაჟი 600; შეკვეთა № 2412;

ფასი 95 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСПЕДИЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

VII

(на грузинском языке)